

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

მეცნიერება და სკოლა

სამეცნიერო პედაგოგიური
შრომების კრებული

III

თბილისი 2012

UDC (უფ) 001+373+378.4](479.22)
მ-621

SOKHUMI STATE UNIVERSITY
SCIENTIFIC-EDUCATION INSTITUTE OF
EDUCATION

SCIENCE AND SCHOOL

SCIENTIFIC PEDAGOGICAL
WORKS COLLECTION

III

Tbilisi- 2012

სამეცნიერო პედაგოგიური შრომების კრებულის
“მეცნიერება და სკოლა“ №3 ასახულია სწავლა-გა-
ნათლებასა და აღზრდასთან დაკავშირებულ პედაგოგი-
კური, მეთოდოლოგიური და ფსიქოლოგიური საკითხებს; საკოლო
პრაქტიკაში არსებულ პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს,
პრობლემების გამომწვევ მიზეზებსა და ფაქტორებს, მათი
დაძლევის პედაგოგიურ გზებსა და საშუალებებს.

კრებული, თავისი ბუნებით ან გამომდინარე, გან-
კუთვნილია პრაქტიკოს და მკვლევარ მასწავლებელთათ-
ვის, სტუდენტებისა და განათლების პრობლემებით დაინ-
ტერესებულ ფართე საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: გულნაზ ხუხუა
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები: ჯემალ ჯინჯინაძე
პედაგოგიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, სრული პროფესორი

ოთარ ვახანია
პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი

იანა ტორჩინავა
პედაგოგიკის დოქტორი, სკოლა “აისის”
დირექტორი

მედეა სალია
განათლების ფაკულტეტის ლექტორი,
პრაქტიკოს მასწავლებელი

ISBN 978-9941-0-5106-7

© სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

გულნაზ ხუბუა
პედაგოგიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

მასწავლებელი—პედაგოგიკა—მოსწავლე!

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო პედაგოგიური შრომების კრებულში “მეცნიერება და სკოლა” №3, 20012წ. შესულია პედაგოგიკის, საგნობრივი მეთოდისა და ფსიქოლოგიის მიმართულების 16 ნაშრომი. კრებული, მიუხედავად მისი თემატური მრავალფეროვნებისა, საერთო ჯამში ემსახურება ერთ მიზანს – ღირსეული თაობის ახალი ცვლის მომზადებას, რომელიც ნაზიარები იქნება ეროვნულ და ზოგადკაცობრიულ კულტურას, უკანასკნელ მიღწევებს მეცნიერებასა და ხელოვნებაში, ტექნიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შრომები ძირითადად ეყრდნობა ემპირიულ და თეორიულ კვლევებს. სასკოლო პრაქტიკის ფაქტობრივი მდგომარეობის, მის პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეების შესწავლას, დადებითი პედაგოგიური გამოცდილების განზოგადობასა და სისტემტიზაციას.

კრებულში აქცენტირებულია პედაგოგიური პროცესებისა და მისი სისტემების მეცნიერული ორგანიზაცია მისი ოპტიმიზაციისა და ინტენსიფიკაციის საფუძველზე; თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის აუცილებლობა, პედაგოგიკური მეცნიერებისა და პედაგოგიური ხელოვნების – მასწავლებლის პროფესიული ოსტატობის მნიშვნელობა; პედაგოგიური პროცესების სისტემებისა და ქვესისტემების, კომპონენტებისა, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების, განათლების შინაარსის, პედაგოგიური კანონებისა და პრინციპების, მეთოდებისა და ხერხების, ფორმებისა და საშუალებების პრიორიტეტების მიხედვით დალაგება, კოორდინირება და ინტეგრაცია და გენერალური პედაგოგიური მიზნისათვის დაქვემდებარება.

XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში განათლების სისტემა გაუვალ ლაბირინთებში მოექცა. განათლების რეფორმის სახელით დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო, ყოვლად წარმოუდგენელი პარადოქსული აქცია მეცნიერების დოქტორის დიპლომების მეცნიერების კანდიდატებისათვის ხელაღებით დარიგებისა და პროფესორის ცნების ფალსიფიცირებისა; პროფესორის კლასიკური გაგების დაკნინება, სრული, ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორის წოდებებად დაქუცმაცება. წარსულისადმი ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ, გაუაზრებელ რეფორმათა რეფორმებისა და რალაც ტრავიალური „აღმოჩენების“ სახელით სრულიად იგნორირებულიქნა მსოფლიოს უმდიდრესი, ეროვნულ და ზოგადკაცობრიული, რეტროსპექტულ–პედაგოგიური ღირებულებები. დაირღვა განვითარების ობიექტური კანონზომიერებანი, ისტორიზმისა და მემკვიდრეობითობის ლოგიკა, თანმიმდევრობისა და სისტემურობის პრინციპი. განათლების სისტემის უპრეცედენტო პოლიტიზირებას მოჰყვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, დარგობრივი სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტების ჩამოშლა, ინტელიგენციის „ჩარეცხილება“ გამოცხადება, პოლიტიკურ–პარტიული ნიშნით პროფესორ–მასწავლებელთა უნივერსიტეტებიდან მასობრივი გამოძევება; პედაგოგიური კადრების პროფესიული მომზადების ძირითადი მეცნიერების — პედაგოგიკის ფსიქოლოგიზირება ე.წ. „თავისუფალი სწავლის თეორიისა“ და „განათლების თეორიების“ უწყინარი პედაგოგიური სახელწოდებებით. პედაგოგიკურ–ცნებითი ტერმინოლოგიური სისტემის აღრევა; სკოლის სამი გიგანტის: საკლასო–საგაკვეთილო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო–აღმზრდელითი სისტემების ფუნქციებისა და დანიშნულების, მიზნისა და პრიორიტეტების, პრინციპებისა და შინაარსის, მეთოდებისა და ფორმების ერთმანეთში არევა; სრულიად გაუმართლებელი, არშემდგარი XII კლასით სკოლის დამძიმება, თითქოს განუსაზღვრელი იყოს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა! მითუმეტეს იმ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტი აცხადებს: „35 წლის იქით ხეც არ მინდა ტყეში“–ო; უკუღმართად გაგებული დემოკრატიის სახელით მოსწავლეთა უსარგებლო უფლებების გაზრდა მასწავლებლის აუცილებელი პედაგოგიური უფლებების შესუსტების ხარჯზე; მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდებისა და პროფესორ–მასწავლებელთა კონკურსების პოლიტიკურ–პარტიული ნიშნით აჟიტირება; (ლამის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სამეცნიერო ხარისხისა და პროფესიონალიზმის ცენზად გამოცხადება).

თანამედროვე საშუალო და უმაღლეს სკოლებში მთელი აქცენტი გადატანილია სწავლების ტექნოლოგიებზე ანუ იმაზე „როგორ ვასწავლოთ?“, ხოლო უმთავრესი, სწავლისა და სწავლების მიზანი – „რა ვასწავლოთ?“ და „რისთვის ვასწავლოთ“ უკანა პლანზეა გადაწეული.

ე. ნ. „რეფორმატორებმა“ მექანიკურად და ზოგჯერ დამახინჯებულად ატაცებულ, სრულიად უსაფუძვლოდ გაფეტიშებულ და არანაირი სიახლის შემცველ ანგლო-ამერიკულ ე.წ. პედაგოგიურ ტექნოლოგიებს გადააყოლეს ეროვნული განათლების უმთავრესი მიზანი. სამ უბადრუკი ტექნოლოგიებით შემფოთებული თვით ამერიკელი მკვლევარი ნილ პოსტმანი არ ერიდება მის თანამედროვე ამერიკული სკოლის კრიტიკას. იგი წერს, რომ სკოლაში სწავლება ცხოვრების სწავლებას და არა ცხოვრებისთვის ფულის მშოვნელთა აღზრდას უნდა ემსახურებოდეს: „ხშირად საუბარი საშუალებებს ეხება და იშვიათად მიზნებს. თითქოს ტექნიკოსების ერი ვიყოთ და მხოლოდ ის ვიცოდეთ, „როგორ ვაკეთოთ“, ხოლო „რატომ ვაკეთოთ“ კითხვაზე ფიქრის გვეშინოდეს, ან არ შეგვეძლოს“ (ნილ პოსტმანი, „განათლების მიზანი“, თბ., 2007, გვ. 10) და იქვე განაგრძობს ავტორი, რომ მიზანი – ტექნოლოგია ტექნოლოგიისთვის კი არ უნდა იყოს, არამედ ის, თუ როგორ საზოგადოებას ზრდის სკოლა: „გათამამებულ, მომხმარებლების კონგლომერატს, გააყვებულ, უსულგულო, უმიზნო მასებს, ინდიფერენტულ, დაბნეულ მოქალაქეებს, თუ საკუთარი ღირსების, მიზნის, სწავლისადმი პატივისცემის, შემწყნარებლობის მქონე საზოგადოებას?“ (იქვე, გვ. 24).

იგივე აზრს გამოთქვამს დევიდ პერკინსი თავის ცნობილ წიგნში „გონივრული სკოლები“. ის, უპირველეს ყოვლისა, სვამს კითხვას: „რას მოვიტხოვთ განათლებისაგან?“ რომლის პასუხშია ჩადებული მიზანი: ცოდნის შინაარსის, სიღრმისა და რაოდენობის, მის გაგება-გააზრებისა და პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელთა ერთობლიობას (გაერთიანებას) მიყვავართ გენერაციულ ცოდნამდე (დ. პერკინსი, გონივრული სკოლა. თბ., 2007, გვ. 53) და იქვე განაგრძობს ავტორი: „გაგების აქტები, აზრობრივი ხატები, გაგების მაღალი დონეები, დამაჯერებელი წარმოდგენები და პროდუქტიული თემები (ხაზგასმა ჩვენია – გ. ხ.) მრავალფეროვან მონახაზს გვთავაზობს იმისათვის, რომ ავირჩიოთ, რა ვასწავლოთ (ხაზგასმა-გ.ხ) გონივრულ სკოლაში“ (იქვე, გვ. 116). თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პერკინსი სწავლების მეთოდებს, ტექნოლოგიებს არ ცნობს. იგი უბრალოდ სწორად ალაგებს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში პედაგოგიურ სისტემებსა და კომპონენტებს პრიორიტეტების მიხედვით. თუმცა ეს საერთოდ არ წარმოადგენს პრობლემას პედაგოგიკურ მეცნიერებაში. რა ვასწავლოთ? როგორ ვასწავლოთ? რისთვის ვასწავლოთ? – პედაგოგიკის კონცეპტუალური ქვაკუთხედაა, რომელთაც თავთავისი კუთვნილი ადგილი აქვთ მიჩენილი და ორგანულ ურთიერთკავშირში იმყოფებიან. პრობლემა, როგორც პერ-

კინსი აღნიშნავს, არა ცოდნის დეფიციტში, არამედ მის გამოყენებაში. ამისი ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის პედაგოგიკის მიზანმიმართული, აქტიური ფსიქოლოგიზაცია. პედაგოგიკამ, როგორც სწავლა-განათლებისა და აღზრდის, მასწავლებლის პროფესიული მომზადების მეცნიერებამ, თავისი ფუნქცია რომ ვერ შეასრულოს. თუ რატომ? მისი პასუხი ალენ უელშ დალესისა და მალთუსის კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ ცნობილ პროგრამებშია ჩანერილი. (იხ. ჟურნ. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, 2008, №3, გვ. 64–66).

პედაგოგიკის ცნების განათლების ცნებით ხელოვნური შეცვლა ცვლის და აბუნდოვნებს მათ არსს და უკარგავს ფუნქციურობას. რატომ? იმიტომ, რომ პედაგოგიკა არის განათლების მეცნიერება და არა პირიქით. მაგალითად, სახელწოდებების შეცვლა: პედაგოგიურ ფაკულტეტის განათლების ფაკულტეტად, პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის განათლების თეორიითა და ისტორიით სახელდება ახლავს გარკვეული გაუგებრობა და ბუნებრივად ბადებს კითხვას – რომელი განათლების? — პედაგოგიური, იურიდიული, სამედიცინო, ფილოლოგიური, მათემატიკური თუ რომელი? ფაკულტეტი, რომელიც ამზადებს პედაგოგებს უფრო ლოგიკური და ნათელი არ არის ინოდებოდეს პედაგოგიურ ფაკულტეტად, როგორც იყო, ვიდრე—განათლების ფაკულტეტად. არავითარ შემთხვევაში არ არის იდენტური განათლების ფაკულტეტი და პედაგოგიური ფაკულტეტი, ან კიდევ განათლების თეორია და ისტორია და პედაგოგიკის თეორია და ისტორია.

პედაგოგიურ მიზანთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციებს გვანვდის პედაგოგიკის ისტორია, (თუმცა აქ დაწვრილებით არ შევჩერდებით მასზე, რადგან იგი საკმაოდ ვრცლად გვაქვს გაშუქებული წიგნში: „აღზრდის მიზანი 2000 წლის წინ და შემდეგ“ თბ., 1998). მაქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ აღზრდის ცენტრია მიზანი, დანარჩენი კი მის ირგვლივ ტრიალებს და მას ემსახურება. იმიტომ მიზანის წინსაშუალებების დაყენება არაბუნებრივია და პედაგოგიურ კანონზომიერებას ეწინააღმდეგება. რომელიც გულისხმობს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის პედაგოგიური სისტემების, ქვესისტემებისა და კომპონენტების კერძოდ: პედაგოგიური ამოცანების, შინაარსის, პრინციპების, მეთოდების, ხერხების, გზების, ფორმებისა და საშუალებების აღზრდის მიზნისადმი დაქვემდებარებულობას. მთავარია პედაგოგიური მიზნის გარკვეულობა და მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. პედაგოგიური მიზნის ღირებულება კი მისი შინაარსით განისაზღვრება, რომელიც, როგორც წესი, საზოგადოებრივი მოთხოვნებითაა განპირობებული. ა/წ. აღ-ით I საუკუნის რომაელმა მეცნიერ-პედაგოგმა და ორატორმა მარკუს ფაბიუს კვინტილიანემ „ორატორის დარიგებანის“ 12 ტომეულის I წიგნის შესავალში იდეალური პიროვნების უზუსტესი მოდელის წარმოსახვის საფუძველზე ჩამოაყალიბა აღზრდის მიზნის ლაკონური, ფორმით

მარტივი და აზრით უღრმესი, დროითა და სივრცით, რასობრივი თუ ეროვნული ნიშნით შეუზღუდავი ფორმულა „ბრძენი რომაელის“ აღზრდა. რომელიც კომპენდიუმში მოიცავს განათლებულობას, სიბრძნესა და გონიერებას, ზნეობრიობას, სულიერობას, ესთეტიკურობას და ა. შ.

თანამედროვე გახმაურებული მიზანი აღზრდისა „კონკურენტუნარიანთა აღზრდა“ იმ კაპიტალისტური წყობილების ბუნებას გამოხატავს, რომელიც ჩვენთან თითქმის 100 წლის წინათ იქნა დამხობილი, დღეს კი ე. წ. დემოკრატიის მანტიაში გახვეული ბრძანებლობს მსოფლიოში. მას, რა კუთხითაც არ უნდა შევხედოთ, თავისი არსითა და მიზნით ყოველთვის გულისხმობს ორ მხარეს: გამარჯვებულსა და დამარცხებულს. ის სუბიექტს აღძრავს მეტოქეობისა და ძალმომრეობისაკენ, რომ მოიპოვოს და გაიფართოვოს გავლენის სფეროები, ისწრაფოს გამდიდრებისა და ფლობისაკენ და განზე რჩება ის მთავარი ზნეობრივი და სულიერი ღირებულებები, რაც ადამიანს პიროვნებად აქცევს. ეს კი ეწინააღმდეგება, უპირველეს ყოვლისა, დემოკრატიას, ჰუმანიზმს, სოციალური თანასწორობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების კულტურას, და, რაც მთავარია – ქრისტიანულ მორალს.

კლასიკურ პედაგოგიკაში აღიარებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ და პრაქტიკით აპრობირებულ არისტოტელესეულ პედაგოგიურ მიზანს, როგორცაა: ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული, გონებრივად, ზნეობრივად, ესთეტიკურად, ფიზიკურად სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბება – სწორედ, ამაში დევს აღზრდისადმი დემოკრატიული და ჰუმანური მიდგომა. განა შეიძლება დემოკრატიისა და ჰუმანიზმის გამოვლინების სხვა რაიმე იმაზე უმაღლეს აქტად იქნეს მიჩნეული, ვიდრე არის ადამიანის, სამყაროს ამ უნიკალური, ღვთიური ქმნილების განვითარების განუსაზღვრელი პოტენციური შესაძლებლობების გამოწვევა და მისი ყოველმხრივ ჰარმონიული განვითარებისათვის შესაბამისი პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური და კულტურული პირობების შექმნა. მით უმეტეს, როცა დადგენილია, რომ ადამიანის ტვინის შესაძლებლობების განვითარება ჯერ კიდევ 1, 1,5%–ს არ აღემატება. გარემო ერთ–ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად არის აღიარებული აღზრდაში. თუ ის მოუწესრიგებელია, უსამართლო და ძალადობრივი, ყალბი და თვალთმაქცური, დამანგრეველად მოქმედებს ღირსეული თაობის მომზადებაზე. ადამიანს ყოველმხრივი თუ არა, მრავალმხრივი ჭეშმარიტი ცოდნა და მისი შესაბამისი შეგნება მაინც ექნება, ვის დასჭირდება კონკურენტუნარიანობა?! ყოვლისშემოქმედმა ღმერთმა იეჰოვამ თავის ძესთან იესო ქრისტესთან ერთად ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა. (დაბადება 1:27). ეს იმას გვაკადვებულებს, რომ ჩვენი შემოქმედის ძირითად თვისებებს, როგორცაა: სიყვარული, სიბრძნე, სამართლიანობა, ძლიერება, მოთმინება მიმტევებლობა და ა. შ. გარკვეული დოზით მაინც ვირეკლავდეთ, რომელზედაც უშუალო პასუხისმგებელია

სულიერი აღზრდა, ბიბლიური განათლება, რომლის კატასტროფული დეფიციტია მთელ მსოფლიოში.

ყოვლისშემოქმედმა ღმერთმა, რომელსაც ყველაზე მეტად სურს თავისი ქმნილების – ადამიანის ბედნიერება და მშვიდობიანი ცხოვრება, (რომელსაც ადასტურებს ჩვეთვის შექმნილი საოცარი, ულამაზესი და უმდიდრესი სამყარო, ცა და მიწა და რაც მასშია, კაცობრიობისთვის საკუთარი ძის იესო ქრისტეს შემონიერვა და ა. შ..) არასოდეს უხსენებია კონკურენტუნარიანები და თავკერძები იყავითო. პირიქით, მოგვცა დარიგება: „ყველაფერში ჩახედული და ყოველმხრივ მომზადებული იყავით ნებისმიერი კეთილი საქმისათვის—ო (2ტიმოთე 3:17). და ამისთვის საჭირო ფსიქიკურ და ფიზიკური უნარები ჩაუდო ადამიანს, რომ ის ღირსეული, სამართლიანი, მოსიყვარულე და ცხოვრებისუნარიანი ყოფილიყო, რასაც ცხადად ადასტურებს ჩვენი შეგრძნებათა ორგანოების, „მსტოვრების“ სასწაულები და სენსუალიზმის უნივერსალური თეორია. რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია პედაგოგიკის კლასიკოსის იან ამოს კომენსკის „დიდ დიდაქტიკაში“.

თანამედროვე განათლების სისტემაში აბსურდამდე მისული ე. წ. ს ი ლ ა ბ უ ს ი (ქართულად – ლექციის ვრცელი გეგმა, რომელიც ყოველთვის საგულდაგულოდ იხილებოდა შესაბამის კათედრაზე, და, ცხადია, არც პედაგოგიკის კათედრა იყო გამონაკლისი, კათედრის გამგის ხელდასმით მტკიცდებოდა) ჩვენს აწმყოში იქცა გადაულახავ პრობლემად. ვერ იქნა და ვერაფრით ვერ ჩამოყალიბდა 9 წლის განმავლობაში მარტივი, მოქნილი, გასაგები, მეცნიერულად ღირებული და პრაქტიკაში მარჯვედ გამოსაყენებელი სილაბუსის სტანდარტი. წარამარა იცვლება, რთულდება, მძიმდება, ტლანქდება და გამაოგნებელი პედანტიზმის წყალობით სრულიად დაკარგული აქვს მას თავისი შეუცვლელი მაორიენტირებელი, წარმმართველი და მაშველი ფუნქცია. ძირითადად, გადამწყვეტს, როგორცაა სასწავლო კურსის თემატიკა, რაც უნდა ვასწავლოთ, მას კი ჰქვია ე. წ. „დანართი“, რომელიც 1–2 გვერდს არ აღემატება. ხოლო 10–15 გვერდამდე ელემენტარულ, ანბანურ ჭეშმარიტებას უკავია. სილაბუსში მთავარი აქცენტი უნდა კეთდებოდეს იმაზე: რას ვასწავლით? და არა – როგორ ვასწავლით? თუმცა არც ეს უკანასკნელია პედაგოგიკაში უმნიშვნელო. ლექტორის დონე, კვალიფიციურობა, კომპენტენციები ნათლად და ავტომატურად ვლინდება, სწორედ, იმ ე. წ. „დანართში“. როგორ? სრულიად მარტივად. ყოველი სალექციო თემა იმ აზრობრივ საკითხებად უნდა იყოს დანაწილებული, რომელთა წრესაც მოიცავს მოცემული თემა. სამწუხაროდ, ყველაფერი პირიქითაა. ჩამოსახლებულია მხოლოდ თემატიკა სარჩევით და მორჩა. არსად ჩანს თემის შინაარსი, ბევრგან დუბლირებულია საკითხები სხვადასხვა სიტყვებით, უგულებელყოფილია თანმიმდევრობისა და სისტემურობის დიდაქტიკური პრინციპი.

კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას ე.წ. სილაბუსში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის მითითების პროცედურა. საშინელ ანაქრონიზმად ითვლება 2004 წლამდელი ლიტერატურის, მით უმეტეს რუსული ან „არასასურველ“ ქართველი ავტორის მითითება. არავინ დაგიდევს წიგნის ხარისხს, ეროვნულ სპეციფიკურ თავისებურებასთან მის შესატყვისობას, მთავარია ინგლისურიდან იყოს ნათარგმნი და ვილაცის მიერ რეკომენდირებული, და, მორჩა! რაც უფრო სავალალოა, საქმისადმი ამგვარი „მოდური“ მიდგომით სტუდენტ-ახალგაზრდობას უყალიბდება მცდარი შეხედულება ქართულ კულტურასა და მეცნიერებაზე. თითქოს ქართველებს დღემდე არ გვცოდნია წერა-კითხვა და სულზე მოგვისწრო ანგლო-ამერიკამ! და, თურმე, საქართველოს ისტორიაში პირველად, 2004 წლიდან იწყება ყველაფერი.

ჩვენ აქ იმას არ ვამბობთ, რომ ხედვა და სმენა დავიხშოთ და საზღვრებს იქით არ გავიხედოთ, ღმერთმა დამგვიფაროს. კაციობრიობას ხომ ერთი ღმერთი და ერთი წინაპარი წყვილი გვყავს – ადამი და ევა. წარღვნის შემდეგ ნოეს სამი ვაჟის: ქამი, სემი და იაფეთის შთამომავალნი, შეიძლება ითქვას – ბიძაშვილები ვართ მთელი კაცობრიობა და რა უნდა გვქონდეს გასაყოფი?! ჩვენ, უბრალოდ, იმის თქმა გვინდა, რომ ჯერ ჩვენი, მშობლიური ავითვისოთ კარგად და მერე ის შევადაროთ სხვისას. რასაც იქ უკეთესს დავინახავთ, კი, ბატონო, გამოვიყენოთ ეროვნულისა და ინტერნაციონალური მიღწევების გონივრული დაბალანსების, ზომიერების გრძნობის დაცვით, უკიდურესობაში გადავარდნის გარეშე. როგორც ა. მ. სტოლიარენკო აღნიშნავს: „დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ეროვნულ გამოცდილებას, ხოლო უცხოურს კი — ყურადღებითა და გააზრებულად, რომ უკიდურესობაში არ გადავვარდეთ“ (ა. მ. სტოლიარენკო, ზოგადი პედაგოგიკა, მ., 2006, გვ. 99).

მაშინ, როცა ამდენს ვსაუბრობთ ეგზისტენციალიზმზე, ინდივიდუალობის შენარჩუნებაზე და ამავედროულად დაჟინებით მოვითხოვთ უცხოური (და თანაც ფსიქოლოგიზირებული) პედაგოგიკის ყაიდაზე გადასვლას, ამით ხომ არ ვენიანააღმდეგებით საკუთარი თავის იდენტურობას?! მე ქართველი ვარ და ქართველობა მინდა. მხარს ვუჭერ ინტერნაციონალურ მეგობრობას და არა შერწყმას.

ასევე, არანაკლებ პრობლემატურია მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ზედმეტი ჩარევა, განსაკუთრებით იმათგან, რომლებსაც არანაირი პედაგოგიური ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნიათ, უფრო მეტიც, ერთი გაკვეთილიც კი არ ჩაუტარებიათ ოდესმე. მაგალითად, ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები, ჟურნალისტები, ეკონომისტები და ა.შ.

პედაგოგიური პროცესები მივანდოთ პედაგოგს, ვისაც უშუალოდ მიჰყავს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. ზედმეტი სენტენციებისა და გადატვირთვის გარეშე მივუშვათ ერთმანეთთან მასწავლებელი და მოსწავლე პედაგოგიკური მეცნიერებისა და პედაგოგიური ხელოვნების შუამავლობით. კონტექსტში: მასწავლებელი-პედაგოგი-

კა-მოსწავლე. ამასთან დაკავშირებით სრულიად ვეთანხმებით ნილ პოსტმანის მიერ არგუმენტად მოყვანილ თეოდორ როზაკის სიტყვებს: <<მეტისმეტად ბევრი ინსტრუმენტი, ისევე, როგორც მეტისმეტად ბევრი ბიუროკრატია, მხოლოდ ხელს უშლის სწავლებისა და სწავლის ბუნებრივ დინებას>> . . . <<განათლების პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას, უნდა გადაიჭრას მასწავლებლისა და მოსწავლეების გამოცდილებით>> (ნილ პოსტმანი, განათლების მიზანი. თბ. 2007, გვ. 32).

ამის თვალსაჩინო რეალური მაგალითია რეპეტიტორობის ინსტიტუტი. სიმართლეს შევხედოთ თვალეზში და ვალიაროთ, რომ XX ს. მეორე ნახევრიდან, (მანამდელზე არ ვიცი) აბიტურიენტთა უმცირესი ნაწილის გარდა, რეპეტიტორთან მომზადების გარეშე, უმაღლეს სასწავლებელში არავინ არ ჩარიცხულა. ე. ი. პედაგოგიური ცოდნის დეფიციტზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მაშ, რაშია საიდუმლო?! სრულიად მარტივ ანალიზს მივყავართ ჭეშმარიტ პასუხამდე. აქ მასწავლებელი თავისუფალია და აქვს საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის, არჩევანის საშუალება, შინაგანი და გარეგანი მოტივი. მატერიალურ და მორალურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება. შევუქმნათ მას იგივე პირობები სკოლაში, და, თქვენ იხილავთ საოცრებებს!

თუმცა ნამდვილი მასწავლებლები ამის გარეშეც მაქსიმუმს აკეთებენ. მაგალითად ერთ სრულიად უბრალო, მაგრამ პედაგოგიურად ღირებულ მაგალითს მოვიყვან: კერძო საშუალო სკოლა „აისი“ ჩვეულებრივ მივედი 5 საათზე 9 საათზე მიყვანილი ბავშვის, II კლასელი მოსწავლის წამოსაყვანად. კლას-კაბინეტში ვიხილე მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის შემეცნებითი ურთიერთობის ულამაზესი პედაგოგიური ეპიზოდი. მასწავლებელი ზის მაგიდასთან და მის ირგვლივ შემოჟღერუტუნებულნი არიან რაღაცით უზომოდ დაინტერესებული მოსწავლეები. ვხედავ მაგიდაზე აწყვია ყველა სახის ხურდა ფული, თურები. პირველად ვიფიქრე ის, რასაც ყველა ადამიანი გაიფიქრებდა – რაღაცისთვის ფულს აგროვებენ-მეთქი. ნურას უკაცრავად! აღმოჩნდა, რომ დიდ მათემატიკასთან გვქონდა საქმე. გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელი ქალბატონი ლალი გურაშვილი თავის მოსწავლეებს, რომლებიც თავიანთი ასაკის გამო ხურდებთან და ფასებთან ჯერ-ჯერობით მთლად კარგად ვერ არიან გაცნობიერებულნი, ახსნიით და კითხვა-პასუხების მეთოდით თვალსაჩინოდ ყველას ერთად და სათითაოდ ავარჯიშებდა მანამ, სანამ „კეთება“ არ ასწავლა, ანგარიშის ცოდნა პრაქტიკულ უნარ-ჩვევამდე არ დაუყვანა. პირველად აქ შევიგრძენი ხურდა ფულის ესთეტიკა. ამ მცირედ პედაგოგიურ ეპიზოდში იყო კომუნიკაცია, ბავშვების სიყვარული, პროფესიული სიამაყე, პედაგოგიკური მეცნიერება, პედაგოგიური შემოქმედება – კრეატიულობა, სილამაზე, ყოველივე საუკეთესო. როგორც ცნობილია, ყველაზე დიდი მასწავლებელი არის მასწავლებელ-მოსწავლის პრაქტიკული გამოცდილება. ;;ხოლო გამოცდილება ის ცოდნა და უნარია, რომელიც მიღებ-

ულია რაიმე საქმიანობისგან მუშაობის განმავლობაში“ (მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის გზამკვლევი. თბ. 2011, გვ. 67).

რაც შეეხება მანდატურებს ანუ პოლიციურ რეჟიმს სკოლაში, ორი, თავთავის მხრივ ღირებული, მაგრამ ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებადი ინსტიტუციების ხელოვნურ „შეჯახებას“, რომელმაც მთლიანად დააკნინა სკოლის არსი და ღირსება. 3–მილიონიან ქვეყანაში 32000–მდე პატიმარი და 70000–მდე პრობაციონერი და ამას დამატებული სასკოლო მანდატურიზაცია ხომ არ ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის კრიმინალურ ქვეყნად გამოცხადებას?! მოტივი ყვალასათვის ცხადია: საზოგადოების, დაშინება და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების იძულებით მხარდამჭერთა გაფართოება. სკოლა დაშინების, იძულების კოლონია კი არ არის, არამედ შეგნებულობის, ურთიერთსიყვარულის, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპებზე აგებული „ცოდნის ტაძარი“. სკოლასა და მასწავლებელს უნდა დაუბრუნდეს თავისი დიდება და დაემსგავსოს ვიტორინო და ფელტრეს ცნობილ „სიხარულის სკოლას“. პოლიცია სასწრაფოდ უნდა იქნეს სკოლიდან გამოყვანილი.

ადამიანებს, საზოგადოებას არაფერი თრგუნავს ისე, როგორც უსამართლობის განცდა. უსამართლობაა ყოველგვარი უბედურების მშობელი. აქ არგუმენტად მინდა მოვიშველიო დიდი თამარ მეფის სამართალთან დაკავშირებული მარად გაუხუნარი სიტყვები, რომელიც ვ. აფრიდონიძეს აქვს ციტირებული თავის წიგნში: <<ინწყეთ მ ა რ თ ლ მ - ს ა ჯ უ ლ ე ბ ა , თუ მე ვიყო დამნაშავე, გვირგვინი, რომელიც მე მადგია, მ ო მ ხ ა დ ე თ , (ხაზგასმა ჩვენია–გ. ხ.) რადგანაც გვირგვინი არის ნიშანი მეფობისა და არა ღვთისწინააღმდეგობისა და უსამართლობისა. ნუ მისდევთ ნურც გვარს, ნურც მთავართა დიდკაცობას და ნურც ღარიბთა სიმცირეს. ყველას სიმართლით მოექცეით – გლეხსა და თავადს, მცირესა და დიდებულთ, ვიმოქმედოთ ერთად ქვეყნის საკეთილდღეოდ>> (წიგნიდან ვ. აფრიდონიძე, „მასწავლებელი – ცოდნის ჩაუქრობელი ლამპარი. თბ., 1990, გვ. 32).

მიუხედავად ამგვარი ქართული მენტალიტეტისა, (რა დასანანია XXI საუკუნეში XII ს. ფეოდალური ხანის სამართლის უზენაესობას მივსტირით) ბევრი მწარე მოსაგონარი დაგვიტოვა „ერთიან ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ხალხის მიერ კანონიერად არჩეული ახალი ხელისუფლების უკვე, მისივე თქმით, ო პ ო ზ ი ც ი ა შ ი გადასულმა პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა. მაგრამ ბიბლია გვასწავლის, რომ „არაფერია დაფარული, რაც არ გამჟღავნდება და არ არსებობს საიდუმლო, რომელიც არ გამოაშკარავდება“ (მათე 10:26). ყველას მიეზღვება თავთავის საქმეებისამებრ. მაგრამ გულსატკენია, რომ სრულიად უსაფუძვლოდ, სრულიად გაუმართლებლად და დაუმსხურებლად ამის საჭიროება დადგა ჩვენს ანტიკური ცივილიზაციის, კოლხური მოდგმის ერში.

კიდევ უფრო მრავლადაა კრიტიკის საგანი განათლების სისტემაში, მაგრამ ვფიქრობთ, ნაშრომში დასახელებული ფაქტებიც საკმარისია პრობლემების წამოსაჩენად.

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, აქვე მოვახდენთ კონსტანტაციას იმ ფაქტორებისა, რომლებმაც ჭეშმარიტად ხელი შეუშალეს საქართველოში ეროვნული განათლების ბუნებრივი განვითარების კანონზომიერებას. აღზრდაში შესაძლო წარმატებების მიღწევას. როგორცაა: ა) განათლების ძირშივე მცდარი საკადრო პოლიტიკის გატარება: დოქტორის დიპლომების მეცნიერების კანდიდატურის უპირობოდ გაცემა და პროფესორის არსის ფალსიფიკაცია; ბ) წარსულის უმდიდრესი პედაგოგიური მიღწევებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება და უცხოური ტრავიალური აღმოჩენებისადმი მექანიკური, გაუნონასწორებელი მიდგომა; გ) განათლების მიზნისა და საშუალებების პრიორიტეტთა, პედაგოგიკურ ცნებითი ტერმინოლოგიის აღრევა; დ) სილაბუსების გაუმართაობა; ე) XII კლასით სკოლისა და ახალგაზრდების დამძიმება; ვ) სკოლაში პოლიციური რეჟიმის დამყარება და ა. შ.

აღნიშნული პრობლემების თუნდაც ნაწილობრივ გადასაჭრელად, ვფიქრობთ, ლოგიკური იქნება გარკვეული რეკომენდაციების ჩამოყალიბება;

1. ჭეშმარიტი განათლებისა და აღზრდისათვის ჭეშმარიტი, მონეს-რიგებული, სამართლიანი მაკრო და მიკრო გარემო პირობების შექმნა;

2. ფუნდამენტური პედაგოგიური ცოდნა–გამოცდილების თანამედროვე პედაგოგიური მიღწევებით შეჯერება და დროის, ადგილისა და სიტუაციის მოთხოვნებთან, ეროვნულ მენტალიტეტთან შესაბამისობაში მოყვანა;

3. მეცნიერების კანდიდატებისათვის კამფეტებივით დარიგებული მეცნიერების დოქტორის დიპლომების ბათილად ცნობა;

4. აღზრდის მიზნის – „კონკურენტუნარიანთა აღზრდის“ შეცვლა „თანაცხოვრებისუნარიანთა“ აღზრდით.

5. აღსაზრდელის განვითარების პოტენციალური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინება და მისი სრულყოფისათვის შესაბამისი პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალურ–ეკონომიური და კულტურული (პოლიტიკის ხსენებაზე მზარავს გ.ხ.) პირობების შექმნა;

6. მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ზედმეტი ხელშემშლელი ბარიერების, უპირველეს ყოვლისა, პოლიციური დამამცირებელი რეჟიმის მოხსნა და თავისუფალი, შემოქმედებითი პედაგოგიური პროცესის აგება ბუნებრივი შუამავლის: პედაგოგიკის მეცნიერების, პედაგოგიური ხელოვნებისა და მათი პირადი ურთიერთობის გამოცდილებათა საფუძველზე, სკოლის უახლეს, მარადიულ და ბუნებრივ მოკავშირესთან, ოჯახთან ერთად;

7. მასწავლებელთა პროფესიული მომზადების სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სილაბუსების ოპტიმიზირება ეროვნული მენტალ-იტეტის გათვალისწინებით;

8. მასწავლებლის მატერიალური და მორალურ-ემოციური სტიმულირება.

ლელა რეხვიაშვილი
პედაგოგიკის დოქტორი

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ფაქტორები

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია
2. მ. ფ. კვინტილიანე, ორატორის დარიგებანი, (შესავალი), სანკტ-პეტერბურგი, 1834.
3. ჟურნ. კულტურათაშორისი კომუნიკაციები, 2008, №3.
4. მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის გზამკვლევი. თბ., 2011.
5. პედაგოგიკა, ა. მ. სტოლიარენკო. მ. 2006.
6. დევიდ პერკისონი, გონივრული სკოლები, თბ., 2007.
7. ნილ პოსტმანი, განათლების მიზანი. თბ., 2008.
8. რუდოლფ შტაინერი, ბავშვის აღზრდა სულიერი მეცნიერების თვალსაზრისით. თბ., 1990.

რ ე з м е

гулнази Хухуа

Учитель---педагогика--ученика

В труде проанализированны существующие в системе образования некоторые недостатки- обсуждаются пути их исправления- Освобождение отношений между учителем и учениками от излишних технических и бюрократических посредников- Обеспечение учителя свободой- творческим подходом к делу- материальными и эмоциональными условиями- Сохранение национального педагогического опыта и осмысленное перенесение эффежного-

ძალიან ძნელია ესთეტიკური იდეალის და მხატვრული გემოვნების ფორმირება მაშინ, როდესაც პიროვნება უკვე ჩამოყალიბებულია. პიროვნების ესთეტიკური განვითარება იწყება ადრეულ ბავშვობაში. იმისთვის, რომ ზრდასრული ადამიანი გახდეს სულიერად მდიდარი, მის ესთეტიკურ აღზრდაზე უნდა ვიზრუნოთ სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში, რადგან სწორედ ამ ასაკში განსაკუთრებული ინტენსივობით ხორციელდება სამყაროსადმი დამოკიდებულების ფორმირება, რომელიც თანდათან პიროვნების თვისებად გადაიქცევა.

ზნეობრივ-ესთეტიკური თვისება ყალიბდება ადრეულ ბავშვობაში და შეინახება მეტ – ნაკლებად შეცვლილი სახით მთელს ცხოვრებაში. ესთეტიკური აღზრდა რთული და ხანგრძლივი პროცესია. აღზრდის პროცესში იდეალები განიცდიან ცვლილებას. ცალკეულ შემთხვევებში ცხოვრებისეული ძვრების, უფროსების, მეგობრების, ხელოვნების ნიმუშების გავლენით საფუძვლიან ცვლილებებსაც კი.

უმცროს სასკოლო ასაკში ესთეტიკურ იდეალთან გაცნობის წამყვან ფორმას წარმოადგენს საბავშვო ლიტერატურა, მულტფილმი და კინო. წიგნის, მულტფილმის ან კინო-გმირები – ადამიანები იქნებიან ისინი, ცხოველები თუ ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული ფანტასტიკური არსებები- წარმოადგენენ სიკეთისა და ბოროტების, გულცივობის, უხეშობისა და გულმოწყალების, სამართლიანობისა და სიცრუის მატარებლებს. პატარა ბავშვი სიმპათიით იმსჯელებს იმ გმირების მიმართ, რომლებიც იბრძვიან ბოროტების წინააღმდეგ და ხდება სიკეთის მომხრე და მიმდევარი. “ეს უკვე იდეალის, როგორც მსოფლმხედველობის ნაწილის ფორმირებაა იმ თვისებურ ფორმაში, რომელიც პატარებს შესაძლებლობას აძლევს მარტივად და თავისუფლად შევიდნენ საზოგადოებრივი იდეალების სამყაროში. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის პირველი იდეალური შთაბეჭდილებები არ დარჩნენ მხოლოდ ვერბალურ-სახოვანი გამოხატვის დონეზე. აუცილებელია მუდმივად, ყველა საშუალებებით წავაქეზოთ ბავშვები იმისკენ, რომ თავიანთ ქცევაში და საქმიანობაში მიბადონ საყვარელ გმირებს, რეალურად გამოამუღაფონ სიკეთეც, სამართლიანობაც და უნარი, გამოხატონ იდეალი თავის შემოქმედებაში: ლექსებში, სიმღერაში და ნახატში”.

უმცროსი სასკოლო ასაკიდან იწყება ცვლილება მოტივაციურ სფეროში. ბავშვების ხელოვნებისა და სილამაზისადმი დამოკიდებულების მოტივები გაიზარდა და დიფერენცირდება. ამ ასაკში შემცირებით სტიმულს ემატება ახალი – შეგნებული მოტივი. ეს იმაში გამოიხატება, რომ “ .. ბავშვების ერთ ნაწილს სწორედ ესთეტიკური დამოკიდებულება აქვს ხელოვნებისა და სინამდვილისადმი. ისინი იღებენ სიამოვნებას წიგნის წაკითხვით, მუსიკის მოსმენით, ხატვით, ფილმის ყურებით. მათ ჯერ არ იციან, რომ ეს არის ესთეტიკური დამოკიდებულება, მაგრამ მათში უკვე მოხდა ხელოვნებისა და ცხოვრებისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების ფორმირება. ხელოვნებასთან სულიერი ურთიერთობის მისწრაფება თანდათან გადაიქცევა მოთხოვნილებად.

ბავშვების მეორე ნაწილი ხელოვნებასთან ურთიერთობს ესთეტიკური დამოკიდებულების გარეშე. მათ ნაწარმოებისადმი აქვთ რაციონალური დამოკიდებულება: მიიღეს რა რეკომენდაცია წაიკითხონ წიგნი ან ნახონ ფილმი, ისინი კითხულობენ და უყურებენ დედააზრის ღრმა წვდომის გარეშე, მხოლოდ იმისთვის, რომ იქონიონ მასზე ზოგადი წარმოდგენა.”

ხდება ისეც, რომ კითხულობენ, უყურებენ ან უსმენენ პრესტიჟული მოსაზრების გამო. ბავშვების ხელოვნებისადმი დამოკიდებულების მოტივების ცოდნა პედაგოგს დაეხმარება ყურადღება მიაპყროს ჭეშმარიტად ესთეტიკური დამოკიდებულების ფორმირებაზე.

ბავშვის ცხოვრებაში აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ყველაფერს: კოსტუმის სისუფთავე, შენობის სილამაზე და ინტერიერის დიზაინი, პირადი დამოკიდებულების და ურთიერთობის ფორმა, ცხოვრებისა და გართობის პირობები – ყველაფერი ეს იზიდავს ბავშვს ან პირიქით აშორებს. ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ უფროსებმა გააღამაზონ გარემო, რომელშიც ბავშვები ცხოვრობენ, სწავლობენ, ისვენებენ, არამედ იმაში, რომ ჩართონ ბავშვები სილამაზის შექმნისა და შენარჩუნების აქტიურ საქმიანობაში.

სილამაზეს მხოლოდ მაშინ აღიქვამს ბავშვი, მხოლოდ მაშინ ხდება ის სილამაზის დამცველი და პროპაგანდისტი, თუ თავად მიიღო მონაწილეობა მის შექმნაში.

ესთეტიკურ აღზრდაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ერთ-ერთი ფაქტორია – გარემოს ესთეტიზაცია, რომლის როლი და მნიშვნელობა განხილულია გ.ს. ლაბკოვსკაიას შრომებში. მისი აზრით, საცხოვრებელი გარემოს ესთეტიზაცია ორგანულად არის დაკავშირებული ზოგადსაკაცობრიო პრობლემასთან – ბუნებრივი სიძლიერის რაციონალურ გამოყენებასა და გარემოს დაცვასთან. როდესაც ადამიანი მარტო რჩება ბუნებასთან, სწორედ მაშინ ვლინდება მისი ესთეტიკური კულტურის ნამდვილი სახე. ბავშვების მიერ ბუნების განვითარების კანონების ცოდნა, მისი ფორმირების მრავალმხრივი დანახ-

ვის უნარი, მისი სილამაზის წვდომა – ეს არის ის მთავარი, რაც უნდა ასწავლოს სკოლამ.

პიროვნების ესთეტიკური განვითარების მეორე ფაქტორია – ყოფის ესთეტიზაცია. “ ესთეტიკური თვალსაზრისით, ყოფა წარმოადგენს პიროვნების, ჯგუფის, კოლექტივის ესთეტიკური განვითარების ლაკმუსის ქაღალდს. ყოფითი მატერიალური გარემო, მისი სულიერება ან უსულობა – ამ გარემოს შემქმნელი ხალხის შესაბამისი თვისებების მაჩვენებელია” – აღნიშნავს გ.ს. ლაბკოვსკაია (იქვე, გვ.31).

თავის ნაშრომში “ მოსწავლეთა ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდა” კ.გ. გავრილოვეცი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასკოლო გარემოს ესთეტიზაციის საკითხს. “ სკოლის გარემოს ესთეტიკა – ეს კლასების, კაბინეტების, დარბაზების, დერეფნების და ა.შ. მოწყობაა. ვესტიბულის მორთულობა, სტენდების გაფორმება – ყველაფერი ეს პედაგოგის ან მდუმარე დამხმარენი არიან ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდაში, ან მისი მტრები.”

თუ ბავშვი პირველი კლასიდან სკოლის დამთავრებამდე იმყოფება ისეთი საგნების გარემოცვაში, რომლებიც გამოირჩევიან სილამაზით, სისადავით, მიზანშეწონილობით, მაშინ მის ცხოვრებაში ქვეცნობიერად ისეთი კრიტერიუმები ინერგებიან, როგორცაა წესრიგი, მიზანშეწონილობა, ზომიერება, ანუ კრიტერიუმები, რომლებიც მოგვიანებით განსაზღვრავენ მის მოთხოვნილებებს და გემოვნებას. თუ კაბინეტში ან კლასში სისუფთავეს არ ექცევა ყურადღება, მოსწავლეს თანდათან უყალიბდება შემწყნარებლური დამოკიდებულება უწესრიგობის მიმართ, რასაც ის აუცილებლად ოჯახშიც გამოამჟღავნებს.

ქვევისა და გარეგნობის ესთეტიკა ესთეტიკური აღზრდის არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია. აქ ბავშვზე არსებით ზეგავლენას ახდენს მასწავლებლის პიროვნება, რადგან მის კოსტუმში, ვარცხნილობაში, მანარებში ვლინდება ესთეტიკური გემოვნება, რომელმაც არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს ახალგაზრდების გემოვნების ჩამოყალიბებაზე. ჩაცმულობის მოდური და ამავე დროს საქმიანი სტილი, ზომიერება კოსმეტიკური საშუალებების მოხმარებაში, სამკაულების შერჩევა და ა.შ. ხელს უწყობს ბავშვებში სწორი შეხედულებების ჩამოყალიბებას ადამიანის შინაგანი თვისებებისა და გარეგნობის შესაბამისობაზე, გამოუმუშავებს მათ ღირსეული ადამიანის ზნეობრივ-ესთეტიკურ კრიტერიუმს. თავის მხრივ, მასწავლებლის მიერაც უნდა იყოს წაყენებული მოთხოვნა ბავშვებმა ჩაიცვან კოსტად, დაიცვან ჰიგიენის წესები, სისუფთავე, გაუფრთხილდნენ სასწავლო ნივთებს და ა.შ.

ქვევის კულტურა, საზოგადოებაში მიღებული ქვევის მანერების გარდა, მოიცავს “ურთიერთობის კულტურასაც”, ურთიერთობას უფროსებსა და მოზარდებს შორის, აგრეთვე ურთიერთობას ბავშვთა კოლექტივში. პიროვნების ესთეტიკურ განვითარებაში შიდაკოლექტი-

ური ურთიერთობების აღმზრდელობითი ზეგავლენის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ურთიერთობის გამოცდილება ადამიანის მიერ ღრმად განიცდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის არასაკმარისად გააზრებულია. “ადამიანებს შორის საკუთარი თავის განცდა”, მათ შორის სასურველი მდგომარეობის დაკავება—წარმოადგენს პიროვნების ფორმირების მძლავრ სტიმულს. ესთეტიკური ურთიერთობის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ მეგობრობა, ურთიერთდახმარება, ერთგულება, სიკეთე, ყურადღება. უფროსებთან ერთად ბავშვთა მონაწილეობა სხვადასხვა ღირსების ურთიერთობებში - მოზარდთა პიროვნებაზე ღრმა ანაბეჭდს ტოვებს, რაც შემდგომ მათ საქციელს ხდის მისაღებ ან უმსგავსო საქციელად. სწორედ ურთიერთობათა ერთობლიობიდან ხორციელდება ბავშვის ზნეობრივ-ესთეტიკური სახის ფორმირება.

ემოციური გამოცდილების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს შიდაოჯახური ურთიერთობები. ოჯახის მაფორმირებელი და განმავითარებელი მნიშვნელობა ცალსახაა. მაგრამ, სამწუხაროდ, თანამედროვე ოჯახთა მეტი ნაწილი ყურადღებას არ აქცევს თავისი ბავშვის ესთეტიკურ განვითარებას. ასეთ ოჯახებში იშვიათად საუბრობენ ბუნებისა და გარემომცველი ნივთების სილამაზეზე, მუხეუმში და თეატრში სიარულზე – ლაპარაკიც ზედმეტია.

კლასის დამრიგებელი უნდა დაეხმაროს ასეთ ბავშვებს ემოციური დანაკარგის შევსებაში და ბავშვებთან, აგრეთვე, მათ მშობლებთან წაატაროს საუბრები, ლექცია მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის შესახებ.

მიზანმიმართულად ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა ხორციელდება სკოლაში. ყოველ სასკოლო საგანს შეუძლია ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა, რადგან თითოეულ მათგანში არის ესთეტიკური ელემენტი. მათემატიკა, ფიზიკულტურა, ბუნებისმცოდნეობა აღძრავს ბავშვებში თავისი მასალის საშუალებით განსაზღვრულ ემოციებს. იმისთვის, რომ საგანი გახდეს ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საშუალება, მასწავლებელი შემოქმედებითად უნდა მიუდგეს თავისი მეცნიერების შესწავლას და მოსწავლეებს გაუდვიოს ინტერესი მის მიმართ. ბევრ საბუნებისმეტყველო ცნებას (პარმონია, პროპორცია, ზომა, სიმეტრია) აქვს უშუალო ესთეტიკური შინაარსი.

ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში არსებული წინააღმდეგობების გადალახვა იწვევს საზოგადოების შინაგანი ძალების მობილიზაციას, ადამიანების პიროვნულ განვითარებაში სხვადასხვა ფაქტორების მაქსიმალურ გამოყენებას. ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთ უძლიერეს ფაქტორს წარმოადგენს ხელოვნება, ვინაიდან ხალხის დამოკიდებულება მისადმი მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ სულიერ და სოციალურ განვითარებასთან. სულიერად რაც უფრო განვითარებულია ადამიანი, მით უფრო შესამჩნევად ხშირად გვხვდება მდრეკილება მიაკუთვნოს ხელოვნება დასვენების, განსაკუთრებულად მიმზიდველ

სახეობათა რიცხვს. რაც უფრო მნიშვნელოვანია ხალხის სულიერი პროტენციალი, მით მეტია მათ შორის კულტურულ დაწესებულებათა მონახულება და მით მეტი ინტენსიურობით აკეთებენ ისინი ამას.

იმისათვის, რომ ზრდასრულობაში კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება და ხელოვნებით ტკობა მოთხოვნილებად იქცეს, საჭიროა ბავშვობაში კოცონის დანთება, რომელიც მოგვიანებით ცეცხლად აგიზგიზდება.

ჩვენს ქვეყანაში არსებული სკოლისგარეშე დაწესებულებები, როგორცაა სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, სტუდიები, საბავშვო ბიბლიოთეკები, მოზარდმაყურებელთა თეატრები – მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში.

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ფორმები, სპეციალიზირებული მუსიკალური და სამხატვრო სკოლები ძირითადად აერთიანებენ ხელოვნებისადმი გამოკვეთილი ინტერესის მქონე ბავშვებს.

დიდი გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ინტერესის არსებობის შემთხვევაშიც კი მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას არ აქვს ეკონომიური შესაძლებლობა ისწავლოს ხელოვნების სკოლებში, რადგან ეს ძვირადღირებული სიამოვნება გახდა. ამიტომ სკოლამ უნდა იტვირთოს მათზე ზრუნვა და მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდა-განათლებას მისცეს სისტემური ხასიათი.

მოსწავლეთა ხელოვნებით დაინტერესების ხარისხის გარკვევის მიზნით ჩვენ ჩავატარეთ პედაგოგიური კვლევა თბილისის 141, 10, 175 და გორის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ანკეტირებამ მოიცვა 107 მეექვსე და მერვეკლასელი.

I. დადიახარ თუ არა სამუსიკო ან სამხატვრო სკოლაში?

- ა) დიახ, დავდივარ
- ბ) არა, მაგრამ ძალიან მინდა ვიარო
- გ) არ დავდივარ და არც მინდა

ანკეტის შეკითხვას დადებითად უპასუხა	22,6%
არ დადის , მაგრამ ძალიან უნდა იაროს	35,9%
არ დადის და არც უნდა	33,9%
არ უპასუხა	1,7%
დავდიოდი მუსიკაზე, მაგრამ გამოვედი	5,8%

მიღებული პასუხები ცხადყოფს ჩვენი დაკვირვების მართებულობას იმის შესახებ, რომ ეკონომიური შეჭირვებულობის გამო მოსწავლეები ვერ ახერხებენ თავიანთი ინტერესების დაკმაყოფილებას და მათი რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატება მატერიალურად შედარებით უზრუნველყოფილ თანატოლთა რიცხვს.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ გამოკითხულთა 5,8% დადიოდა მუსიკალურ სკოლაში და შეწყვიტა სწავლა. ძალიან ხშირად მშობლებს თავის მოვალეობად მიაჩნიათ “ნება დართონ” ბავშვს იმეცადინოს მუსიკაში ან იაროს სამხატვრო სკოლაში, შემდეგ კი სრულიად ავიწყდებათ თავიანთი პასუხისმგებლობა და ნებას აძლევს მას, თუკი მოისურვებს, შეწყვიტოს იმეცადინეობა. ჩვენი აზრით, მშობელთა ასეთი პოზიცია გარკვეულწილად ასახავს მათ შეზღუდულობას როგორც ხელოვნების აღქმაში, ასევე ბავშვის განვითარებაზე მისი ზემოქმედების გაგებაში. მშობელთა არასწორ წარმოდგენას ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის ამოცანებისა და შინაარსის შესახებ შეუძლია მიგვიყვანოს არასასურველ შედეგებამდე ბავშვების საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით.

ძნელად მოიძებნება ხელოვნების ისეთი უნიკალური დარგი, რომელშიც ასე კონცენტრირებულად თავმოყრილი იყოს ლიტერატურა, მხატვრული სიტყვა, მუსიკა, მხატვრობა, პლასტიკა, დეკორატიული გამოყენებითი, მოდელირების, კონსტრუირების, განათების ხელოვნება და არქიტექტურა. ეს თეატრალური ხელოვნებაა. “თეატრი მაყურებელთა თვალწინ მიმდინარე, დრამატული მოქმედების საშუალებით სინამდვილის მხატვრულად ამსახველი ხელოვნების სახეა”, რომლის ესთეტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა მოზარდის კულტურული განვითარების საქმეში განუზომელია, რამეთუ მისი არსენალი ერთდროულად მოიცავს ხელოვნების მრავალ დარგს, მათ ესთეტიკურ-მხატვრულ შესაძლებლობებსა და მათდამი მაყურებლის იმავდროულ რეაქციას, რაც ესთეტიკური განცდის, ემოციათა მრავალფეროვნების სახით გვევლინება.

ჩვენი ანკეტის შემდეგი კითხვა მოსწავლეთა თეატრისადმი დამოკიდებულებას შეეხებოდა:

II. მოგწონს თუ არა თეატრში სხვადასხვა სპექტაკლზე დასწრება?

- ა) დიახ, ძალიან მომწონს
- ბ) სპექტაკლს გააჩნია
- გ) არა, არ მომწონს

თეატრში სიარული მოსწონს	45,8%
არ მოსწონს	9,3%
სპექტაკლს გააჩნია	42,9%
არ უპასუხა	1,9%

ყოველად შეუცვლელია ადამიანის კონტაქტი “ცოცხალ” ხელოვნებასთან – თეატრში, მუზეუმში, გამოფენაზე, საკონცერტო დარბაზში. ადამიანები, რომლებიც არ დადიან კულტურის ამ დაწესებულებებში, საგრძნობლად ჩამორჩებიან მხატვრულ განვითარებაში.

ბუნებრივია, ჩვენ დავეინტერესდით რამდენად ხშირია მოსწავლეთა დასწრება სხვადასხვა ღონისძიებებზე კულტურის დაწესებულებებში.

III. მიმდინარე სასწავლო წელს რამდენჯერ იყავი თეატრში, მუზეუმში, გამოფენაზე ან კონცერტზე?

ერთხელ	13,1%
არც ერთხელ	14%
ვცდილობ ვიარო ხშირად	21%
კონცერტზე	51,9%

გამოფენა წლის განმავლობაში ერთადერთმა მოსწავლემ მოინახულა, მუზეუმით კი არავინ დაინტერესებულა.

თუ გავაანალიზებთ ანკეტის II და III კითხვის პასუხებს, დავინახავთ, რომ გამოკითხულთა 40% არჩევით ეკიდება სპექტაკლის შინაარსს და თითქმის ნახევარს მოსწონს თეატრალური ხელოვნება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თეატრალური ხელოვნება ბავშვებისათვის მარტივად აღსაქმელი ხელოვნებაა, რასაც ვერ ვიტყვით, მაგალითად სახვით ხელოვნებაზე. შესაბამისად, მუზეუმში და საგამოფენო დარბაზში სასწავლო წლის განმავლობაში არავინ წასულა ერთი მოსწავლის გარდა და ისიც იმიტომ, რომ “ელენე ახვლედიანის საგამოფენო დარბაზში ჩემი ნამუშევრები იყო გამოფენილი”-ო.

მოსწავლეთა შორის პოპულარობის თვალსაზრისით საეჭვოა მუსიკას ხელოვნების სხვა რომელიმე დარგი შეედრებოდეს, რაც ამჯერადაც დადასტურდა. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა მეტი წილი დადის კონცერტებზე არა საკონცერტო დარბაზში, არამედ ღია ცის ქვეშ გამართულ ღონისძიებებზე, და მხოლოდ რამოდენიმემ მიუთითა ფილარმონიაში გამართულ “იუმორინა“-ზე დასწრების შესახებ. “ვცდილობ ვიარო, თუ დღესასწაულთან დაკავშირებით უფასო კონცერტი გამოცხადდება”; “მერია ან პრეზიდენტი თუ დაგეგმავს კონცერტს - დავდივარ”; “თითქმის ყოველ წელს ვესწრები “იუმორინას”; “დიახ, დავდივარ თუ უფასო კონცერტია სადმე”; “ახალ წელს მეგობრებთან ერთად აუცილებლად დავდივარ კონცერტზე დასასწრებად, ძაან მაგარი კონცერტებია ხოლმე და მაგარ დროსაც ვატარებთ” (სტილი დაცულია).

ჩვენი ვარაუდით, თეატრში მოსწავლეთა სპექტაკლზე დასწრება –სკოლების დამსახურებაა, რადგან იქ ვრცელდება აბონიმენტები, რომელთა მეშვეობით მოზარდები ეზიარებიან ამ დიდ ხელოვნებას. სასურველია ადღგეს ორი ათეული წლის წინ სკოლებში არსებული მუსიკალური აბონიმენტები, რომლებიც ითვალისწინებდნენ მოსწავლეებში კლასიკური მუსიკისადმი ინტერესისა და სიყვარულის გაღვივებას.

IV. თველი თუ არა, რომ ეს საკმარისია იმისთვის, რომ იყო კულტურული აღამიანი?

- ა) დიახ, სავსებით საკმარისია
- ბ) არ ვიცი
- გ) არა, არ არის საკმარისი

დადებითად უპასუხა	20,6%
არ იცის	29,8%
თველის , რომ არასაკმარისია	37,4%
არ უპასუხა კითხვას	12,2%

მოზარდების თეატრით ან მუსიკით დაინტერესების შემთხვევაში ნუ ვიფიქრებთ, რომ ამით უზრუნველყოფილი იქნება მათი წარმატებული მხატვრული განვითარების პროცესი. გულუბრყვილობა იქნებოდა გეგმიური, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია ერთჯერადი აქციებით, ხმაურიანი ღონისძიებებით, ან მცირეოდენი “სისხლის გამოშვების” მცდელობით, პრინციპით – “რაღაც მაინც გავაკეთოთ”. ნამდვილი ეფექტი მიღწევა მოსწავლეზე მხოლოდ ხელოვნების ყველა სახეების კომპლექსური ზემოქმედების შემთხვევაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა ყოველდღიური და სისტემურად ორგანიზებული მუშაობა, რომელიც ახდენს იმ ძალების კოორდინაციას, ვისაც აქვს კავშირი მოზარდთა ესთეტიკურ აღზრდასთან.

წარსულის მანკიერებების აღმოფხვრისას ჩვენ გადავადგეთ იმ წლების ბევრი ნაყოფიერი მიღწევა. ჩვენი აზრით, უნდა აღვადგინოთ ადრე არსებული მხატვრულ-საგანმანათლებლო და მხატვრულ-აღმზრდელობითი სისტემა სახეცვლილი და გამდიდრებული სახით. ნამდვილ ხელოვნებას დღესაც, ცხოვრების კატაკლიზმების მიუხედავად, შეუძლია ითამაშოს პიროვნების ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი როლი.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ გაგვერკვია მოსწავლეებში გამოიწვევდა თუ არა ინტერესს სკოლებში ჩამოყალიბებულიყო ხელოვნების მოყვარულთა წრე ან კლუბი.

V. ჩვენს კითხვაზე – გსურს თუ არა მეტი იცოდე ხელოვნების შესახებ?

მივიღეთ შემდეგი პასუხები:

არ სურს	15,8%
არ უპასუხა რესპოდენტთა	1,7%
არ ვიცი	6,3%
ჩემთვის სულერთია	3,5%

ხელოვნებისადმი ინტერესი გამოიჩინა გამოკითხულთა დარჩენილმა 72,7%. მოვიყვანოთ რამდენიმე ამონარიდს მათი პასუხებიდან: “ დიახ, დაინტერესებული ვარ ხელოვნებით და მინდა მეტი ვიცოდე”; “ რა თქმა უნდა მინდა. მე ვფიქრობ, რომ ცოდნის გაღრმავება ნებისმიერი მიმართულებით აუცილებელია და არასოდესაა საკმარისი”; “მსურს, მაგრამ დრო არა მაქვს”; “არ მაწყენდა, მაგრამ სხვა რაღაცეებს ვანიჭებ უპირატესობას”; “დიახ მსურს, რადგან რაც ვიცი, საკმარისი არ არის” და სხვა.

VI. გსურს თუ არა, რომ სკოლაში ჩამოყალიბდეს ხელოვნების მოყვარულთა წრე ან კლუბი?

არ სურს 9,3% (არ მაინტერესებს, არ მესმის”; “ სისულელეა ეგეთ რამეზე დროის დაკარგვა. ჯობია უნარების შემსწავლელი წრე გახსნან”; “ მე არ გავწევრიანდები, მაგრამ თუ იქნება – სხვა გაერთობა”; “ სავალდებულო თუ არ იქნება – იყოს. მე არ მცალია და არ ვივლი”. არ აინტერესებს 0,9%

ინდიფერენტული განწყობა გამოავლინა 5,6% (“არ აქვს ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა”).

წრის ან კლუბის ჩამოყალიბებას აღტაცებით შეხვდა გამოკითხულთა უმრავლესობა - 54,2%

აი ზოგიერთი პასუხი, რომელიც ასახავს მათ განწყობა-დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი: “ძალიან გამიხარდება, თუ ეს იქნება!” “ძალიან მინდა! ხელოვნების ერთი წრე არის, მაგრამ ეს არაა საკმარისი”; “ეს ძალიან, ძალიან, ძალიან კარგი იქნებაააა!!!”; “ ბევრჯერ მიფიქრია ამაზე, მაგრამ ფიქრი ფიქრად რჩება. სკოლაში აუცილებლად უნდა იყოს ხელოვნების მოყვარულთა წრე”.

სასიხარულოა, რომ მოსწავლეებში არსებობს სურვილი მონაწილეობა მიიღონ მრავალფეროვან კლასგარეშე მუშაობაში, გაწევრიანდნენ ხელოვნების მოყვარულთა კლუბში, რომელიც მათ მისცემს თვითგანვითარების დიდ შესაძლებლობას. სკოლამ არ უნდა გაუცრუოს მოლოდინი მოზარდებს, უნდა დარაზმოს ისინი ინტერესების მიხედვით, მოიწვიოს კლუბში მათი მშობლები და საზოგადოებრიობა.

არასასწავლო, თავისუფალი დროის გამოყენება აღზრდისა და თვითაღზრდის ინტერესებისათვის – უდიდესი პედაგოგიური მნიშვნელობის ამოცანაა. არ შეიძლება იმისი დავიწყება, რომ თავისუფალი დრო თავისთავად შეიცავს უარყოფითი ზეგავლენის საფრთხეს. ამიტომ, მოცლილობის უამს სასურველია ბავშვი ჩაბმული იყოს ორგანიზებულ, მართვად, მიზანმიმართულ პროცესში და მიიღოს მისი ინტერესის შესაბამისი განათლება. კლუბის ან წრის საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითადი შინაარსი მდგომარეობს მოსწავლის თვალსაწიერ-

ის გაფართოვებაში, გემოვნების განვითარებაში, ხელოვნების აღქმის პროცესში ემოციურ თანაგანცდაში. კლუბში გაერთიანებულ მოყვარულებს ესთეტიკურის გარდა აუცილებლად გამოუმუშავდებათ შემდეგი ღირებულებები: ზნეობრივი, საზოგადოებრივი აქტიურობა, კოლექტივიზმის გრძნობა, დამოკიდებულება შემოქმედებისადმი. ფ. შილერის სიტყვებით რომ ვთქვათ, “ხელოვნება ახდენს ზნეობრივ შემოქმედებას არა მხოლოდ იმიტომ, რომ ტკბობას გვანიჭებს ზნეობრივ საშუალებათა გზით, არამედ იმიტომაც, რომ ტკბობა, მონიჭებული ხელოვნებით, თვითონ წარმოადგენს გზას ზნეობისაკენ”.

ბამოყენებული ლიტერატურა

Б.Т. Лихачев Теория эстетического воспитания школьников. М.: Просвещение, 1985.
Г.С. Лабковская Эстетическая культура и эстетическое воспитание: книга для учителя. – М.:Просвещение, 1989.
К.В. Гавриловец Нравственно-эстетическое воспитание школьников. Минск, 1988.
ი. ბორვეი ესთეტიკა. თბილისი 1986

Резюме Лела Рехвиашвили

На эстетическое воспитание учащихся действует множество факторов, но воздействие фактора искусства – совершенно особенно, ибо оно связано с их духовным и социальным развитием.

Автор статьи, на материале педагогического исследования, выявляет большой интерес учащихся к искусству и их желание объединиться в клубе любителей искусства, тем самым решая задачу великой педагогической значимости – целенаправленно использовать неучебное, свободное время в интересах воспитания и самовоспитания.

მედიკო ანთია
ტექნიკური მეცნიერების დოქტორი
საპატიო პროფესორი, აკადემიკოსი

ეკოლოგიური განათლება დავნილთა საჯარო სკოლაში

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, მიუხედავად უამრავი დადებითი მხარეებისა, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ბუნებრივ გარემოზე. გამოიწვია მისი დაბინძურება, რღვევები და არაბუნებრივი ცვლილებები, რამაც ეკოლოგიური საფრთხის წინაშე დააყენა მთელი კაცობრიობა. აღნიშნული პრობლემა იძლევა ეკოლოგიური აღზრდის ეფექტურობის ამადლების აუცილებლობის საფუძველს.

ობიექტური რეალობა თავისით ავტომატურად არ აყალიბებს ეკოლოგიური კულტურის მქონე პიროვნებას, საჭიროა ფორმირება ეკოლოგიური აზროვნებისა, აქტიური ათვისება ეკოლოგიური კულტურისა ყოველი ადამიანის მიერ. ამაში მთავარი როლი ეკუთვნის ეკოლოგიურ განათლებასა და აღზრდას.

ეკოლოგიური აღზრდა შემადგენელი ნაწილია ზნეობრივი აღზრდისა. ეკოლოგიური აღზრდის მიზანს წარმოადგენს პასუხისმგებლობითი დამოკიდებულების ფორმირება ბუნებრივი გარემოსადმი, რომელიც ყალიბდება ეკოლოგიური შეგნების ბაზაზე. ეს მოითხოვს ზნეობრივ და სამართლებრივი პრინციპების დაცვას ბუნებით სარგებლობის პროცესში და ამ იდეის პროპაგანდის ინტენსიფიკაციას და ოპტიმიზაციას.

სოციალურ-ეკოლოგიური დაკვეთა საქართველოს განათლების სისტემისა ამბობს „ბ) ბუნებრივი გარემოპირობების შენარჩუნება და დაცვა: მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანთა ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო” (დანართი. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები. საქართველოს მთავრობის განკარგულება №84 2004წ. 18 ოქტომბერი ქ. თბილისი).

ამ პრობლემის რამდენადმე გადაწყვეტას ემსახურება ჩვენს მიერ შემოთავაზებული სასწავლო დისციპლინა „ეკოლოგიური განათლება”.

სტუდენტების – მომავალი მასწავლებლებისა და მოქალაქეების ეკოლოგიური აღზრდა ხელს უწყობს საზოგადოების ეკოლოგიური კულტურის ფორმირებას, ეკოლოგიურად აღზრდილი პიროვნების ფორმირებას, უზრუნველყოფს ხალხთა მსოფლმხედველობის ეკოლოგიურ კორექციას.

ეკოლოგიური აღზრდა გავლენას ახდენს ახალი საგანმანათლებლო პარადიგმების განვითარებაზე ჰუმანიზმის პრინციპის საფუძ-

ველზე. ეკოლოგიური აღზრდა მიმართულია იქითკენ, რომ ადამიანმა თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და ბიოსფეროს განვითარებაზე მთლიანად. დედამიწის პლანეტაზე მცხოვრებმა ყველა ადამიანმა ადრეული ასაკიდან უნდა იცოდეს სადამდე მიყვავართ გარემოსადმი დაუდევარ დამოკიდებულებას, მათ უნდა იცოდნენ იმ შედეგების შესახებ, რომლებსაც იწვევს: ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურება; ასევე გენეტიკური გადახრების; ცხოველების და მცენარების გადაშენების; ნიადაგის ნაყოფიერების შემცირების; სასმელი წყლის რეზერვების გამოლევის; ნაგავის უტილიზაციის და ასევე სხვა ნეგატიური ცვლილებების შესახებ საარსებო გარემოში. ადამიანებმა არა მარტო უნდა იცოდნენ, არამედ თითოეული მათგანი უნდა იღებდეს პიროვნულ პასუხისმგებლობას გარემოში არსებული მდგომარეობის გამო.

2002–2006 წწ თსუ-ს სოხუმის ფილიალში შემუშავებულ და აპრობირებულიქნა სასწავლო დისციპლინა „ეკოლოგიური განათლება“ სტუდენტებისათვის.

მიზნობრივი ჯგუფები:

- 2–4 კურსის სტუდენტები.
- აქტივობები
- ლექციები
- პრაქტიკული მუშაობა
- აქციები
- ტერიტორიის გასუფთავება, ხეების დარგვა
- კონფერენციები

2005 წლიდან ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს და საქართველოს ტრენერ პედაგოგთა კავშირი “ლამპარი-ს” მუშაობის ერთერთი პროგნოზიული მიმართულება არის მოსწავლე ახალგაზრდების ეკოლოგიური განათლება და აღზრდა.

ეკოლოგიური განათლების და აღზრდის გრძელვადიან მიზნად გვაქვს დასახული გარემოსდაცვითი განათლების მიცემა ბენეფიციარებისთვის, ხელის შეწყობა მათი ეკოლოგიური კულტურის ფორმირებაში; მონაწილეებისათვის ექსტრემალურ სიტუაციაში ქცევის სწორი სტრატეგიის არჩევის სწავლება; ადამიანთა და გარემოს შორის ურთიერთობის პოზიტიური გამოცდილების მიღება, ბუნების რაციონალური და მზრუნველობითი გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, გარემო პირობების ემოციური აღქმა, თვითშეფასების დონის ამაღლება, თვითდამკვიდრების ხელშეწყობა, ჯგუფური თანამშრომლობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, საზოგადოებაში თავისი ადგილის პოვნა.

2005 წლიდან ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს და სტკ „ლამპარი-ს“ ტრენერები ახორციელებენ პროექტებს ეკოლოგიურ თემაზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში.

ჩვენს მიერ 2005, 2006 წწ. გამოიცა მონოგრაფია; 2007 წელს გამოიცა წიგნი სახელმძღვანელო ნორვეგიის საგარეო საქმეთა და შვედეთის განვითარების საერთაშორისო სააგენტოსგ ფინანსური დახმარებით; ხოლო 2008 წ. — სახელმძღვანელო „ეკოლოგიური განათლება“, ასევე 4 სახელმძღვანელო „პრაქტიკული მუშაობა სტუდენტებისათვის“ (მ. ანთიას ნაშრომები).

❖ 2006 წლიდან „ლამპარმა“ ჩვენი მონაწილეობით განხორციელებული პროექტებით მოიცვა დაახლოებით 800-900 ბენეფიციარი: ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ კი დაახლოებით 600 ბენეფიციარი;

❖ სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის წარმომადგენლობამ ჩაატარა საქართველოში (VV ინტერნაციონალ-გეორგია) - 2-დღიანი და 3-დღიანი ტრენინგები კოდის სათემო განათლების ცენტრში, რომელშიც მონაწილეობდა დაახლოებით 180 ბენეფიციარი;

❖ ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო საზაფხულო ეკო-ბანაკი თბილისის ზღვაზე - 40 ბენეფიციარი (2 ჯგუფი);

❖ ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო-თბილისის ზღვაზე ტერიტორიის გასუფთავება და ზღვის გაშენება - დაახლოებით 100 ბენეფიციარი.

მიზნობრივი ჯგუფები:

• 8-17 წლის მოსწავლეები, მათი მშობლები, მასწავლებლები (აკვარიუმის პრინციპი), მოსწავლე-ახალგაზრდობა.

- აქტივობები:
- ტრენინგები
- აქციები
- ტერიტორიის გასუფთავება, ხეების დარგვა
- კონფერენციები
- სპექტაკლები

კონფერენციები თემაზე: ეკოლოგიური განათლების აქტუალური პრობლემები ჩატარდა 2005 წელს:

• საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტში;

• 2007 წელს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს სოხუმის ფილიალში თემაზე: “ეკოლოგიური განათლება მომავალი პედაგოგებისათვის” - მოსწავლეთა, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთათვის.

• “ეკოლოგიური გაკვეთილები თანამედროვე საჯარო სკოლაში” (თბილისი, 2008, 2009, 2010, 2011 წწ თბილისის №75, №105 აფხაზეთის №2, #3, საჯარო სკოლებში და სხვა.

ეკო-აქციები:

წეროვანის კომპაქტური დასახლება - ხეების დარგვა - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი.

აფხაზეთის #3 საჯარო სკოლაში ბაღის გაშენება და მოვლა; მცხეთის #1 და #2, სვენეთის, გორის #1,2,3; ფრეზეთის, თბილისის № 75, 105 და სხვა საჯარო სკოლებში;

კარალეთის კომპაქტური დასახლებაში – ხეების დარგვა, დედამიწის დღის აღსანიშნავი აქციების ჩატარება;

კოდის დევნილთა დასახლება - ტერიტორიის დასუფთავება

თბილისის ზღვის სანაპიროს დასუფთავება;

შავშეების საჯარო სკოლის ტერიტორია - ხეების დარგვა - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები

ეკოლოგიური ჩართულობა:

➤ აფხაზეთის #2 და #3; კოდას, ფრეზეთის, თბილისის №75, №105 საჯარო სკოლები, წეროვანის ლტოლვილთა დასახლება- „დედამიწის დღისადმი“ მიძღვნილია აქცია; გენიმოდინფიცირებული პროდუქტების წინააღმდეგ გამართულია აქცია; „კლიმატის კვირეულთან“ დაკავშირებული აქციები.

➤ ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოსა და საქართველოს მწვანეთა მოძრაობის მხარდაჭერით გამოცემული 2010 და 2011 წლების კალენდრები, რომლებიც მომზადდა ბენეფიციარების მიერ ეკოლოგიურ თემებზე მომზადებული პოსტერების გამოყენებით.

➤ ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს მხარდაჭერით თბილისის ზღვის კომპაქტური დასახლების ტერიტორიაზე ბენეფიციარების მიერ გაშენდა საბავშვო სათამაშო მოედანი.

კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

➤ ეკოლოგიური საკითხების ცოდნის დონე მოსახლეობის ყველა დონეზე ძალიან დაბალია;

➤ ეკოლოგიური საკითხების ცოდნის მიმართ არსებობს დიდი ინტერესი (მონაწილეები დიდი ყურადღებით უსმენდნენ და ითვისებდნენ ინფორმაციას, რაც დასტურდებოდა ვიქტორინის დროს) ;

➤ ტრენინგების ჩატარების დროს ბენეფიციარებს აქვთ შესაძლებლობა თავისი აზრის გამოთქმის, პრობლემის გადაწყვეტისას პასუხისმგებლობის თავისთავზე აღების; მუშაობისა ჯგუფში; თვითრეალიზაციის და სხვა. შედეგად ბავშვები სწავლობენ სხვისი აზრის პატივისცემას, მდიდრდება მათი სიტყვიერი მარაგი. მოსწავლეებში ვითარდება ურთიერთსიმპათია, ისინი ხდებიან უფრო კეთილი და ყურადღებიანი ერთმანეთის მიმართ.

➤ მაგრამ ეს არის დასაწყისი გზა ბავშვების განვითარების. ისინი ახლა იწყებენ ეკოლოგიური პრობლემების და მათი გადაჭრის გზების პოვნას; ურთიერთობის წესებს, მეგობრობას; მუდმივად ცვალებად საზოგადოებაში ადაპტაციას; დევნილი მოსახლეობის სტიგმის მოხსნას; წიგნიერების ამაღლებას.

➤ ჩვენ ვთვლით, რომ დღევანდელ მძიმე ეკონომიურ და ეკოლოგიური მდგომარეობის დროს აუცილებელია მოსახლეობა, და ჩვენს შემთხვევაში ბავშვი მომზადებული იყოს მძიმე პრობლემების გადაწყვეტისთვის, რომლებსაც უხვად გვიმზადებს ცხოვრება. როცა ეკოლოგიური და ურთიერთობის პრობლემები ყოველდღე რთულდება, ჩვენი აუცილებელი მოვალეობაა გავაცნოთ მომავალ თაობას რა პრობლემებთან ექნება საქმე; ვასწავლოთ კრეატიული აზროვნება, რაც მისცემს მათ საშუალებას ადეკვატური ქცევისა.

მაშასადამე, ეკოლოგიური განათლება აუცილებელია მომავალი პედაგოგებისათვის, რომ მათ უფრო ნაყოფიერად განუვითარონ მოსწავლე-ახალგაზრდობას ეკოლოგიური კულტურა.

литература

1 алексеев с в экологическое обрзование _ черееза еятеласть- с-п 2002

2 ფტეშფ ью улщдщпшгкш пфтфЕдуифю Еиюб 2008ю

3ю йфошф ью пфьщнпутишЕш улщдщпшшы ыфагЯмдуишю Еиюб 2002ю

4ю вовиков ю экология округЖдющаясреда и чедовек м2002

Р е з и у м е Мантиа

Экологическое образование в публичны школа беЖенцев
Статья касается значения экологического образования учащихя вусловяв условяэкологическгог кризиса том направлении в Грузии грузинскими и иностранными специалистами былиправедены теоритические экологические мероприятия

Подчеркивается обязательность повищения экологической культуры населения и в частности ученииов- подготовки учаши сия для етого дела

Детей нужна научить что природа имеет свои закономерности иесли нарушить эти законномерности она разрушается

ფიზიკური აღზრდის ურთიერთკავშირი აღზრდის სხვა კომპონენტებთან

საქართველოს კანონში სპორტის შესახებ ნათქვამია, რომ ფიზიკური აღზრდა და სპორტი – „ემსახურება ერის გაჯანსაღებას, მოქალაქეთა ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეს, პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდას, შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის მომზადებას, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებას, მაღალი სპორტული შედეგების მიღწევას“. ამ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის რეალიზაციას საფუძველი ძირითადად სკოლაში ეყრება. სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდის წინაშე დასახულ მიზანს, ამოცანებს, მოთხოვნებს განაპირობებს ქვეყანაში მოქმედი აღზრდის სისტემის ძირითადი კანონზომიერებანი ანუ პრინციპები, როგორც არის: 1. პიროვნების ჰარმონიული განვითარების, 2. ფიზიკური აღზრდის შრომით და თავდაცვით საქმიანობასთან კავშირის და 3. გააჯანსაღებელი მიმართულების პრინციპი, აქედან გამომდინარე ფიზიკური აღზრდა ადამიანის აღზრდის ყველა მხარის (გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური შრომითი აღზრდა) შემადგენელი ნაწილია და ადამიანის ჰარმონიულად განვითარების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. განვიხილოთ ფიზიკური აღზრდის ურთიერთკავშირი აღზრდის მხარეებთან:

1. პიროვნების ყოველმხრივი (ჰარმონიული) განვითარების პრინციპის როლი მდგომარეობს იმაში, რომ ფიზიკურმა აღზრდამ უნდა უზრუნველყოს მომცადინეთა ყოველმხრივი ფიზიკური მომზადებულობა, სასკოლო ასაკის ბავშვთა საერთო ფიზიკური გაჯანსაღება. სასკოლო ასაკის ბავშვთა საერთო ფიზიკური მომზადება მოსწავლეთა ყოველმხრივი ფიზიკური განვითარების, ფიზიკური განათლების ძირითადი წყაროა. ყოველმხრივი ფიზიკური მომზადებულობის სათანადო დონის დროს მაღალია ორგანიზმის ყველა ორგანოსა და სისტემის ფუნქციონირება, სიცოცხლისათვის აუცილებელი მოძრაობითი შემდგომობა – ჩვევების დაუფლება, ფიზიკური თვისებების განვითარება. მოსწავლეთა ყოველმხრივ ფიზიკურ მომზადებასთან ერთად, პიროვნების ყოველმხრივი განვითარებულობის პრინციპის განსახორციელებლად ფიზიკური აღზრდის საშუალებები ისე უნდა იყოს გამოყენებული, რომ მეცადინეობის პროცესში დადებითი ზემოქმედება მოახდინოს აღზრდის ზემოსხეხებულ სხვა მხარეებზე ანუ ფიზიკური აღზრდის პროცესში არა მარტო მოსწავლეთა ფიზიკურ მომზადებულობას, არამედ მთლიანად პიროვნების ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი.

ფიზიკური აღზრდის სპეციფიკური ამოცანის გადაწყვეტისას მუდმივად იყოს დაცული აღზრდის ყველა მხარის ურთიერთკავშირი. გონივრულად ორგანიზებული ფიზიკური აღზრდის პროცესი ქმნის დიდ შესაძლებლობებს ეფექტური ზემოქმედებისათვის არა მარტო ფიზიკური, არამედ ადამიანის სულიერ განვითარებაზეც და საშუალებას იძლევა წარმატებით გადაწყდეს ამოცანები, მორალური, ესთეტიკური და გონებრივი აღზრდის თვალსაზრისით.

2. ფიზიკური აღზრდის პროცესი მჭიდრო კავშირშია გონებრივ აღზრდასთან. ცნობილია, რომ მოსწავლეები, რომლებიც სისტემატურად მეცადინეობენ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, იოლად სძლევენ ზოგადსაგანმანათლებლო სხვა საგნებსაც. ფიზიკური აღზრდა და სპორტი ხელს უწყობს საერთო განათლების ამადლებას. გონებრივ განვითარებას, მსოფლმხედველობის ფორმირებას და საერთოდ, მოსწავლეთა ინტელექტუალური შესაძლებლობების ამადლებას.

დიდი სპორტის მრავალი ყოფილი სპორტსმენი შემდგომში გახდა ცნობილი მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე, დიდი მხედართმთავარი და ა.შ. მაგალითად, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი – ოქროს მედალოსანი (აფროსნობაში) იყო ნობელის პრემიის ლაურეატი ქიმიკოსი ერსტ ბორის ჩენი. ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორები იყვნენ ნობელის პრემიის ლაურეატები: ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ლორდი ფილიპ ნოელ-ბეკერი და უდიდესი ფიზიკოსი ჰერალდ ბორი (ფეხბურთში). სპორტით იყვნენ გატაცებული ნობელის პრემიის ლაურეატები ამერიკელი მწერალი ერნესტ ჰემინგუეი, ფრანგი ფიზიკოსი ფრედერიკ ჟოლიო-კიური, დანიელი ფიზიკოსი ნილს ბორი, ინგლისელი ბიოქიმიკოსი პიტერ დენის მიტჩელი, დიდი სპორტიდან დიდ პოლიტიკაში მოვიდნენ – უნგრეთის პრეზიდენტი პალ შმიტი, რომელსაც სამ ოლიმპიურ თამაშში აქვს მიღებული მონაწილეობა და 1962 და 1972 წწ. ოლიმპიური ჩემპიონი იყო (ფარიკაობაში). ასევე ყოფილი პროფესიონალი ფეხბურთელი გერჰარდ შრიოდერი გერმანიის კანცლერი იყო და ა.შ. შეიძლება უამრავი მაგალითის მოყვანა, მათ შორის საქართველოს ყოფილ სპორტსმენთა შორის ბევრია ცნობილი მეცნიერი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი, პარლამენტარი და ა.შ.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ყოველთვის უნდა უწყობდეს ხელს, რომ მოსწავლეებმა გამოიყენონ ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებში მიღებული ცოდნა, რომლის გარეშე შეუძლებელია ფიზიკური ვარჯიშების რაციონალურად გამოყენება. ფიზიკური ვარჯიშებით მეცადინეობების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე ჰიგიენური წესების დაცვას. მათ ცოდნას, მიღებული ინფორმაციის სწრაფად შეფასებას, მის დამოუკიდებლად გააზრებას, გაანალიზებას.

3. ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე, ისე, როგორც სკოლის მთელ ფიზიკულტურულ საქმიანობაში, მეტად მჭიდრო კავშირი მყარდება

ზნეობრივ აღზრდასთან. ფიზიკური აღზრდის პროცესში ხელსაყრელი პირობები იქმნება იმისა, რომ ფიზიკურმა ვარჯიშებმა დადებითი ზემოქმედება მოახდინონ მოსწავლეთა ზნეობრივი მხარის ამადლებასზე. სადაც მოძრაობითი მოქმედებების შესრულების დროს ზნეობრივი აღზრდის, ზნეობრივი ნორმების მრავალი ნიშანი ვლინდება. თითოეული ვარჯიშში მოითხოვს გარკვეული წესების დაცვას, მოთხოვნების შესრულებას, განსაკუთრებით ჯგუფურ მეცადინეობებში, სპორტულ თამაშებში. მთელი რიგი ფიზიკური ვარჯიშები, თავისი შინაარსიდან გამომდინარე მოითხოვენ გულადობას, რისკის, მიზნისაკენ სწრაფვის და სხვა თვისებების გამოვლენას. განსაკუთრებით შეჯიბრების პროცესში. მასწავლებელი ყოველმხრივ უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეებს, რომ მათ შორის ჩამოყალიბდეს მეგობრული დამოკიდებულება, ერთმანეთის პატივისცემა, მიუღებელი საქციელისადმი შეურიგებლობა. პატრიოტიზმის, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი დიდი პასუხისმგებლობით მიდგომის, დისციპლინის, თავმდაბლობის, თავშეკავების გრძნობის განვითარება და ა.შ. ფიზიკური აღზრდის პროცესის სწორი წარმართვა მოსწავლეთა არა მარტო ფიზიკური მომზადებულობის დონეს ამადლებს, ასევე მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდას, მათი მორალური სახის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რაც სხვა სასწავლო საგნებთან შედარებით უფრო მკაფიოდ არის გამოკვეთილი ფიზიკური აღზრდის პროცესში.

4. ფიზიკური აღზრდა მჭიდრო კავშირშია ესთეტიკურ აღზრდასთან. მოსწავლეებს სისტემატურად ეძლევათ შესაძლებლობა სილამაზის, მშვენიერების შეცნობისა. მრავალფეროვან ფიზიკურ ვარჯიშთა ტექნიკურად, სწორად, ზუსტად, მიზანშეწონილად შესრულება, სპორტული კოსტუმში, მეცადინეობის ჩატარებისათვის ხელსაყრელი გარემო პირობები და ინფრასტრუქტურა და ა.შ. ეხმარება მათ ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაში. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ხელს უწყობდეს ესთეტიკური აღზრდის ისეთი ამოცანების გადაწყვეტას, როგორცაა: მოსწავლეებში სილამაზისადმი ინტერესის გაღვივება-განვითარება. მოსწავლეებში საღი ესთეტიკური შეხედულებების, საკუთარი სხეულის სილამაზის და სრულყოფისადმი სწრაფვის გამოუმუშავება და სხვა, რომელთა დაუფლება მოსწავლეებს ესთეტიკურ მსოფლმხედველობას უყალიბებს, ამადლებს მათ საერთო კულტურის დონეს და ა.შ. ტექნიკურად სწორად შესრულებული ვარჯიშები, მოძრაობები სილამაზის, სიმშვენიერის განსახიერებაა. სილამაზისა და სიმშვენიერის გაგების თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ სპორტი და ესთეტიკა სინონიმებია, ერთმნიშვნელოვანი ცნებებია. ფიზიკური აღზრდა და სპორტი ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

5. ფიზიკური აღზრდის კავშირი შრომით და თავდაცვით საქმიანო ბასთან. ამ პრინციპის განსახორციელებლად ფიზიკურ აღზ-

რდაში ორიენტირი აღებული უნდა იყოს ისეთი ფიზიკური ვარჯიშების გამოყენებაზე, რომლებიც უფრო ეფექტურად მოამზადებს მოსწავლეს შრომითი და სამხედრო საქმიანობისათვის. მათ, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი გამოყენებითი მოძრაობითი მოქმედებები, უპირატესად ვარჯიშები ფიზიკური თვისებების განვითარებისათვის, როგორცაა ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, მოქნილობა და სხვა. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს მომეცადინეთა მომზადებას მათი შემდგომი პროფესიული მომზადებისათვის, შრომითი და თავდაცვითი საქმიანობისათვის, რომლის წინაპირობა იქმნება ფიზიკური აღზრდის პროცესში. ამისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის მოსწავლეთა კარგი ფიზიკური განვითარება, მათი მაღალი შრომისუნარიანობა, საკუთარი მოძრაობითი აპარატის მართვა და ა.შ. მრავალფეროვანი მოძრაობითი უნარ-ჩვევების მარაგი, მით უმეტეს უფროს სასკოლო ასაკში, შრომითი და თავდაცვითი საქმიანობის მაღალი ნაყოფიერების წინაპირობის გარანტიას იძლევა. ფიზიკური აღზრდა თავისი შინაარსით გამოყენებითია. სკოლის პირობებში მოსწავლეები აღწევენ საერთო ფიზიკური მომზადების მაღალ დონეს, მოძრაობითი შემძლეობა – ჩვევების მდიდარ ფონდის, ფიზიკური თვისებების განვითარებას და სხვ. ეს კი მათი მომავალი შრომითი და თავდაცვითი საქმიანობისათვის მომზადების საუკეთესო საშუალებაა.

ამრიგად, ფიზიკური აღზრდა ეხმარება მოსწავლეებს შეასრულონ შრომითი მოქმედებები უფრო მიზანშეწონილად, ეკონომიურად, გამოავლინონ სათანადო ნებისყოფა. რაციონალურად ორგანიზებული შრომა კი ხელს უწყობს მოსწავლეთა სწორ ფიზიკურ განვითარებას, ჯანმრთელობის განმტკიცებას და სკოლის დამთავრებისათვის მათ შეიარაღებას შრომისა და სამხედრო თავდაცვითი საქმიანობისათვის.

6. გამაჯანსაღებელი მიმართულების პრინციპის განხორციელების გზები. იმასთან დაკავშირებით, რომ სასკოლო ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში თანდათანობით მიმდინარეობს ორგანიზმის ფორმირების და ზრდის პროცესი, რაც სკოლის დამთავრების შემდეგაც გრძელდება გარკვეულ ასაკამდე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული გამაჯანსაღებელი მიმართულების პრინციპის განუხრეველ განხორციელებაზე. მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ფიზიკური ვარჯიშებით მეცადინეობებს, რომელთა მაფორმირებელი გავლენა მზარდი ორგანიზმის სისტემებსა და ფუნქციებზე ძალზე დიდია. ფიზიკური ვარჯიშებით სისტემატური მეცადინეობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ზრდა-განვითარებას, მათ ჯანმრთელობის განმტკიცებას. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ამ დროს მაღალდება მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების მაჩვენებლები: კერძოდ, გულმკერდის გარშემოწერილობა, ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა, გულსისხლძარღვთა

სისტემის მუშაობა, ნივთიერებათა ცვლა და ა.შ. პედაგოგიურ კონტოლთან ერთად ჩართული უნდა იქნეს საექიმო კონტროლი.

ამრიგად, დოზირებული ფიზიკური ვარჯიშები ასაკის გათვალისწინებით უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოზარდი თაობის ორგანიზმის სწორ ფორმირებასა და ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში.

დასკვნა

ფიზიკური აღზრდა რა ფორმითაც არ უნდა ხორციელდებოდეს იგი, ხელს უწყობს აღზრდის ყველა მხარის ამოცანების განხორციელებას. ფიზიკური აღზრდის სისტემაში პიროვნების ყოველმხრივი პარმონიული განვითარების პრინციპი წარმოდგენილია ორი მიმართულებით. პირველი – ფიზიკური აღზრდის პროცესში ხორციელდება ურთიერთკავშირი გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და შრომით აღზრდას შორის. ფიზიკური აღზრდა თვითმიზანი არ არის. მის პროცესში ხდება არა მხოლოდ ფიზიკური თვისებების ფორმულირება, არამედ გარკვეულ ფარგლებში იგი ხელს უწყობს გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და შრომითი ამოცანების განხორციელებასაც.

მეორე მხრივ, ყოველმხრივი პარმონიული განვითარება გულისხმობს ფიზიკური აღზრდის პროცესის ისე აგებას და წარმართვას, რომ მან უზრუნველყოს ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობების ყოველმხრივი განვითარება, რაც თავის მხრივ მიიღწევა ადამიანის ორგანიზმზე აღზრდის მრავალფეროვან საშუალებათა კომპლექსური ზემოქმედების შედეგად.

О. Вахания

ВЗАИМОСВЯЗЬ ФИЗИЧЕСКОГО ВОСПИТАНИЯ С ДРУГИМИ СТОРОНАМИ ВОСПИТАНИЯ

Физическое воспитание взаимосвязано с другими сторонами воспитания: умственным, нравственным, эстетическим, трудовым. Это объясняется целым рядом причин. Во-первых, единством цели всех видов воспитания. Во-вторых, диалектикой самого воспитательного процесса, в ходе которого затрагиваются не отдельные стороны человеческой личности, а вся личность в целом: в третьих, наличием общей основы, на которой разворачивается воспитание, а именно деятельности.

В процессе физического воспитания осуществляется умственное, нравственное, эстетическое и трудовое воспитание, между этими видами воспитания имеется тесная связь.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდის საფუძვლები (პირველი ნაწილი) თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2002.
2. ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდისა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1983.
3. ჯიბლაძე გ. ესთეტიკური აღზრდის პრინციპები, თბილისი, 1968.
4. კიკნაძე ს. ზნეობრივი აღზრდის პრინციპები, ფორმები და მეთოდები, თბილისი, 1956.
5. პედაგოგიკა – თსუ-ს გამომცემლობა, ავტორთა ჯგუფი, 1995.
6. Теория и методика физического воспитания, Л.П. Матвеев, М. 1991.
7. Теория и методика физического воспитания и спорта, Ж.К. Холстов, В.С. Кузнецов, М. 2001.

ლეილა შეროზია
პედაგოგიკის დოქტორი,
ასისტენტ პროფესორი

კლასგარეშე მუშაობის სპეციფიკა და როლი მონსწავლეთა სოციალიზაციაში

კლასგარეშე აღმზრდელობითი მუშაობა ერთიანი პედაგოგიური პროცესის მეორე დამხმარე პედაგოგიური სისტემაა. იგი მოიცავს გარკვეულ მიზანსა და ამოცანებს, პრინციპებს, ფორმებსა და მეთოდებს და ემსახურება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ძირითადი ორგანიზაციული ფორმის საკლასო-საგაკვეთილო სისტემაში მიღებული ცოდნა-გამოცდილების გაღრმავება-განმტკიცებას, მოსწავლეთა პოტენციური ინტელექტუალური შესაძლებლობების სრულ გამოვლინებასა და განვითარებას. საკლასო საგაკვეთილო სისტემისაგან განსხვავებით კლასგარეშე მუშაობა ემყარება მოსწავლეთა ნებაყოფლობითობის, არჩევანის თავისუფლების, ნიჭის, ინტერესებისა და მიდრეკილებების გათვალისწინების პრინციპებს, თავისუფალი სწავლის თეორიას. რა თქმა უნდა, საგაკვეთილო სისტემა ითვალისწინებს აღნიშნულ პრინციპებს, მაგრამ იგი უფრო საყოველთაო-სავალდებულო ხასიათს ატარებს ბავშვის ინტერესისა და სავალდებულო საბაზო განათლების მიღების აუცილებლობიდან გამომდინარე. ინტერესთა გამოწვევა და სტადიურობა კი განპირობებულია ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებებით, ცხოვრებისა და აღზრდის პირობებით. ამასთან დაკავშირებით ი. ს. მარიენკო აკეთებს ასეთ დასკვნას: „ჯანსაღი ინტერესის განვითარებაში წარმატების საწინდარია მრავალფეროვანი, საზოგადოებრივად ღირებულ საქმიანობათა ორგანიზაცია და ერთერთობის შესატყვისი ფორმები, რომელიც იქნება ესევე საინტერესო და მიმზიდველი“ (ი. ს. მარიენკო, მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის საფუძვლები. მ. 1980, გვ. 138).

არჩევანის თავისუფლება, ინიციატივა მოსწავლეს უქმნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, დიდობის შეგრძნებას და განაწყოებს აქტიური მოქმედებისათვის. მოსწავლეს განსაკუთრებით იზიდავთ კვლევა-ძიებითი საქმიანობა შეჯიბრების, გართობა-თამაშისა და რომანტიკის ელემენტებით გაჯერებული, ემოციური-ესთეტიკური შეფერილობით. კლასგარეშე აღმზრდელობითი მუშაობა თავისი საინტერესო, სასარგებლო, მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ღონისძიებებითა და ფორმებით მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველზე ის არც ერთ მოსწავლეს არ დატოვებს გულგრილს, მით უმეტეს უკმაყოფილოს. ამასთანავე ამ სისტემის მთავარი ღირსება იმაში მდგო-

მარეობს, რომ, სწორედ, აქ ხდება უფრო მეტად თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის რეალიზაცია, სწავლებისა და აღზრდის ერთიერთ და მათი ცხოვრებასთან, რეალურ სინამდვილესთან კავშირის პრაქტიკული რეალიზაცია. ამის მოქნილ საშუალებას იძლევა სწორედ ის მრავალფეროვანი ფორმები, როგორცაა: საგნობრივ-წრეობრივი მუშაობა, თემატური დილა-სალამოები, შეხვედრები ცნობილ, დიდ მოღვაწე ადამიანებთან, დისპუტები, კითხვა-პასუხების საღამოები, კონკურსები, დათვალიერებები, ოლიმპიადები, ტურნირები, ფესტივალები, გამოფენები, ექსკურსიები, ტურისტულ-მხარეთმცოდნეობის მოგზაურობანი, კინო, თეატრი, ბალეტი, მუზეუმი და უამრავი სხვა კულტურულ სანახაობათა მოწოდება-განხილვა, პრეზენტაციები, თვითშემოქმედებითი მუსიკალურ – ქორეოგრაფიული და სპორტული ღონისძიებები, სამხატვრო გამოფენები, პოეზიის საღამოები და ა.შ.

ერთი სიტყვით, კლასგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის სისტემა იმდენად პედაგოგიურად ღირებულად სფეროა სკოლისა, რომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ძირითადად აქ ყალიბდება მოსწავლე პიროვნებად, აქ მიმდინარეობს მისი სოციალიზაციის პროცესი, შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, ზოგადი და სპეციფიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. ამას ადასტურებს უამრავი მაგალითი იმ სკოლებისა, სადაც ჯეროვანი ყურადღება ეთმობოდა და ეთმობა ამ სისტემას.

კლასგარეშე მუშაობის ცნებას განმარტავენ პედაგოგიკურ მეცნიერებაში როგორც აღმზრდელობით მუშაობას, რომელიც მიმდინარეობს კლასის დამრიგებლისა და საგნობრივ მასწავლებელთა ერთობლივი ხელმძღვანელობითა და ძალისხმევით თავიანთ კლასებში გაკვეთილების შემდეგ. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, კლასგარეშე მუშაობა ემყარება მოსწავლეთა მხრიდან ნებაყოფლობითობისა და არჩევანის თავისუფლების პრინციპს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს პროცესი მასწავლებლის, გეგმებისა და პროგრამების გარეშე ქაოსურად მიმდინარეობს. პირიქით, იგი მოითხოვს ორგანიზებულობას, საქმისადმი შემოქმედებით მიდგომას დამოუკიდებლობისა და ინიციატივიანობის მაღალი დონით.

ორგანიზებულობაში გულისხმობენ კლასგარეშე მუშაობის მიზნის, ამოცანების, შინაარსის (თემატიკის), პრინციპების, ფორმების, მეთოდებისა და სხვა პედაგოგიური საშუალებების მართებულ, კოორდინირებულ ტექნოლოგიების გამოყენებას. დროის, ადგილისა და მონაწილეთა ზუსტ განსაზღვრას. კლასგარეშე მუშაობის რომანტიკა, ატრიბუტიკა, თამაში, შეჯიბრება, გამარჯვება, წახალისება, დაჯილდოება და ა. შ. მას ხდის მიმზიდველსა და საინტერესოს. ესთეტიკის დონეზე აყვანილი ამგვარი ღონისძიებები იძენს ბავშვებისათვის „მაცდუნებელ“ ელფერს.

ნებაყოფლობითობისა და არჩევანის თავისუფლება მოსწავლეს უჩენს დამოუკიდებლობისა და ინიციატივის შეგრძნებას, უმაღლებს

მის მიერვე არჩეულისადმი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას. ამ შედეგის მისაღწევად საჭიროა გარკვეული მოსამზადებელი წინაპირობები. წარმატების მთავარი საწინდარია პედაგოგიურად, მეთოდურად, ფსიქოლოგიურად გამართული სამუშაო გეგმის შედგენა მოსწავლეთა მონაწილეობით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მათი შესაძლებლობები, ინტერესები, ნიჭი და მიდრეკილებანი.

სპეციალური პედაგოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ მოსწავლეები სპეციალური ინფორმირების საფუძველზე საოცარ საზრიანობას ავლენენ. რომანტიკის, ატრიბუტებუტიკისა და თამაშობების მოფიქრებაში ბადალი არ ჰყავთ. „აღმოჩენით“ მონიჭებული სიხარული აღძრავს მათ მოქმედებისათვის, თანდათანობით იცნობიერებს, რომ ის აძლევს საშუალებას თვითრეალიზაციისათვის.

კლასგარეშე მუშაობაში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას განაპირობებს აგრეთვე ისეთი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური და სოციალური გარემო, რომელიც შეესაბამება მის სულიერ მდგომარეობას, შინაურულად რომ აგრძნობინებს თავს. სადაც მას ექნება გარკვეული ადგილი, როლი და ფუნქცია, დაეხმარება თვითგამოვლინებასა და საკუთარი პიროვნების პოვნაში, სადაც დაცული იქნება მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, რადგან „მოსწავლეების უფლებაა, ისწავლონ უსაფრთხო და დაცულ გარემოში“. „საკლასო ოთახში თუ მის გარეთ მოსწავლეები დაცულნი უნდა იყვნენ ძალადობისაგან“, . . . „ხელი უნდა შეუშალონ მოსწავლეების ჩართვას არაკანონიერ და არაეთიკურ ქმედებებში“, „დაცული უნდა იყოს მისი საიდუმლოება“. . . „არ შეიღახოს მათი ღირსება და დამცირებულად არ იგრძნონ თავი“ (სასწავლო და პროფესიული გარემო. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 121–122).

მიუხედავად იმისა, რომ კლასგარეშე აღმზრდელობით მუშაობის სისტემას განუსაზღვრელი პედაგოგიური შესაძლებლობები გააჩნია მოსწავლეთა სოციალიზაციის, სრულფასოვან პიროვნებად ფორმირების საქმეში, სამწუხაროდ, ამ დროს მისი მინიმუმაც არ არის გამოყენებული სკოლათა უმეტესობაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პედაგოგიური კვლევა ჩავატარეთ რამდენიმე სკოლაში და სტუდენტებში განათლების ფაკულტეტზე. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რამდენად ეფექტურად იყო გამოყენებული სკოლაში კლასგარეშე მუშაობის აღმზრდელობითი პოტენციალი. ანკეტური მეთოდით გამოვკითხეთ მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. მასწავლებლებს დავუსვით შემდეგი კითხვები:

1. რა როლს ანიჭებთ კლასგარეშე მუშაობას მოსწავლეთა აღზრდაში?

2. რა პედაგოგიურ საშუალებებს მიმართავთ კლასგარეშე პედაგოგიურ პროცესში მოსწავლეთა ჩართვისა და აქტიურობისათვის?

3. რომელი კლასგარეშე მუშაობის სფეროსადმი იჩენენ მეტ ინტერესს მოსწავლეები?

ჩვენი ვარაუდით პირველი კითხვის პასუხს უნდა მოეცა საშუალება დაგვედგინა თუ როგორ ერკვეოდნენ მასწავლებლები საკითხის თეორიულ ასპექტში. 45 გამოკითხულ მასწავლებელთა შორის 81% დადებითად შეაფასა კლასგარეშე მუშაობის აღმზრდელობითი როლი. აქ მოვიყვანთ რამდენიმე ტიპიურ მაგალითს:

„კლასგარეშე მუშაობა არ არის ცუდი, მაგრამ დიდი მუშაობა სჭირდება, ამის დრო არ რჩება მასწავლებელს და არც ბავშვებს აქვთ ამის დიდი სურვილი“.

„კლასგარეშე მუშაობა ძალიან კარგია, მაგრამ, ამ ინტერნეტის გადამკიდვე, ბავშვებს ეს არ აინტერესებთ“.

„კლასგარეშე მუშაობა დღეს არაა არც აინტერესებს. უფრო მეტიც, გაკვეთილზე დასწრებაც კი ეზარებათ, ერთეულებს თუ არ ჩავთვლით“.

„კლასგარეშე მუშაობა თავისი მრავალფეროვნებით ძალიან ანვითარებს მოსწავლეებს, მაგრამ ისინი ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. გაკვეთილების შემდეგ რაც არ უნდა გააფრთხილო, არააინტერესება კლასში“.

აქ მოყვანილ პასუხებში ნამდვილად არ ჩანს კლასგარეშე მუშაობის სისტემისადმი მასწავლებლის უარყოფითი დამოკიდებულება. სინანული კი ნამდვილად სახეზეა. რასაც ვერ ვიტყვით პედაგოგიურ ოპტიმიზმზე. თუმცა კარგად ჩანს, რომ დასმული კითხვის მიხედვით, პასუხებში მოსალოდნელი იყო მეტი თეორიული ასპექტების ჩვენება, მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს ასე არ მოხდა. მასწავლებლები შემოიფარგლნენ ძალიან მოკლე და ელემენტარული პასუხებით, რომ კლასგარეშე მუშაობა ძალიან კარგია, მაგრამ ამის დრო და სურვილი არ არის. საქმისადმი ასეთი მარტივი მიდგომა მიანიშნებს საკითხის სიღრმისეული ცოდნის დეფიციტზე.

რესპოდენტ მასწავლებელთა 11% მაინც და მაინც დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა კლასგარეშე მუშაობას. აი რას წერენ ისინი:

„. . . ახლა მთავარია გაკვეთილი. ის უნდა ტარდებოდეს მაღალ დონეზე. გაკვეთილების შემდეგ სადაც უნდათ იქ წავიდნენ ბავშვები. განა ცოტაა გასართობი ადგილები“.

ამ სიტყვების ავტორი, იმ გასართობ ადგილებში რას გულისხმობს ძნელი გასაგებია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მან ან გვერდი აუარა კითხვას, ან ვერ გაიგო მისი არსი. წინასწარ გათვალისწინებულ, მიზანმიმართულ პედაგოგიურ ღონისძიებებს ურევს გაუთვალისწინებელ და ქაოსურ ფაქტორებს. თუმცა ეს უკანასკნელიც ზიგჯერ შეიცავს დადებით ელემენტებს. იგი აჩვენებს მოსწავლეს მოულოდნელ, გაუთვალისწინებელ და მიუღებელ შემთხვევებთან გამკლავებას, უნვითარებს ნეგატიურ პროცესებთან ბრძოლის, ზნეობრივისა და არაზნეობრივის

გარჩევის უნარ-ჩვევებს კარგი აღზრდის ხარჯზე. მაგრამ ამგვარი შემთხვევების პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დონეზე აყვანა და აღზრდის მიზნისთვის გამოყენება მასწავლებლისგან მაღალკვალიფიციურობასა და დიდოსტატობას, პედაგოგიურ ხელოვნებას მოითხოვს. დღევანდელი სკოლის პრობლემაც ეგ არის. ეს პრობლემა მასწავლებელთა სახელმწიფო ატესტაციამაც კარგად უჩვენა.

„ მე საგანს ვასწავლი, კლასგარეშეთვის კი დრო არ მრჩება, ან ბავშვებს გააჩერებ გაკვეთილის შემდეგ. მე ვფიქრობ, რომ აღზრდას ოჯახმა უნდა მიხედოს“.

მართალია, ოჯახი აღზრდის პირველი და მთავარი კერაა, მაგრამ სკოლაც ხომ სწავლა-განათლებისა და აღზრდის მთავარი და შეუცვლელი დაწესებულებაა. რესპოდენტ-მასწავლებლის მოცემული პასუხი კი პედაგოგიურ ფუნქციებში გაურკვეველობაზე მიუთითებს. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი რომ ერთი მთლიანი პედაგოგიური სისტემაა, ეს ხშირად ეშლება ზოგიერთ მასწავლებელს და კლასგარეშე მუშაობის უდიდესი პედაგოგიური პოტენციალი გამოუყენებელი რჩება.

შემდეგ პასუხში: „. . . ახლა იმდენი გასართობებია, რა გინდა არ იყოს ინტერნეტში ათასნაირი სათამაშოები, ინფორმაციები, კარგი ფილმები და კიდევ რამდენი რამე საინტერესო გადაცემები. რა სჭირთა გაკვეთილების შემდეგ ბავშვების გაჩერება. კლასგარეშე მუშაობა საჭირო იყო მაშინ, როცა ასეთი მაღალი დონის საინფორმაციო საშუალებები არ იყო.“

აღზრდას საფუძვლად თავისუფლება უდევს, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, ბავშვი ხელმიშვებული იყოს და რაც მოესურვება, ის აკეთოს. ინტერნეტის სიკეთე ყველამ იცის, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, ნებაზე მიშვებამ, თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს მომხმარებელის ჯანმრთელობას, მის მორალსა და ფსიქიკას. საინფორმაციო საშუალებები შემეცნებისა და აღზრდის ერთ-ერთი დამხმარე საშუალებაა და არა ერთადერთი.

ამ და სხვა პასუხების 90%, შეიძლება ითქვას ამგვარი პათოსითაა დაწერილი, 10% კი, პირიქით ფიქრობს. კლასგარეშე აღმზრდელობით პროცესის განუსაზღვრელ მნიშვნელობას ცნობს და მას სწავლების განუყოფელ ნაწილად აღიარებს, რომ მისი გამოყენების გარეშე შეუძლებელია მოსწავლის სოციალიზაცია, მისი განვითარება და სრულფასოვან პიროვნებად ფორმირება ფუჭი ოცნებაა. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს:

„კლასგარეშე სისტემის მნიშვნელობა განუსაზღვრელია. აქ გრძნობს ბავშვი თავს პიროვნებად, აქ ახდენს იგი თვითრეალიზაციას, აქ შეიცნობს ნამდვილ ცხოვრებას. აქ ეძლევა მას დამოუკიდებლობისა და ინიციატივის გამოვლენის საშუალება. მე პირადად, შემიძლია

ვთქვა, რომ კლასგარეშე დონისძიებებში ჩამოვყალიბდი. იქ შეძენილი მეგობრები შემრჩა ბოლომდე. . .“

ამ ციტატაში ღიად ჩანს მასწავლებელი, რომელსაც სასიძოვნო მოგონებები აღუძრა დასმულმა კითხვამ. იცის და აფასებს მის პედაგოგიურ და სოციალურ მნიშვნელობას.

ან კიდევ: „კლასგარეშე მუშაობა თავისი მარავალფეროვნებითა და სიღრმეებით არაფრით არ ჩამოუვარდება საგაგვეთილო სისტემას. შეიძლება ითქვას, რომ კლასგარეშე მუშაობის ხარისხი ბევრად განაპირობებს პირველ და მთავარი სისტემის – გაკვეთილის წარმატებას. მაგრამ დღეს საჭირო ყურადღება არ ექცევა მას“.

მეორე კითხვა: „რა პედაგოგიურ საშუალებებს მიმართავთ კლასგარეშე პედაგოგიურ პროცესში მოსწავლეთა ჩართვისათვის?“

ამ კითხვაზე გამოკითხულთა 18% დადებითი პასუხი გასცა. აქ მოვიყვანო რამდენიმე მათგანს.

„ ვუსახელებ რამდენიმე დონისძიებებს და ვუხსნი მათ მნიშვნელობას. რატომღაც ყველა ირჩევს ექსკურსიას. თვითონ წყვეტენ სად წავიდეთ, მაგრამ ეს ფინანსებთან არის დაკავშირებული და ყოველთვის ვერ ვახერხებთ“.

რამდენიმე მასწავლებელი წერს: „. . . სპეციალურ გეგმას არავინ გვთხოვს, მაგრამ ჩემთვის ვაკეთებ მოკლე გეგმას ბავშვებთან ერთად. ისინი ბევრ საინტერესო დონისძიებებს გვთავაზობენ, თუმცა უმეტესობას გასართობი აინტერესებს. მაგალითად: ექსკურსია, თამაში, ბუნებაში გასეირნება და სხვა.“

„პოეზიის სადამოში“ ბევრი ჩაეწერა, მაგრამ მოსამზადებელ მეცადინეობებში არ იარეს და მეც ძალა არ დამიტანებია. მოსწავლეები კლასგარეშე დონისძიებების წინააღმდეგი არ არიან, მაგრამ ეზარებათ.“

არიან მასწავლებლები სიამაყით რომ ჰყვებიან თავიანთი კლასის შესახებ, თუ როგორი კარგი ბავშვები ჰყავთ და რა ხალისით მონაწილეობენ კლასგარეშე მუშაობაში. თუმცა იქვე დასძენენ, რომ ამას დიდი შრომა, საქმისადმი ერთგულება, დროისა და ძალის გაღება სჭირდება. მაგრამ კონკრეტულად არ საუბრობენ პედაგოგიურ პრინციპებსა და მეთოდებზე, მით უმეტეს პროცესის ტექნოლოგიებზე. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ მუშაობის სურვილი და მოტივი აქვთ, მაგრამ კომპენტენტურობა აკლიათ.

რაც შეეხება მესამე კითხვას: „რომელი კლასგარეშე მუშაობის ფორმისადმი იხენენ მოსწავლეები მეტ ინტერესს?“ მასწავლებლები პასუხობენ:

„ვერ ვიტყვი, რომ კლასგარეშე დონისძიებები ძალიან ხიბლავთ, მაგრამ არის ისეთი სფეროები, რომლებშიც სიამოვნებით მონაწილეობენ,

მაგალითად, უყვართ დაბადების დღეების აღნიშვნა. ექსკურსიები, მსაბავშვო თვითშემოქმედების საღამოები, ცეკვა და სიმღერა და სხვა.“

ან კლევ: „ამათ ჭამა, მუსიკა, ცეკვა და დროისტარება უფრო იზიდავთ, ვიდრე რაიმე სასწავლო მეცადინეობები. მაგალითად საგნობრივ წრეებში მონაწილეობას მათ ვერ უხსენებ, ინტერნეტში ძრომიანი ურჩევანიათ. ასე დადიან გამოყენებულები, ფეხზე მიინარეწნი.“

ამ კითხვაზე მოველოდით ისეთ პასუხებს, რომელშიც ასახულ იქნებოდა მასწავლებლის კვალიფიციურობა, კლასგარეშე მუშაობის მიზნების, ამოცანების, პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკული გამოყენების გამოცდილება და უნარ-ჩვევები. მაგრამ, როგორც ხედავთ, მათი ხსენებაც კი არ არის. გამოკითხული მასწავლებლები ამჯერად შემოიფარგლნენ პრიმიტიული მსჯელობებით, რაც დაბალ პროფესიულ დონეზე მიუთითებს.

არც ერთი არ საურობს იმაზე, თუ რას აკეთებს თვითონ, რომ კლასგარეშე მუშაობა გახადოს საინტერესო, მიმზიდველი, პროდუქტიული, რომანტიკული, სასარგებლო და სახალისო, რომ მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება შეიცნონ საკუთარი თავი, დასაქმდნენ თავიანთი ინტელექტუალური, ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით, როგორცაა: ნიჭი, მიდრეკილება, შინაგანი მოთხოვნილება, პიროვნული სრულფასოვნება და ა. შ.

ხემოთქმულიდან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სკოლებში ჯერ კიდევ არის პრობლემა, ყველაფერი რიგზე არ არის. ყველა პედაგოგიური სტრუქტურები და ინფრასტრუქტურები კოორდინირებულად ვერ მუშაობს, დაბალია მასწავლებელთა აკადემიური მომზადება.

არ არის ის მასწავლებლის პროფესიისათვის დამახასიათებელი ოპტიმიზმი და მგზნებარება. მასწავლებლის გარეშე კი შეუძლებელია კლასგარეშე სისტემის თავისი სპეციფიკური, ფუნქციონალური აქტივობა.

პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა მასწავლებლის მომზადება. სპეციალური პროექტის შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება ის დონისძიებები, რომელიც თეორიულად და პრაქტიკულად გაარკვევს მასწავლებელს კლასგარეშე მუშაობის არსში, მის მეცნიერულ პრაქტიკულ ღირებულებებსა და განხორციელების პედაგოგიურ ტექნოლოგიებში.

კლასგარეშე აღმზრდელობითი მუშაობა იმდენად ფართო სპექტრს მოიცავს, რომ თითოეული კუნჭულის ზუსტად გარკვევის გარეშე, მისი სრულფასოვანი ამუშავება ძნელია.

ამრიგად, კვლევის შედეგად გამოვლინდა ის ხარვეზები, რომელიც არსებობს კლასგარეშე მუშაობის სისტემაში. ამჯერად შემოვიფარგლებით პრობლემის დასმით. (კვლევის დასასრულს შემოგთავაზებთ მის სრულ შედეგებსა და სათანადო პედაგოგიურ რეკომენდაციებს მონოგრაფიის სახით).

ეს პრობლემებია:

1. სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცევა კლასგარეშე მუშაობას;

2. მასწავლებლებს საგრძნობლად აკლიათ კლასგარეშე მუშაობისათვის საჭირო კვალიფიკაცია;

3. კლასგარეშე მუშაობის გაუმართაობის გამო მოსწავლეები მთლიანად ინტერნეტსა და მობილური ტელეფონზე დამოკიდებულნი ხდებიან, რაც უარყოფითად მოქმედებს განათლებასა და აღზრდაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. მ. კოროტკოვი, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ზოგადი მეთოდოკა. მ. 1983.

2. კვლევის მასალები.

3. ი. ს. მარიენკო, მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის საფუძვლები. მ. 1980.

4. სასწავლო და პროფესიული გარემო. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008.

Р е з и у м е

Леила шерозиа

Специфика внеклассной работы и ее роль в социализации учащихся

В статье поставлена проблема о недостатках выявленных в результате исследования одного аспекта внеклассной работы равнодушие по отношению Внеклассной работы в школе! Слабая подготовка учителей внеклассной работе! Вследствии не-исправности внеклассной работы отвлечение учеников интернетом и мобильными телефонами!

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების კომუნიკაციური ტექნოლოგიები

კომუნიკაციური ტექნოლოგიები დღეს თანამედროვე სწავლებაში აქტიურად ინერგება და ფართოდ გამოიყენება. იგი ძირითადად მიმართულია აქტიური მეთოდების და ორგანიზაციული ფორმების ძიებისაკენ და აქტიურად გამოიყენება გაკვეთილის უკეთ წარმართვისათვის, თანამშრომლობითი სწავლებისათვის, წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობისათვის. კომუნიკაციური ტექნოლოგიები წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ წამყვან მეთოდს სწავლებაში, როგორც ურთიერთობის, ასევე დიალოგურ სწავლებაში. სპეციალისტები კომუნიკაციურ სწავლებას განსაზღვრავენ როგორც ფუნქციონალურ-აზრობრივ მიდგომას ან ფუნქციონალურ მიდგომას ახალი ცოდნისა და უნარების ათვისების საქმეში.

კომუნიკაციური შესაძლებლობების განვითარება და კომუნიკაციური კომპეტენტურობა მოიცავს აქტიური მოსმენისა და მეტყველების უნარების განვითარებას, შინაარსის გადმოცემას, თხრობას, დისკუსიაში ჩართულობას, საკუთარი თვალსაზრისის დაცვას, დასკვნების კეთებას, ინფორმაციის განზოგადებას და სხვ.

კომუნიკაციური კომპეტენტურობა ნიშნავს – დასვა და გადაჭრა განსაზღვრული ტიპის კომუნიკაციური ამოცანები: განსაზღვრო კომუნიკაციის მიზანი, შეაფასო სიტუაცია, გაითვალისწინო და წინასწარ განჭვრიტო კომუნიკაციური შესაძლებლობები, იყო მზად შესაბამისად მეტყველების ქცევის შესაცვლელად. ის მოთხოვნები, რომელსაც კომუნიკაციური კომპეტენტურობა წინ აყენებს, ითვალისწინებს როგორც ზეპირ (დისკუსია, პრეზენტაცია), ასევე წერით (კითხვა, სხვადასხვა ჟანრის ტექსტის გაგება და აღწერა) კომუნიკაციის ფორმებს.

კომუნიკაციური კომპეტენტურობა პიროვნებას უყალიბებს ისეთ თვისებას, როგორცაა კომუნიკაბელურობა. კომუნიკაბელურობა კი გაიგება, როგორც ინდივიდის შესაძლებლობა, თავისი ინცივატივით დაამყაროს კავშირი სხვასთან მიმართებაში და ასევე მტკიცედ დაიცვას ეს კავშირი. პროფესიული თვალსაზრისით ამ შესაძლებლობას ეძღვევა უმაღლესი შეფასება და შედის იმ აუცილებელი პირობების რიცხვში, რომელიც გამოიყენება და უკავშირდება აქტიურ კომუნიკაციურ საქმიანობას [2].

კომუნიკაციური ტექნოლოგია ეყრდნობა ურთიერთმაკავშირებელ კომპლექსურ სწავლებას, რომელშიც თავს იყრის ყველა სახის მეტყველებითი საქმიანობა: აუდირება, მეტყველება, კითხვა, წერა. კომუნიკაციური ტექნოლოგია იძლევა შესაძლებლობას, გავაცნობიეროთ და გამოვიყენოთ პრაქტიკაში ენის ფუნქციონალური მექანიზმები:

- ინსტრუმენტალური ფუნქცია – ენის გამოყენება გარკვეული მიზნით;

- რეგულატორული ფუნქცია – ენის გამოყენება გარშემო მყოფთა ქცევის საკონტროლოდ;
- ინტერაქტიური ფუნქცია – ენის გამოყენება სხვასთან ურთიერთობისათვის;
- პიროვნული ფუნქცია – ენის გამოყენება საკუთარი გრძნობებისა და აზრების გამოსახატავად;
- ევრისტიკული ფუნქცია – ენის გამოყენება გარესამყაროს შეცნობისა და შესწავლისათვის;
- სახოვანი ფუნქცია – ენის გამოყენება ფანტაზიის შესაქმნელად;
- რეპრეზენტაციული ფუნქცია – ენის გამოყენება ინფორმაციის გადასაცემად [2].

კომუნიკაციური ტექნოლოგიის სწავლების მთავარ არსს წარმოადგენს მეტყველებითი ქცევის შინაარსობრიობა, რომელიც შედგება მეტყველებითი სიტუაციების გაცნობიერებისა და მეტყველებითი ქმედებებისაგან.

კომუნიკაციური ტექნოლოგიის გამოყენების მთავარი მიზანია განვუვითაროთ მოსწავლეებს შესაძლებლობები, შეძლონ გადაჭრან კომუნიკაციური ამოცანები სასწავლო პროცესში იმ ლექსიკისა და გრამატიკის ცოდნით, რომელსაც ფლობენ აქტიურ დონეზე.

საგანმანათლებლო ამოცანები, რომელთა გადაჭრა გაკვეთილებზე აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად, მდგომარეობს შემდეგში: მოხდეს

- მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფორმირება, თავისუფლად შეძლონ გამოხატონ საკუთარი და აღიქვან სხვისი აზრი როგორც ზეპირი, ასევე წერითი მეტყველების გზით;
- სალექსიკონო მარაგის გამდიდრება;
- უნარების განვითარება და მათი გამოყენება მეტყველებაში გრამატიკული კონსტრუქციის სწავლებისას;
- მოსწავლეთა მიერ ქართული სალიტერატურო ენის ნორმების (ორთოგრაფიული, ლექსიკური, გრამატიკული) გაცნობიერება და შესწავლა;
- უნარების განვითარება, შეძლოს საკუთარი მოსაზრების კონსტრუირება და შეფასება.

კომუნიკაციური ტექნოლოგია ითვალისწინებს მოსწავლის საქმიანობასაც:

- კითხვების დასმა;
- საკუთარი აზრის განმტკიცება;
- უბიძგოს მოქმედებისაკენ თანამოსაუბრეს კითხვების, საკამათო მტკიცებულებების და სხვათა საშუალებით;
- გამოთქვას ვარაუდი და მოახდინოს გრამატიკული ნორმების აქტუალიზება.

ამასთან, საჭიროა ახალი სიტუაციის გამოყენება:

- ახალი მეტყველებითი ამოცანა;
- ახალი თანამოსაუბრე;
- ახალი საკითხის განხილვა.

კომუნიკაციური კომპეტენტურობის დაუფლების მთავარ საშუალებად ითვლება საქმიანობის სხვადასხვა სახეები, როგორცაა:

- აუცილებელი ურთიერთობის გაცნობიერება;
- მეტყველების გამოყენების მოთხოვნილება;
- მეტყველებითი ქცევის წარმოდგენის ფორმირება.

საქმიანობა, რომელშიც ხორციელდება კომუნიკაციური ტექნოლოგია, შეიძლება იყოს სასწავლო, შრომითი ან ატარებდეს სათამაშო ხასიათს. ყველაზე მთავარ ორგანიზაციულ ერთეულს სწავლების პროცესში წარმოადგენს კომუნიკაციური სიტუაცია [3].

მისი შექმნის დახმარებით

- მაღლდება ურთიერთობის მოტივაცია;
- შესაძლებელია მეტყველებითი მასალის პრეზენტაცია;
- ხდება მეტყველებითი ჩვევების შექმნა;
- ვითარდება მოსწავლეთა აქტიურობა და დამოუკიდებლობა;
- მტკიცდება მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარ-ჩვევები.

მეორე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ტექსტის (ტექსტების) ერთობლივი ანალიზი. ტექსტი ქმნის განმავითარებელ და აღმზრდელობით ატმოსფეროს ლიტერატურის გაკვეთილზე. გაკვეთილზე ტექსტზე მუშაობაში თითოეული მოსწავლე აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული. გაკვეთილზე ტექსტზე შემოქმედებითი მუშაობა ესმარება მოსწავლეებს, მოახდინონ საკუთარი ინდივიდუალური ტექსტის კონსტრუირება და დაეუფლონ ანალიზის კეთების საშუალებებს.

ტექსტებისა და დავალებების მიზანმიმართული შერჩევა, კარგად მოფიქრებულ სისტემაში ტექსტზე მუშაობა ყოველ გაკვეთილზე – ის პირობებია, რომლებიც იძლევა საშუალებას, განვუვითაროთ მოსწავლეებს სამეტყველო წრე, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ენის განვითარებას.

ძალიან მნიშვნელოვანია ტექსტების ანალიზი, რაც ხელს უწყობს პიროვნების ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას, იწვევს მოსწავლეში შესაძლებლობებს რეფლექსიისადმი, მისადმი მოთხოვნილებას.

კომუნიკაციურ ტექნოლოგიაში სასწავლო მასალის შერჩევა უნდა პასუხობდეს მონაწილეთა მოთხოვნილებებს:

- მეტყველებითი კონსტრუქციების შერჩევა ურთიერთობისათვის;
- მეტყველებითი ურთიერთობის სხვადასხვა მოდელების გამოყენება (მარტივიდან რთულზე გადასვლა);

სწავლებაში შემოქმედება უნდა მოახდინოს მოსწავლეთა არა მხოლოდ აზროვნებაზე, არამედ მათ გრძნობებსა და ემოციებზე:

- შეგულიანება (წაქეზება) ურთიერთობისაკენ;

- შემოქმედითობის სიხარულის განცდა;
- დადებითი ემოციების გამოხატვა.

კომუნიკაციური ტექნოლოგიის საფუძველზე შეიძლება გვექონდეს გაკვეთილის შემდეგი სახეები:

- ლექცია, სემინარი, მოსწავლეთა კონფერენცია და სხვ.;
- გაკვეთილები, რომლებიც ეყრდნობა ფანტაზიას და შემოქმედებას: თხზულება, დებატები, დისკუსია, დისპუტი;
- იმიტირებელი გაკვეთილები;
- გაკვეთილი-თამაში: დიდაქტიკური, როლური, საქმიანი, შეჯიბრებითი;
- გაკვეთილი თხზულების შესაქმნელად სურათის, სიუჟეტური სურათის, მოცემული ტექსტის, პირადი შთაბეჭდილებების მიხედვით;
- გაკვეთილები, სადაც მოცემულია ტექსტის კომპლექსური ანალიზი, შემოქმედებითი მუშაობა, საკუთარი ტექსტის შექმნა.

მასწავლებელმა გაკვეთილის მზადებისას ურთიერთობის დიალოგური პირობების მოფიქრებისას, შეუძლია გამოიყენოს განსაზღვრული პროცესუალური მოდელები, რომელშიც ეტაპობრივად გაიშლება მოსწავლეთა საქმიანობის შესაძლებლობები საგანმანათლებლო პროცესში. ამ შესაძლებლობის სტრუქტურა საკუთრივ წარმოადგენს ოთხ ტექნოლოგიურ ეტაპს:

- კომუნიკაციური სიტუაციის სტრუქტურული შემუშავება;
- გაკვეთილზე მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივი საქმიანობის პროექტის შემუშავება;
- მონაწილეობა სასწავლო დიალოგში;
- დიალოგური ურთიერთმოქმედების შედეგების რეფლექსია.

კომუნიკაციური სიტუაციის შექმნა ფართო გაგებით გულისხმობს იმ პირობების სისტემას, რომელიც უღვივებს და ითხოვს სუბიექტისაგან, მიიღოს აქტიური მონაწილეობა. ეს კონკრეტული ცხოვრებისეული ეპიზოდია, რომლის შინაარსშიც შედის:

- პრობლემათა აქტუალიზაცია;
- პირობებისა და მდგომარეობის გააზრება (ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება);
- გადაწყვეტილების მიღება, დამატებითი მასალის ძიება, ანალიზი, შერჩევა;
- საკუთარი მოქმედების აგება ახალი ტიპის ორიენტირების საფუძველზე.

კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე დაწყებით კლასებში იძლევა შესაძლებლობას, შევასწავლოთ მოსწავლეს ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, სამყაროსა და საკუთარი თავის მასში შეცნობა; განვუვითაროთ აქტიური, შემოქმედებითი აზროვნება, რომ წიგნიერების დონეზე ფლობდეს ყველა სახის მეტყველებით საქმიანობას.

ქართული ენის გაკვეთილებზე წარმოებს მრავალასპექტიანი მუშაობა სიტყვასთან; სხვადასხვა სახის ლექსიკონების გამოყენება; ასოციაციური მწკრივების ანალიზი და შერჩევა სიტყვასთან მიმართებაში; სიტყვისათვის კონტექსტის შექმნა და ა. შ. ქართული ენის გაკვეთილებზე შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი მეთოდები და ხერხები:

- სალექსიკონო მუშაობის ინოვაციური ხერხები: კარნახი-კროსვორდი, კარნახი ილუსტრაციით, თავისუფალი კარნახი, თვითკარნახი და ა. შ.;
- გამოყოფილი სიტყვებისა და გამოთქმებისათვის კულტურული ფონის შექმნა;
- კონტექსტში სიტყვის მნიშვნელობის აზრობრივი ანალიზი;
- სინონიმებისა და ანტონიმების შერჩევა და მათზე მუშაობა, ომონიმებისა და პარონიმების (გამოთქმით მსგავსი სიტყვების) შედარება და სხვ.;
- ტექსტის შედგენა ანალოგიების გზით;
- ფრაზეოლოგიზმებზე, ანდაზებზე, გამოთქმებზე და აფორიზმებზე მუშაობა;
- კონტექსტის შექმნა გამომსახველობით-გამომეტყველებითი საშუალებებით;
- აზრობრივად შორს მდგარი სიტყვის დაკავშირება წინადადებასთან;
- წინადადების გაშლა მეორეხარისხოვანი წევრების ხარჯზე გამომსახველობით-გამომეტყველებითი საშუალებებით, შესავალი სიტყვით და ა. შ.;
- ტექსტის ყველა სახის ასპექტური და კომპლექსური ანალიზი;
- ტექსტში სიტყვის გაშლის მეთოდი და ტექსტის შემცირება საკვანძო სიტყვამდე (სიტყვა – სიტყვათშეწყობა – მარტივი წინადადება – მარტივი, გართულებული სხვადასხვა სინტაქსური ერთეულებით – რთული წინადადება – მცირე ტექსტი – ტექსტი).

ლიტერატურის გაკვეთილებზე დაწყებით კლასებში ხდება ტექსტის მრავალმხრივი დამუშავება, ნაწარმოების მხატვრული ფორმის ანალიზი, სალექსიკონო მუშაობა. გაკვეთილებზე შეიძლება იქნეს გამოყენებული შემდეგი მეთოდები და ხერხები:

- გმირის სიტყვიერი დახასიათება (პორტრეტი);
- შინაარსის გადმოცემა (ანალიზური, შეკუმშული, კომენტირებული);
- კონტექსტის შექმნა გამომსახველობითი საშუალებებით;
- ტექსტის შეცვლა გამომსახველობითი საშუალებების დახმარების გამოყენებით;
- ერთი თემის მიხედვით ორი მხატვრული ნაწარმოების შედარებითი ანალიზი;
- სხვადასხვა სახის თხზულება და მათი ხარისხობრივი ანალიზი (დაკვირვების, შთაბეჭდილებათა ემოციონალური მახასიათებლების,

ლიტერატურული ნაწარმოების, სურათის, სპექტაკლის და ა. შ.), თხზულება-სტილიზაცია (იგავ-არაკი, ზღაპარი და ა. შ.);

- ლექსწყობა;
- როლური თამაშები და მეტყველებითი იმპროვიზაცია (ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა, თემის (საკითხის) ზეპირი ან წერილობითი პრეზენტაცია. სხვადასხვა სახის ნაწარმოებთა კომენტირება და ა. შ.);
- კვლევითი ნამუშევრის მომზადება და პრეზენტაცია ლიტერატურული თემის მიხედვით;
- ლიტერატურული ნაწარმოების ეპიზოდის (ეპიზოდების) ინსცენირება და ა. შ.

კომუნიკაციური ტექნოლოგიის აქტიურად გამოყენება შესაძლებელია კლასგარეშე საქმიანობაშიც, როგორცაა: საწრეო მუშაობა, ექსკურსიების მოწყობა კულტურულ-ლიტერატურულ ადგილებში, საბავშვო სპექტაკლებზე დასწრება მისი შემდგომი განხილვით, მოსწავლეთა კონფერენციების, ლიტერატურული საღამოების ჩატარება და ა. შ.

ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა. საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. თბილისი, 2011-2016.
2. Д. А. Иванов. Компетентный подход в образовании. Проблемы, понятия, инструментарий. Учебно-методическое пособие. М., 2003.
3. Г. В. Калшанский. Коммуникативная функция и структура языка. М., 1984.

Levan Jinjikhadze

Communicative Technologies of Teaching Georgian Language and Literature

Summary

In the above article is analyzed Communicative Technologies of Teaching Georgian Language and Literature, which are basically directed to searching for active methods and organizational forms and are actively used for better arranging the lessons, cooperating teaching, for working in pairs and groups of pupils. Communicative Technology is one of the leading methods as in teaching interrelations, so in dialogues.

Usage of Communicative Technologies on the lessons of Georgian Language and Literature in primary classes gives an opportunity to teach Language and Literature as a meaning of interrelation, to develop understanding of themselves and the world around; to develop active, creative thinking, in order to be able to manage speech activity on the literacy level.

ფიზიკის სასწავლო ტექსტის სტრუქტურის ხარვეზების აღმოფხვრის ხერხები სწავლების საბაზო საფეხურზე

ფიზიკის სასკოლო ტრადიციულმა სახელმძღვანელოებმა, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ასევე მის ფარგლებს გარეთ დაამკვიდრა კურსის განსაზღვრული, საყოველთაოდ ცნობილი სტრუქტურა და გადაცემის მეთოდოლოგია – ჩამოყალიბდა გარკვეული სტანდარტული სისტემა. რა თქმა უნდა, იგი ემყარება დიდ გამოცდილებასა და მეთოდოლოგიურ მიღწევებს, რომელთა გათვალისწინებისა და გამოყენების გარეშე შეუძლებელია სწავლების სრულყოფა. უპირველესად, ასეთად მიგვაჩნია სასწავლო მასალის ინდუქციური გადაცემის მეთოდოლოგია ექსპერიმენტული ბაზისის საფუძველზე, სწავლების თვალსაჩინო მეთოდებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მეთოდოლოგია, ფიზიკური ამოცანების ამოხსნის გამოცდილება. მაგრამ სწავლების ტრადიციული სისტემა ვედარ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, ამიტომ აუცილებელია მისი ხარვეზების ანალიზი, რათა დავეხმაროთ სწავლების სრულყოფის გზებს.

ფიზიკის სწავლების დაწყებისას, ცოდნის შექმნის საფუძველზე, დგება ფიზიკური აზროვნებისა და ფიზიკის ენაზე მეტყველების ჩასახვა – ჩამოყალიბების პრობლემა, რომლის გადაჭრაზედაც დამოკიდებულია მათი შემდგომი თანმიმდევრული, სისტემატური განვითარება. რა თქმა უნდა, პრობლემა მთელი სიგრძე – სივანით წარმოჩინდება ფიზიკის სწავლების დაწყებით ეტაპზე, ხოლო წინამორბედი პროპედევტიკული კურსი თავისი არსის გამო მას ვერ გადაწყვეტს.

გარდამავალი ასაკის მოსწავლეებს საკმარისად აქვთ განვითარებული ლიტერატურულ ენაზე მეტყველება, ხოლო რაც შეეხება ფიზიკურ ენაზე – არა. ამას ადასტურებს სხვადასხვა დაკვირვება, ჩვენც არაერთხელ დავრწმუნებულვართ, რომ ამ ასაკის მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტობრივად ფიზიკის ენას ვერ ფლობს.

შინაგანი მეტყველებიდან გარეგანზე გადასვლა ფიზიკაში კიდევ უფრო რთულდება ლიტერატურულთან შედარებით. თავის მხრივ, სრული და ზუსტი მეტყველება ავითარებს აზროვნებას, ამიტომ თუ შეფერხდა (არ მოხდა) ასეთ მეტყველებაზე გადასვლა, დამუხრუჭდება აზროვნების განვითარებაც და შედეგად ვღებულობთ იმას, რომ მოსწავლეს არ უყალიბდება ფიზიკური აზროვნება და ფიზიკის ენაზე მეტყველების უნარი. იქნებ ამაშია საძიებელი იმის მიზეზი, რომ სხვადასხვა გამოკვლევათა თანახმად, ფიზიკურ (აგრეთვე მათემატიკურ) აზროვნებას შეიძლება დაეუფლოს არაუმეტეს 20-30% ადამიანებისა.

სადღესოდ ეს კანონზომიერებადაა ჩათვლილი, მაგრამ სწავლების მეთოდოლოგიის ნაკლის შედეგი ხომ არ არის იგი?

რაც შეეხება ნაწერის კითხვას, ნათელია, იქ სხვა მდგომარეობა გვაქვს. როგორც მოზრდილი, ასევე ბავშვი უკეთ იღებს საკმაოდ გრძელ წინადადებებს (რამდენიმე ათეული სიტყვისაგან შემდგარს), რადგან შეიძლება დაეიწყებულ ნაწილს ისევ დაუბრუნდეს ნებისმიერ მომენტში. გარდამავალ ასაკში მხატვრული ლიტერატურის (რომელიც სავსეა მეტყველებისათვის ძნელი, გრძელი რთული ქვეწყობილი წინადადებებით) კითხვა სასარგებლოა და აუცილებელიც მეტყველებისა და აზროვნების განვითარებისათვის.

ფიზიკის (არა მხოლოდ ფიზიკის) სასწავლო ტექსტს, სახელმძღვანელოს კი სხვა მოეთხოვება. მან უნდა უზრუნველყოს სრული და ზუსტი მეტყველების ჩამოყალიბება, ამისათვის კი მისი ფიზიკური ენა უნდა იყოს მარტივი და გასაგები.

დისციპლინის სწავლებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმძღვანელოს სასწავლო ტექსტს. იმისათვის, რომ სასწავლო ტექსტმა შექმნას ეფექტური პირობები ცოდნის სისტემის შექმნისა და მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის, იგი რიგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს.

სასწავლო ტექსტი მიმართული უნდა იყოს უშუალოდ მოსწავლისადმი. პირობითად ტექსტი შეიძლება დავეოთ შესავალ და ძირითად ნაწილებად. შესავალი ნაწილი მოსწავლეს არა მხოლოდ უნდა აცნობდეს გადასაწყვეტ პრობლემათა წრეს, არამედ ჩართოს სასწავლო შემოქმედებაში. ამიტომ შესავალ ნაწილში დიდი ყურადღება ეთმობა მოტივაციას. როგორც ცნობილია, მოტივების როლში შეიძლება გამოდიოდეს მოთხოვნილებები და ინტერესები, მისწრაფება და ემოციები, იდეალები.

დადებითი მოტივაციის შექმნის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს წინააღმდეგობათა დაყენება. მეცნიერებისათვის არ არის საინტერესო ან უინტერესო, ადვილი ან ძნელი სინამდვილე, არამედ არის მხოლოდ შესატყვისობა ან არაშესატყვისობა სინამდვილესთან. მოსწავლისათვის საქმე უფრო რთულად არის. იდეალურ შემთხვევაში ახალი მასაინტერესებს იმიტომ, რომ ის არის ახალი. რეალურად კი ახალი საინტერესოა იმ ზომით, რითაც ის დაკავშირებულია ცნობილთან. განსაკუთრებით, თუ ის ეწინააღმდეგება უკვე ცნობილს.

წინააღმდეგობა შეიძლება გამოვლინდეს არასრულ ცოდნასა და დასმული ამოცანის ამოსახსნელად აუცილებელ ცოდნას შორის. ამ შემთხვევაში იქმნება პრობლემური სიტუაცია, რომლის გადაწყვეტას დაეჭვებდებარება მასალის შემდგომი გაშლა.

წინააღმდეგობა შეიძლება გამოვლინდეს ცოდნასა და მოსწავლის საკუთარ გამოცდილებას შორის. მაგალითად, ვნახოთ ასეთი წინადადება: “რატომ არის ძალა ფიზიკური სიდიდე?” ფიზიკოსისათვის

კითხვის ასეთი დასმა ზედმეტია – ძალა ფიზიკური სიდიდე განსაზღვრებით. მოსწავლისათვის კი ეს სრულიადაც არ არის ნათელი.

ფიზიკის საფუძვლების შინაარსი და გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა აზროვნების თავისებურებანი საშუალებას იძლევა გამოვეყნოთ ფიზიკის კურსის წამყვანი დიდაქტიკური ერთეული. ერთეულს, განათლების შინაარსის დიდაქტიკურ თეორიაში, ვ. კრავესკი უწოდებს შინაარსის სტრუქტურისათვის მისი ფორმირების ყოველ დონეზე მნიშვნელოვან ელემენტს. ელემენტის მნიშვნელობა განისაზღვრება შინაარსიანი ანალიზის გზით და ჯერ არა აქვს ფორმალური კრიტერიუმები. ყოველი სასწავლო საგნის ძირითად ელემენტებს წარმოადგენენ შინაარსის მისთვის წამყვანი კომპონენტების ელემენტები. მეცნიერებათა საფუძვლების სასწავლო საგნებში ერთეულებს წარმოადგენს მეცნიერული ფაქტები, ცნებები, კანონები, თეორიები, მეცნიერების მეთოდები. ლ. ზორინას აზრით, დიდაქტიკური ერთეული სწავლების შინაარსისა და პროცესისა წარმოადგენს ობიექტს, რომელიც სრულყოფილად უნდა იქნეს შეთვისებული¹. დიდაქტიკური ერთეული განსაზღვრავს მასალის შერჩევას, მის განაწილებას და სწავლების პროცესს.

თეორიული აზროვნება წარმოადგენს გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა აზროვნების ერთ – ერთ არსებით განსაკუთრებულობას. ეს განსაკუთრებულობა განსაზღვრავს ფიზიკის კურსის წამყვან დიდაქტიკურ ერთეულს – ფიზიკურ ცნებებს. გარდა ფიზიკური ცნებებისა ერთეულებს წარმოადგენენ ცნებათა სისტემები, ფიზიკური კანონზომიერებები და კანონები, ფიზიკური თეორიების ელემენტები.

ფსიქოლოგთა კვლევებმა აჩვენა, რომ სათაურის წაკითხვისას მკითხველს უჩნდება სწრაფვა ტექსტის შინაარსის ჰიპოთეზის ფორმულირებისა². ამიტომ სათაურის ფორმას აქვს დიდი მნიშვნელობა. კითხვის სახით ჩამოყალიბებული სათაური მოსწავლეს აძლევს სტიმულს გაიაზროს თავისი გამოცდილება. კარგი არის თუ თვითონ სასწავლო ტექსტს დავიწყებთ კითხვის დასმით. მისი წაკითხვისას მოსწავლე იწყებს სიტუაციის გაანალიზებას და ცდილობს, ტექსტის შემდეგი ნაწილის წაკითხვამდე, თვითონ გაიაზროს პასუხი. შემდეგ მას აინტერესებს რამდენად სწორი იყო მისი პასუხი და აქტიურად ებმება მასალის შეთვისებაში. მაგალითად, პარაგრაფი “კონვექცია” შეიძლება დავიწყოთ კითხვით: “რატომ ათბობენ სითხესა და აირს ქვევით?” ან კიდევ, პარაგრაფი “სითხის მოქმედება ჩაძირულ სხეულზე” დავიწყოთ შემდეგი კითხვით: “გიცდიათ თუ არა ბურთის ჩაძირვა?” და სხვა.

სასწავლო ტექსტის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს მისი ორგანიზაციის ფორმა. მოსწავლეთა მეცნიერული აზროვნების ფორმირე-

ბა უნდა განაპირობოს პირველ რიგში, სახელმძღვანელომ, სასწავლო ტექსტმა. აზროვნების მეცნიერული სტილის პრინციპებს განეკუთვნება ახსნა, დაკვირვება, სიმარტივე, შენახვა, შესაბამისობა. აზროვნების მეცნიერული სტილის პრინციპების და მახასიათებლების გამჟღავნებისათვის სასწავლო ტექსტი ორგანიზებული უნდა იყოს სოკრატისეული დიალოგის, პარადოქსის, არსის გაშლის, მრავალფეროვნების ერთიანობის ფორმებში.

ლინგვისტიკაში უპირველესად იკვლევენ სინტაქსურ ინფორმაციას და მის განაწილებას ტექსტში. ამიტომ ერთდროულად აღებულია ფორმა ანუ სიტყვის გამოყენებათა ერთობლიობა (სიტყვის გამოყენება არის ასოთა ჯაჭვი ხარვეზიდან ხარვეზამდე). სინტაქსური ინფორმაცია არის რაოდენობრივი ზომა სტრუქტურულ-სტატისტიკური მრავალფეროვნებისა და ლინგვისტურ ვარიანტთა არჩევის თავისუფლებისა. ეს ანალიზი იძლევა იმას, რომ ზეპირი და წერიტი მეტყველება, ლაპარაკი ჩვენი მესხიერების მიერ აღიქმება და გადამუშავდება არა უწყვეტად, არამედ დაგროვილი ინფორმაციის პორციებით. სინტაქსური ინფორმაციის ერთეულად, კვანტად გამოდის მორფემა – ტექსტის ელემენტარული აზრობრივი ერთეული.

ლინგვისტურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ცოდნის შეთვისება ხდება პორციებად. ეს კანონზომიერებაა. მონოტონური ტექსტის შეთვისება მოსწავლეებს უძნელდებათ, დაბალია მისი დიდაქტიკური ეფექტურობა.

ითვალისწინებს თუ არა ფსიქოლოგიურ კანონზომიერებას ფიზიკის სახელმძღვანელოებისა თუ სასწავლო წიგნების ტექსტები? არა. გვაქვს მონოტონური, გრძელი ტექსტები. პედაგოგიურმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ასეთი სასწავლო ტექსტების კითხვისას საკმაოდ დიდ ნაწილს მოსწავლეები, როგორც წესი, ვერ იგებენ. ხვდებათ რა გაუგებარი ადგილი, ისინი აგრძელებენ კითხვას, ამას ემატება შემდეგი გაუგებარი ადგილი და ა.შ. ასე რომ, ტექსტის წაკითხვისას გროვდება საკმაოდ რაოდენობის გაუგებარი ადგილი, რაც მათ ხალისს უკარგავს ხელმეორედ წაკითხონ ტექსტი.

ჩვენ შემდეგნაირად მივუდევით ამ პრობლემის გადაჭრას. მიგვაჩნია, რომ სასწავლო ტექსტი დაყოფილი უნდა იყოს ერთგვაროვან აზრობრივ “ცოდნის მონაკვეთებად”. ზოგიერთი ავტორი ტერმინ “კვანტაც” კი იყენებს. ეს იმიტომ, რომ მოსწავლემ თანდათან, თანმიმდევრულად გაიაზროს, შეითვისოს სასწავლო მასალა. ჩვეულებრივ სასწავლო ტექსტში (და სხვა ნებისმიერ ტექსტში) ამისათვის იყენებენ აბზაცებს. მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი ფიზიკის სასწავლო ტექსტის თანმიმდევრული გაგებისა და გააზრებისათვის. ამიტომ საჭიროა სათანადო მეთოდური ხერხების გამოყენება. მათ მნიშვნელობას კარგად გამოხატავს ჯ. ორირის სიტყვები: “ცოდნას მხოლოდ მაშინ ვეუ-

¹ Теоретические основы содержания общего среднего образования /Под.ред. Краевского В.В., Лернера И.Я.-М., Просвещение,1983.

² Гранник Г.Г., Концевая Л. А., Бондаренко С. М. О реализации закономерностей понимания в учебном тексте. Проблемы школьного учебника. Вып.20. М., Просвещение, 1991, с.45-61.

ფლებით, როდესაც სრულად გვაქვს შეგნებული, თუ რა არ გვესმის”³. მან სასწავლო ტექსტში ჩართო კითხვები, სავარჯიშოები, მაგალითები წაკითხულის თანმიმდევრული გაგებისა და გააზრებისათვის. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ასეთი მიდგომა ძალიან ეფექტურია. მასზე დაყრდნობით დავამუშავეთ ჩვენი მეთოდური სისტემა. სასწავლო ტექსტი დავავით ერთგვაროვან აზრობრივ “ცოდნის მონაკვეთებად” კითხვებით, მაგალითებით, მარტივი სავარჯიშოებით და სხვა დიდაქტიკური ხერხებით. რასაკვირველია, ასეთი “დაყოფა” ცალსახა არ არის, შეიცავს სუბიექტურ მომენტს. მაგრამ ამავე დროს ავტორს უტოვებს შემოქმედებით თავისუფლებას, ეს კი საწინდარია იმისა, რომ სხვადასხვა სასწავლო წიგნი ტყუპისცალივით არ ჰგავდეს ერთმანეთს.

სასწავლო შემეცნება საჭიროა განხორციელდეს ორეტაპიანი უწყვეტი ციკლის სახით: კერძოდან ზოგადისაკენ და ზოგადიდან კერძოსკენ, რადგან კერძო, კონკრეტული შემეცნების არა მარტო საწყისი, არამედ საბოლოო პუნქტაცაა. პირველ ეტაპზე ხდება მოძრაობა კონკრეტულ-გრძობადი აღქმიდან აბსტრაქციულამდე, არსებითი ნიშნების გამოყოფა და ეს ეტაპი მთავრდება განსაზღვრებით (დეფინიციით). მეორე ეტაპზე მოძრაობა ხდება აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ, ცნების შინაარსი მდიდრდება, იხსნება სხვა ცნებებთან მრავალფეროვანი კავშირი. ამ ციკლის სრულყოფილი რეალიზება სასწავლო პროცესში საკმაოდ რთულია და, როგორც წესი, არ არის განხორციელებული. ჩვენმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მისი განხორციელების შემთხვევაში ფიზიკის სწავლების ეფექტურობა მნიშვნელოვანად იზრდება.

ტრადიციულად, ფიზიკის სწავლების პირველ საფეხურზე უპირატესობა ეძლევა ციკლის პირველ ეტაპს – გადასვლა კერძოდან ზოგადისაკენ. ბოლო დროს გაიზარდა მეორე ეტაპის – ზოგადიდან კერძოსკენ – როლი, მაგრამ, სამწუხაროდ, პირველის შეკვეცის ხარჯზე. სწორედ ასეთი გათიშვა უწყვეტი შემეცნების ციკლისა იწვევს აქცენტის გადატანას რეპროდუქციულ აზროვნებაზე (როდესაც მეხსიერება ბატონობს აზროვნებაზე), რადგან მოსწავლეს არ შეუძლია კარგად გაიგოს გადმოცემული მასალა. შედეგად, სათანადოდ არ ვითარდება ფიზიკის შესწავლის შემეცნებითი ინტერესი.

მიგვაჩნია, რომ ფიზიკის სასწავლო ტექსტი დაყოფილი უნდა იყოს ერთგვაროვან აზრობრივ “ცოდნის მონაკვეთებად”, “კვანტებად” კითხვების, მარტივი სავარჯიშოების საშუალებით. ეს მოსწავლეს ხელს შეუწყობს თანმიმდევრულად გაიგოს და გაიაზროს წაკითხული. ეს რეკომენდაციები ეხება სასწავლო ტექსტის დიდაქტიკური სტრუქტურის სტატისტიკურ სურათს და მისი რეალიზაცია შემოქმედებით ინდივიდუალურ თავისუფლებას უტოვებს ავტორს.

სასწავლო ტექსტმა უნდა უზრუნველყოს სწავლების განმავითარებელი ფუნქცია, შემოქმედებითი აზროვნების ფორმირება და არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება.

Summary Nana Maisuradze

How to identify defects in the structure of educational text in physics at a basic level of training

In the training process cognition importance of transmitting knowledge, which mainly takes place by means of educational text. The problem of thinking is one of the most important in the learning process. Thinking must lead the knowledge is necessary for the development of creative thinking - this is for us one of the basic assumptions.

When examining specific discipline, academic text is crucial. In order to study the text established the effective conditions for the acquisition of knowledge and independent work, it should meet certain conditions.

Teaching text of physics should be divided into mental “sections knowledge”, “quanta”, questions, simple exercises. This will help the student understand and comprehend read sequentially. Training text should ensure the developmental function, formation of creative thinking, and not only the accumulation of knowled

ლიტერატურა

1. Теоретические основы содержания общего среднего образования /Под ред. Краевского В.В., Лернера И.Я.-М., Просвещение,1983.
2. Гранник Г.Г., Концевая Л. А., Бондаренко С. М. О реализации закономерностей понимания в учебном тексте. Проблемы школьного учебника. Вып.20. М., Просвещение, 1991, с.45-61.
3. Популярная физика. Орир Дж. Перевод с английского.- М., Мир.1969.

³ Популярная физика. Орир Дж. Перевод с английского.- М., Мир.1969.

ამოცანები მოძრაობაზე

ტექსტობრივი ალგებრული ამოცანები ანუ ამოცანები, რომლებიც განტოლებათა ან განტოლებათა სისტემის შედგენაზე დაიყვანება, ტრადიციულად ერთ-ერთ რთულ საკითხს წარმოადგენს მოსწავლეებისათვის. ამ საკითხისადმი ყურადღება იმითა გამოწვეული, რომ ტექსტობრივი ამოცანების ამოხსნა მოსწავლეებში ავითარებს ლოგიკურ აზროვნებას, ხაზს ეუსვამთ ლოგიკურ აზროვნებას, მიხვედრილობას, დაკვირვებულობას და ხანდახან არც ისე მარტივი გარდაქმნების ცოდნის აუცილებლობას, რომლებიც წარმოიშობა შესაბამისი განტოლებების, განტოლებათა სისტემების ან უტოლობების ამოხსნისას.

ტექსტობრივი ამოცანები დიდ სირთულეებს უქმნის აბიტურიენტებსაც, რადგანაც ხშირ შემთხვევაში ასეთი ტიპის ამოცანებს სათანადო ყურადღება არ ეთმობა საჯარო სკოლებში. ამის ნათელი დადასტურებაა ეროვნული საგანმანათლებლო ცენტრის მონაცემები. თუ თვალს გადავაფლავებთ ტექსტობრივი ამოცანების (ამოცანა №36) ამოხსნის სტატისტიკურ მონაცემებს

ა) 2006 წლის მონაცემების თანახმად, ვარიანტი I-ის ამოცანა №36-ის შეფასება შემდეგია:

0 ქულა	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა
60%	14%	5%	3%	18%

ვარიანტი №II ამოცანა №36-ის კი

0 ქულა	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა
70%	12%	1%	4%	13%

ბ) 2007 წლის მონაცემების თანახმად, ვარიანტი I-ის ამოცანა №36-ის შეფასება შემდეგია:

0 ქულა	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა
63%	8%	3%	5%	22%

ვარიანტი №II ამოცანა №36-ის კი

0 ქულა	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა
51%	9%	4%	7%	29%

გ) 2008 წლის მონაცემების თანახმად, ვარიანტი I-ის ამოცანა №36-ის შეფასება შემდეგია

0 ქულა	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა
50,2%	25,7%	3,4%	9,4%	11,3%

ცხადი გახდება აღნიშნული საკითხის აქტუალობა.

ამ სტატიის ფარგლებში შევეცდებით აღნიშნული პრობლემის შემსუბუქებას და მცირედით ნაკლის შევსებას “მოძრაობაზე” ამოცანების განხილვით.

ამოცანები მოძრაობაზე როგორც წესი შეიცავენ ისეთ პარამეტრებს როგორცაა – S - განვლილი მანძილი, $v; u; w$ - სიჩქარე და t - მოძრაობის დრო.

ასეთი ტიპის ამოცანებში მიღებულია შემდეგი დაშვებები (თუ წინასწარ არ არის ნათქვამი საწინააღმდეგო):

1. სხვადასხვა უბანზე სხეულის მოძრაობა ითვლება თანაბარ მოძრაობად, რომელიც ემორჩილება $S = v \cdot t$ ფორმულას.

2. მოძრავე სხეულის უკან მობრუნება ხდება მყისიერად ანუ დროის დაკარგვის გარეშე, ამავედროულად სიჩქარეც იცვლება მყისიერად.

3. თუ სხეული მოძრაობს მდინარის დინების მიმართულებით, მაშინ მისი w -სიჩქარე, მიიღება ორი სიჩქარის ჯამისაგან, რომელთაგან ერთია ამავე სხეულის v სიჩქარე მდგარ წყალში (საკუთარი სიჩქარე) და მდინარის დინების u სიჩქარე.

4. ტივები მოძრაობენ მდინარის დინების სიჩქარით.

ამ ტიპის ამოცანებს მიეკუთვნება ისეთი ამოცანებიც, რომლებშიც “ვინმე ასრულებს რაიმე სამუშაოს” და ამოცანები, სადაც “ავზები ივსება და იცლება” სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით. მათთვის, ადამიანების, ტუმბოების ან სხვა მექანიზმების მიერ შესრულებული სამუშაოები თამაშობენ სიჩქარის როლს, ხოლო შესრულებული სამუშაოს ან ავზის მოცულობები – მანძილის როლს.

განვიხილოთ რამდენიმე ამოცანა, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობა “მოძრაობებზე” ამოცანების ამოხსნის დროს.

ამოცანა №1. სატვირთო ავტომობილმა გაიარა 80კმ მანძილი. გზის პირველი ნახევარი მან გაიარა 50კმ/სთ სიჩქარით, მეორე ნახევარი კი – 75კმ/სთ სიჩქარით. იპოვეთ სატვირთო ავტომობილის საშუალო სიჩქარე.

ამოხსნა: საშუალო სიჩქარის საპოვნელად, საჭიროა განვლილი მანძილი გავყოთ მთელი მანძილის გასავლელად დახარჯულ დროზე.

პირველი 40კმ-ის გავლას სატვირთო ავტომობილი მოანდომებდა $\frac{40}{50}$

სთ, მეორე 40კმ-ის გავლას კი $\frac{40}{75}$ სთ. ამიტომ, საშუალო სიჩქარე იქნება

$$V_{\text{საშ}} = \frac{80}{\frac{40}{50} + \frac{40}{75}} = 60 \text{ კმ/სთ}$$

პასუხი: 60კმ/სთ.

ამოცანა №2. დასახლებული A და B პუნქტები მდინარის ნაპირზეა განთავსებული. A პუნქტიდან დინების მიმართულებით B პუნქტისაკენ გაემგზავრა კატერი. იმავდროულად A -დან B -საკენ (ნაპირ-ნაპირ) გავიდა სატვირთო ავტომობილი. სატვირთო ავტომობილი და კატერი B პუნქტში მისვლისთანავე ბრუნდებიან უკან და მიდიან A პუნქტში. რომელი სატრანსპორტო საშუალება მივა უფრო გვიან A პუნქტში, თუ კატერის სიჩქარე მდგარ წყალში და ავტომობილის სიჩქარე ერთმანეთის ტოლია.

ამოხსნა: A პუნქტიდან B პუნქტამდე მანძილი აღვნიშნოთ S -ით. კატერის სიჩქარე მდგარ წყალში და სატვირთო ავტომობილის სიჩქარე კი – v კმ/სთ; ხოლო დინების სიჩქარე – u კმ/სთ.

კატერს A -დან B -ში ჩასვლისათვის დასჭირდება $\frac{S}{v+u}$ სთ., ხოლო

B -დან A -ში $\frac{S}{v-u}$ სთ. სატვირთო ავტომობილი კი დახარჯავს

$\left(\frac{S}{v} + \frac{S}{u}\right)$ -სთ. ამოცანა დავიდა

$$\frac{S}{v+u} + \frac{S}{v-u} \quad \text{და} \quad \frac{S}{v} + \frac{S}{v}$$

გამოსახულებების შედარებაზე.

თუ გავაერთმნიშვნელიანებთ ორივე გამოსახულებას, შემდეგ გავამ-

რავლებთ v და გავყოფთ S -ზე, დაგვრჩება $\frac{v^2}{v^2-u^2}$ შეფარდება და 1.

საიდანაც ცხადია, რომ $\frac{v^2}{v^2-u^2} > 1$, ტოლობა კი მიიღწევა, მაშინ

როდესაც $u=0$ ანუ დინების სიჩქარეა ნული.

პასუხი: კატერი უფრო გვიან ჩავა A პუნქტში.

ამ ამოცანის “მოჩვენებითი” პასუხი ისაა, რომ კატერის და სატვირთო ავტომობილიც ერთდროულად უნდა დაბრუნდნენ A პუნქტში. მოსწავლეებიცა და აბიტურიენტებიც ფიქრობენ ეს პასუხი დაასაბუთონ შემდეგნაირად: მდინარის დინება “ეხმარება” კატერს, როცა ის მოძრაობს დინების მიმართულებით და ხელს “უშლის” დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობისას. მაშასადამე, გამოდის, რომ კატერი მდგარ წყალში მოძრაობს, ე.ი. ერთდროულად დაბრუნდებიან A პუნქტში. სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა. თუ მივყვებით იგივე ლოგიკას, მაშინ რამდენსაც “ეხმარება” დინება კატერს, დინების მიმართულებით მოძრაობისას, იმაზე მეტს “უშლის” ხელს დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობისას. ანუ დინების მიმართულებით ნაკლები დროის განმავლობაში “ეხმარება” და საწინააღმდეგოდ მიმართულებით მოძრაობისას, მეტი დროის განმავლობაში “უშლის” ხელს.

ამოცანა №3. სამი ტრაქტორი ერთად მუშაობით მინდორს ხნავს 4 სთ-ში. ამავე მინდორს პირველი და მეორე ტრაქტორი ერთად ხნავენ 6სთ-ში, ხოლო პირველი და მესამე ტრაქტორი – 8სთ-ში. რამდენჯერ მეტ ფართობს მოხნავს ერთ საათში მეორე ტრაქტორი, ვიდრე მესამე ტრაქტორი მოხნავს ერთ საათში.

ამოხსნა: დაუშვათ, მინდორის ფართობია S ჰა. პირველი, მეორე და მესამე ტრაქტორების შრომის ნაყოფიერება კი – x ჰა/სთ, y ჰა/სთ,

z ჰა/სთ, შესაბამისად.

ამოცანის პირობის თანახმად შეგვიძლია ჩავწეროთ, შემდეგი განტოლებათა სისტემა

$$\begin{cases} (x+y+z) \cdot 4 = S \\ (x+y) \cdot 6 = S \\ (x+z) \cdot 8 = S \end{cases}$$

არ უნდა შეგვაშინოს იმ ფაქტმა, რომ განტოლებათა სისტემაში მეტი უცნობია ვიდრე განტოლება. საქმე იმაშია, რომ ამოცანის პირობის თანახმად ჩვენ უნდა ვიპოვოთ $\frac{y}{z}$ და არა თითოეული x , y და z უცნობი.

ბის თანახმად ჩვენ უნდა ვიპოვოთ $\frac{y}{z}$ და არა თითოეული x , y და z უცნობი.

თუ მესამე განტოლებიდან გამოვსახოთ x -ი y -ის საშუალებით

$$x = \frac{S}{8} - z,$$

და მეორე განტოლებიდან y -ს z -ის საშუალებით, მივიღებთ

$$y = \frac{S}{6} - x = \frac{S}{6} - \left(\frac{S}{8} - z \right) = \frac{S}{24} + z.$$

x და y -ის ამ მნიშვნელობებს ჩავსვამთ, პირველ განტოლებაში, მივიღებთ განტოლებას, რომელშიც იქნება z და S უცნობები

$$\frac{S}{8} - z + \frac{S}{24} + z + z = \frac{S}{4}$$

საიდანაც z -ს გამოვსახოთ S -ის საშუალებით $z = \frac{S}{12}$,

მაშინ $y = \frac{S}{8}$ და $\frac{y}{z} = \frac{3}{2}$.

პასუხი: ერთნახევარჯერ მეტი.

შენიშვნა: თუ მინდვრის ფართობი მოცემული არა გვაქვს, არ შეიძლება მისი ფართობი მივიღოთ ერთეულის ტოლად. სისტემაში S შეიძლება შეიცვალოს ერთიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშაობის ნაყოფიერებას ჩავთვლით არა ჰა/სთ-ში არამედ, “მინდორს/სთ-ში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საშუალო სკოლის სახელმძღვანელოები მათემატიკაში.
2. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი – როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის – მათემატიკა. 2006.
3. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი – როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის – მათემატიკა. 2007.
4. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი – როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის – მათემატიკა. 2008.
5. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი – როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის – მათემატიკა. 2009.
6. Научно-популярный физико-математический журнал “Квант”.

თეიმურაზ ორმოცაძე
პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი,
ტელ. 2575858, 599113855. ormocadze@mail.ru
სოხუმის უნივერსიტეტი ქ. თბილისი ჯიქიას ქ. #9.

Текстовые задачи

Текстовые алгебраические задачи, или, иначе, задачи на составление уравнений, представляют собой раздел математики, традиционно предлагаемый на экзаменах.

Интерес к текстовым задачам вполне рониатен. Решение этих задач связано с развитием логического мышления, сообразительности, наблюдательности, а зачастую и с непростыми преобразованиями, возникающими при решении соответствующих систем уравнений и неравенств.

Текстовые задачи вызывают трудности у многих абитуриентов. Отчасти это происходит и от недостатка внимания, уделяемого такого сорта задачам в школьном курсе математики.

В настоящей статье попытаемся восполнить данный пробел. На конкретных примерах показана решения нескольких типовых задач на «смеси, растворы, проценти» и на «движение».

დაწყებით სკოლაში მათემატიკისა და ინფორმატიკის სწავლების ურთიერთკავშირის პრობლემა

ინფორმატიკის სწავლების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს კომპიუტერის საშუალებით ამოცანის ამოხსნის გარკვეული უნარ-ჩვევები. ამ უნარ-ჩვევების განვითარებისათვის ნიადაგს შესანიშნავად ამზადებს მათემატიკის სწავლება. მათემატიკა ქმნის ფართო შესაძლებლობას ისეთი უნარების განვითარებისა, როგორცაა: ამოცანის მკაფიოდ ფორმულირება, მისი მათემატიკური მოდელის შექმნა, ამოცანის ამოხსნის ალგორითმის ძიება და აგება.

დაწყებით სკოლაში ინფორმატიკის სწავლებაზე უბრალო დაკვირვებაც კი გვიჩვენებს, რომ ზოგადი სურათი ასეთია: მოსწავლეებს არ შეუძლიათ ზოგადი სახით ჩაიწერონ ამოცანა, სუსტად ფლობენ მათემატიკური მოდელირების მეთოდებს, უჭირთ ამოცანის ამოხსნის წარმოდგენა მკაფიო ნაბიჯების სახით, – შეადგინონ ალგორითმი, არასაკმარისადა აქვთ განვითარებული აბსტრაქტული, ოპერაციული, ლოგიკური აზროვნება, დაბალია ზოგადი ალგორითმული კულტურა.

ასეთია ზოგადი სურათი დღევანდელ დაწყებით სკოლაში.

გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სწორედ მათემატიკისა და ინფორმატიკის შიგაკავშირებისა და საგანთაშორისი კავშირების ფონზე მოინახოს ერთიანი ლოგიკურ-ალგორითმული ხაზი და ის გახდეს საფუძველი ძირითადი მათემატიკურ-ინფორმატიკული ცნებების ფორმირებისა. ამისათვის საჭირო გახდება როგორც არითმეტიკული, ისე გეომეტრიული მასალის, ალგორითმიკული ამოცანების, ლოგიკურ-სახალისო სავარჯიშოებისა და დიდაქტიკურ თამაშობათა გამოყენება. მათემატიკის გაკვეთილებზე პირველი კლასიდანვე საჭირო: მათემატიკური მოდელირების ელემენტების შემოღება, ამოცანის ზოგადი სახით ჩაწერის სწავლება, ცვლადი სიდიდის, ალგორითმისა და მისი თვისებების გაცნობა. მთელი ეს ცოდნა კი უნდა გახდეს ინფორმატიკაში კომპიუტერის მეშვეობით ამოცანის ამოხსნის ეტაპების ცხადად გამოყოფისა და დაზუსტების ჩვევათა ფორმირების საფუძველი.

საამისოდ მასწავლებლის მიერ უნდა შეიქმნას სავარჯიშოთა სისტემა და მისი გეგმაზომიერი რეალიზების მეთოდთა კლასის თავისებურებათა გათვალისწინებით. მართალია, ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები თავის სირთულეს შეიცავს, მაგრამ აქ უნდა დავეყრდნოთ ცნობილი ფსიქოლოგის – ჯერომ ბრუნერის მიერ გამოთქმულ იდეებს იმის შესახებ, რომ ნებისმიერ მოსწავლეს, განვითარების ნებისმიერ

სტადიაზე შეიძლება ნებისმიერი საგანი ვასწავლოთ ეფექტურად და ადეკვატური ფორმით; ყველაზე მთავარია – შეიქმნას პირობები იმისა, რომ მოსწავლემ საგანი შეითვისოს იმ მასალების მეშვეობით, რომლებითაც მანიპულირება თვითონ შეუძლია.

ინფორმატიკის საგნის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მასში ერთმანეთშია გადახლართული ფუნდამენტური და გამოყენებითი ცოდნა და ტექნოლოგიები. სახელდობრ, ცოდნისა და ტექნოლოგიების ფუნდამენტურობა ვლინდება ისეთი ზოგადმნიშვნელოვანი მეთოდების გამოყენებაში, როგორცაა ფორმალიზაცია, მოდელირება, იმიტაციური კონსტრუირება. როგორც ვიცით, ეს მეთოდები მათემატიკისთვისაც დამახასიათებელია. ამიტომ გვაქვს საშუალება, გავამდიდროთ მათემატიკის სწავლება ინფორმატიკიდან აღებული ახალი შინაარსობრივი ელემენტების გამოყენებით. ეს, შესაძლოა, გამოვლინდეს ისეთი მათემატიკური ცნებების დაზუსტებაში, როგორცაა: ობიექტი, მოდელი, სიდიდე, სიდიდის სახელი, სიდიდის ტიპი, სიდიდის მნიშვნელობა, ამოხსნის პროცესი, ალგორითმი და სხვ.

ინფორმატიკის გამოყენებითი ხასიათი იხსნება ახალი ტექნოლოგიების გადაცემაში, როცა ეს ახალი ტექნოლოგიები გამოიყენება კომპიუტერულ გარემოში. ამასთან, იცვლება საქმიანობის ტრადიციული ხერხები და ფორმირდება ახალი. ეს ყოველივე ასახავს პოულობს მოსწავლის სასწავლო საქმიანობაზე. მოსწავლე მათემატიკის გაკვეთილებზე ითვისებს ისეთ ახალ ტექნოლოგიებს, როგორცაა ამოცანის ამოხსნა კომპიუტერულ გარემოში, კლასიკური ალგორითმების (მაგალითად, ძიების, გადარჩევის) დაუფლება.

განვიხილოთ ერთი მახასიათებელი მაგალითი:

ქუჩაში ორი ბოძი დგას. ერთი მათგანის სიმაღლეა 6 მეტრი. რა სიმაღლისაა მეორე?

პასუხი: თუ მეორე ბოძი უფრო მაღალია, მაშინ მისი სიმაღლეა 7 მეტრი, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სიმაღლეა 5 მეტრი.

ძალზე მნიშვნელოვანია, მოსწავლემ გაიგოს, რომ ინფორმატიკა მხოლოდ ინსტრუმენტი კი არა, არამედ აზროვნების სტილიცაა.

აღსანიშნავია, რომ მათემატიკის გაკვეთილებზე ინფორმატიკის გამოყენება – ეს არის ისეთი ამოცანების ამოხსნა, რომლებშიც მათემატიკისა და ინფორმატიკის მეთოდები ყველაზე ბუნებრივი გზით იხლართება ერთმანეთში. ეს იმას ნიშნავს, რომ უმცროსკლასელთათვის ინფორმატიკა არის საქმიანობის ხერხი, სადაც გამოყენებას პოულობს ახალი ცოდნა და ტექნოლოგიები.

საერთოდ, და მით უმეტეს დაწყებით სკოლაში, ინფორმატიკის გაკვეთილების ჩატარება მოითხოვს თანამედროვე სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნების მკაცრად დაცვას. ბავშვები მეცადინეობის დროს დაიშვება მხოლოდ ისეთ კომპიუტერულ ტექნიკასთან, რომელსაც აქვს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური დასკვნა ბავშვების

ჯანმრთელობისათვის მისი უსაფრთხოების შესახებ. გარდა ამისა, და მასთან ერთად, მხედველობისა და საერთო გადაღლის პროფილაქტიკისათვის აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების დაცვა:

- II-IV კლასების მოსწავლეებისათვის კომპიუტერის გამოყენებით მეცადინეობათა ოპტიმალური ხანგრძლივობაა არაუმეტეს 15 წუთისა.
- პერსონალური კომპიუტერების გამოყენების შემდეგ ბავშვების მხედველობითი გადაღლის პროფილაქტიკის მიზნით რეკომენდებულია თვალებისათვის სავარჯიშოთა კომპლექსის ჩატარება. იგი ტარდება ჯდომით ან ღვრით და ეკრანისაგან შებრუნებულ მდგომარეობაში.

მეცნიერების მიერ შემუშავებულია სავარჯიშოთა ასეთი სანიმუშო კომპლექსი:

1. დახუჭეთ თვალები, ძლიერ დაძაბეთ თვალების კუნთები 1-4 თვალაზე, შემდეგ გაახილეთ, მოაღუნეთ თვალების კუნთები, გაიხედეთ შორს 1-6 თვალაზე. გაიმეორეთ 4-5-ჯერ.
2. შეხედეთ ცხვირის წვერს, შეაჩერეთ მხერა 1-4 თვალაზე. არ მიიყვანოთ თვალები დაღლილობამდე, გაახილეთ, გაიხედეთ შორს 1-6 თვალაზე. გაიმეორეთ 4-5-ჯერ.
3. თავის მოუბრუნებლად გაიხედეთ მარჯვნივ და დააფიქსირეთ მხერა 1-4 თვალაზე, შემდეგ გაიხედეთ შორს პირდაპირ 1-6 თვალაზე. ანალოგიურად – მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ. გაიმეორეთ 3-4-ჯერ.
4. სწრაფად გადაიტანეთ მხერა დიაგონალზე: მარჯვნივ ზემოთ – მარცხნივ ქვემოთ, შემდეგ – პირდაპირ შორს 1-6 თვალაზე; შემდეგ მარცხნივ ზემოთ – მარჯვნივ ქვემოთ და გაიხედეთ შორს 1-6 თვალაზე. გაიმეორეთ 4-5-ჯერ.
5. თვალებისათვის ვარჯისის ჩატარება არ გამორიცხავს ფიზიკულტურული წუთის ჩატარებას. ორივეს რეგულარული ჩატარება საგრძნობლად ხსნის მხედველობით და სტატიკურ დაძაბულობას.
6. დაწყებით კლასებში კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით საწრეო მუშაობის ერთი მეცადინეობის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 60 წუთზე მეტი. ასეთი მეცადინეობა შეიძლება ჩატარდეს არაუმეტეს ორისა კვირაში. მეცადინეობისას 10-15 წუთის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ უნდა ჩატარდეს ფიზიკულტურული წუთი და ვარჯიში თვალებისათვის.
7. უეჭველია, რომ დაღლილობა და გადაღლა დამოკიდებულია კომპიუტერული მეცადინეობის ხასიათზე. ყველაზე მეტად დამღლელია კომპიუტერული თამაშები, რომლებიც ძირითად გათვლილია რეაქციის სისწრაფეზე. ამიტომ ასეთ არ შეიძლება დაეთმოს მთელი მეცადინეობა, კომპიუტერთან ხანგრძლივ ჯდომას მოსწავლე ხშირად მიჰყავს ნერვული სისტემის გადაჭარბებულ დაძაბულობამდე, განწყობის გაუარესებამდე, უძილობამდე, თვალების გადაღლამდე.

ამიტომ ამ ასაკის ბავშვებისათვის დასაშვებია კომპიუტერული თამაშები მხოლოდ მეცადინეობის ბოლოს, ისიც ხანგრძლივობით 10 წუთი.

ლიტერატურა

1. А. К. Артемов. Организация развивающего обучения математике в начальных классах. Пенза, 1988.
2. В. А. Буцик. Влияние информатики на содержание и методику обучения математике в начальной школе. М., 2001.
3. ჯემალ ჯინჯიხაძე. მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდოლოგია და ტექნოლოგია. თბილისი, 2011.

Георгий Джинджихадзе

Проблема взаимосвязи обучения математике и информатике в начальной школе

Резюме

В статье представлены актуальные вопросы внутрипредметных и межпредметных связей обучения математике и информатике в начальных классах, выявлены те взаимовлияния, которые производят эти предметы на друг-друга, определены те условия, которые нужно создать, для того, чтобы обучение этих предметов было эффективным.

Giorgi Jinjikhadze

Problem of Interconnection of Teaching of Mathematics and Informatics in Elementary School

REZUME

Actual problems of internal links and connections between subjects of Teaching of Mathematics and Informatics in Elementary School are considered in this article. There is presented the mutual influence these subject should make on each other. In this article are told about those conditions, which are to be created in the process of teaching, in order to perform affective teaching of these two subjects in mutual connections.

შრომისუნარიანობისა და ფიზიოლოგიური პროცესების ურთიერთმიმართება

ფიზიოლოგიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შრომითი პროცესების, ფიზიკური აღზრდისა სპორტული წვრთნის, გამაჯანსაღებელი ღონისძიებების სწორი ორგანიზაციის საქმეში. შრომის ფიზიოლოგია შრომის ჰიგიენის განუყოფელი ნაწილია. იგი შეისწავლის ადამიანის ორგანიზმში შრომითი საქმიანობასთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური პროცესების მიმდინარეობას და ცვლილებას. შრომის ფიზიოლოგიის მიმართულებაა შეიმუშაოს და ცხოვრებაში დანერგოს ფიზიოლოგიური პროცესების ნორმალისა, გადაქანცვის თავიდან აცილებისა და შრომისუნარიანობის ამაღლების ღონისძიებანი. ამდენად შრომის ფიზიოლოგია ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას. ადამიანის არსებობისათვის შრომა პირველი და ძირითადი პირობაა, შრომა ადამიანის ორგანიზმის ფუნქციაა, შრომითი საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანის თავის ტვინის, ნერვებისა და კუნთების ენერჯის ხარჯვასთან.

ენერჯის გარდაქმნის ყველა სახე, მათ შორის ადამიანის მოქმედებასთან დაკავშირებული ენერჯის გარდაქმნა არის მუშაობა. ამ გაგებით შეიძლება ვილაპარაკოთ კიდურებისა და სხვა ორგანოების ან მთლიანი ორგანიზმის მუშაობაზე. ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, მუშაობა სრულდება თამაშის, ცეკვების, სპორტული ვარჯიშებისა და ყოველი მოძრაობის დროს.

შრომითი საქმიანობის შესრულების დროს ფიზიკური ან გონებრივი მუშაობის გამოყენების უპირატესობაზეა დაფუძნებული ადამიანების, (სპორტსმენების) დაყოფა ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენლებად, დაბალი და მაღალი რანგის სპორტსმენებად. ადამიანის მიერ შესრულებულ ყოველ მოძრაობაში მონაწილეობას იღებს, როგორც კუნთები, საყრდენი აპარატი, ისე ნერვიული სისტემა.

ადამიანის შრომითი საქმიანობის დროს კუნთურის მუშაობის ყველა სახე შეიძლება დავყოთ მსუბუქ, საშუალო და მძიმე სამუშაოდ.

1. მსუბუქს მიეკუთვნება სამუშაოები, რომლის შესრულების დროს წუთში იხარჯება 0,5 ლიტრზე ნაკლები ჟანგბადი, ან 2,5 კალორიაზე ნაკლები ენერჯია. დღე-ღამის ენერჯეტიკული დანახარჯების მიხედვით მსუბუქს მიეკუთვნება ისეთი სამუშაოები, რომლის დროსაც დღე-ღამეში იხარჯება 2300-3000 კალორია. მაგალითად ამ ჯგუფს მიეკუთვნება სამუშაოები, რომელიც ჯდომის მდგომარეობაში სრულდება და არ მოითხოვს განსაკუთრებულ კუნთურ დაძაბვას (დილის გამაჯანსაღებელი ვარჯიში).

2. საშუალო სიმძიმის სამუშაოების შესრულების დროს წუთში იხარჯება 0,5 დან 1 ლიტრამდე ჟანგბადი და 1,5 დან 5 კალორიაზე ენერჯია დღე-ღამეში. საშუალო სიმძიმის სამუშაოების შესრულების დროს 3100-3900 კალორია იხარჯება. ამ ჯგუფს მიეკუთვნება: ფეხზე დგომისა და სიარულთან დაკავშირებული სამუშაოები (მოთელვა მუშაობაში შესვლა, გამაჯანსაღებელი ვარჯიშები) ორგანიზმის მუშაობის უნარიანობის ოპტიმალურ დონემდე ამაღლებისათვის საწვრთნელი და შეჯიბრების დაწყებამდე ასრულებს ვარჯიშებს. გარდა შრომისუნარიანობის ამაღლებისა, მოთელვა ორგანიზმს იცავს ტრავმისაგან.

მოთელვა შედგება ზოგადი და სპეციალური ნაწილისაგან. მოთელვის ზოგადი ნაწილის მნიშვნელობაა ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის ამაღლება, ხოლო მოთელვის სპეციალური ნაწილის მნიშვნელობა კი იმაში მდგომარეობს, რომ იგი იწვევს იმ ნერვიული ცენტრების დომინირებასა და ზოგიერთი კუნთის ოპტიმალურ მდგომარეობას, რომელთა მოქმედებითაც უნდა შესრულდეს ძირითადი მუშაობა.

ზოგადად მიჩნეულია, რომ მოთელვა გრძელდება 10-30 წუთის განმავლობაში, მაგრამ მისი ინტენსივობა და მოცულობა დიდად არის დამოკიდებული სპორტსმენის გაწვრთნილობაზე, კლიმატურ პირობებზე და სხვა მრავალ გარემოზე. მაგალითად ველომობილზე დაკვირვების შედეგად გამოირკვა, რომ მოთელვის დადებითი ეფექტი უკეთ ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი მუშაობა იწყება მისი დამთავრებიდან 3-5 წუთის შემდეგ, მაგრამ თუ ეს ინტერვალი 15-20 წუთს აღემატება, მაშინ მოთელვის დადებითი გავლენა თითქმის არ ჩანს.

ყოველგვარი კუნთოვანი მოქმედების დასაწყისში ორგანიზმის მუშაობისუნარიანობა თანდათანობით მატულობს და მაქსიმუმს აღწევს გარკვეული დროის განმავლობაში. კუნთოვანი მოქმედების დასაწყისში ორგანიზმის მუშაობისუნარიანობის თანდათანობით გაზრდას მუშაობაში შესვლა ეწოდება, ხოლო დროის იმ მონაკვეთს, რომლის განმავლობაში ორგანიზმის მუშაობისუნარიანობა თანდათანობით იზრდება, მუშაობაში შესვლის ძირითად ეტაპს უწოდებენ.

მუშაობაში შესვლა ორგანიზმის სისტემატური და ვეგეტატური პროცესების ისეთნაირი შეცვლა, ახალ დროზე გადაწყობაა, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს ამა თუ იმ ინტენსივობის მუშაობის შესრულებას, მაგრამ ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის ეს შეცვლა-გადაწყობა სხვადასხვა დროის განმავლობაში ხდება. ყველაზე სწრაფად ძლიერდება მამოძრავებელი აპარატის მოქმედება. რომლის ერთ-ერთი დამახასიათებელია მაღალი აგზნებადობა.

მუშაობაში შესვლა განპირობებულია რთული ნერვიული და ჰემისერული მექანიზმებით და მასში ძირითადი მნიშვნელობა აქვს დიდი ტვინის ქერქის მოქმედებას. დიდი ტვინის ქერქში შეკავების პროცესის

გადლიერება იწვევს მუშაობაში შესვლის გახანგრძლივებას.

3. მიძიმეს მიეკუთვნება სამუშაოები, რომლის დროსაც წუთში იხარჯება 1 ლიტრზე მეტი ჟანგბადი და 5 კალორიაზე მეტი ენერჯია. დღე-ღამის ენერგეტიკული დანახარჯების დონის მიხედვით მიძიმე სამუშაოს შესრულების დროს 4000-4500 კალორია ენერჯია იხარჯება. ამ ჯგუფის სამუშაოებს ეკუთვნის ძლიერ კუნთურ დაძაბვასთან დაკავშირებული სამუშაოები. დიდი სიმძიმეების აწევსა, გადატანასთან დაკავშირებული, მაღალი სპორტული მიღწევებისათვის შრომა. დიდი და ზოგჯერ სუბმაქსიმალური ინტენსიობის მუშაობის დროს გამოწვეული მეორე სუნთქვა „მკვდარი წერტილი“.

კუნთოვანი მოქმედებების დროს მამოძრავებელი აპარატისა და ვეგეტატიური სისტემების ურთიერთ შესაბამისი მოქმედების დარღვევის შედეგად ორგანიზმის მუშაობისუნარიანობის დაქვეითებას, რომლის ერთ-ერთი მახასიათებელია მუშაობის გაძნელება. „მკვდარი წერტილი“ ეწოდება. „მკვდარი წერტილის“ გადალახვის შემდეგ მუშაობისუნარიანობის გამოსწორებას და კუნთოვანი მოქმედების რამდენამდე გაადვილებას „მეორე სუნთქვას“ უწოდებენ.

„მკვდარი წერტილის“ დაწყების დრო, ხანგრძლივობა და მისი ინტენსიობა დამოკიდებულია მუშაობის სიმძლავრეზე, სპორტსმენის გაწვრთნილობაზე, მოთვლასა და სხვა მრავალ გარემოებაზე. მაგალითად, რაც უფრო დიდია მუშაობის სიმძლავრე, მით უფრო სწრაფად ვითარდება „მკვდარი წერტილი“ და პირიქით. კარგად გაწვრთნილ სპორტსმენში „მკვდარი წერტილი“ ვითარდება მუშაობის დაწყებიდან უფრო მოგვიანებით და მიმდინარეობს მსუბუქად, ზოგჯერ სუბიექტური შეგრძნების გარეშე, ვიდრე ნაკლებად გაწვრთნილში. სწორად შერჩეული მოთვლვა ამსუბუქებს „მკვდარი წერტილს“ და ხელს უწყობს „მეორე სუნთქვის“ სწრაფად დაწყებას და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ხანგრძლივი კუნთოვანი მოქმედების დროს „მკვდარი წერტილი“ და „მეორე სუნთქვა“ შეიძლება განმეორდეს.

ადამიანის შრომითი საქმიანობისას ენერგეტიკული დანახარჯების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამას მნიშვნელობა აქვს სამუშაოს განსაზღვრისა და ზედმეტი კუნთური დაძაბვის თავიდან აცილების, შრომის რეჟიმის ორგანიზაციისა და შრომის უნარიანობის გაზრდისათვის, მაგრამ იზორილებურად აღებული ენერჯიის დანახარჯი არ შეიძლება იყოს საიმედო კრიტერიუმი. ყოველგვარი სამუშაო, რომელიც ხასიათდება ენერჯიის მცირე დანახარჯით, არ უნდა მივაკუთნოთ მსუბუქ სამუშაოს. ასე, მაგალითად დაძაბული სტატიკური სამუშაოს შესრულების დროს მცირე ენერჯია იხარჯება. მეორე, სამუშაოს შესრულების დროს ენერჯიის დიდი რაოდენობით ხარჯვა ყოველთვის უარყოფით მოვლენად არ უნდა ჩავთვალოთ.

სათხილამურო სპორტი, რომელიც თხოვლობს ენერჯიის განსაკუთრებით მაღალ დანახარჯებს, შეიძლება ვიწარმოოთ მრავალი

საათის განმავლობაში და ამავე დრო შევინარჩუნოთ კარგი გუნება განწყობილება და ორგანიზმის ზოგადი მაღალი ტონუსი. ამიტომ, შრომითი პროცესის სწორად შეფასების მიზნით ორგანიზმის ენერგეტიკული დანახარჯების შესწავლა აუცილებელია ცენტრალური ნერვიული სისტემის ფუნქციური მდგომარეობისა და ორგანიზმის სხვა ფიზიოლოგიური პროცესების შესწავლასთან ერთად.

ნერვიული სისტემა მუშაობის პროცესში. კუნთოვანი მუშაობა რთული ფიზიოლოგიური პროცესია, რომელშიც მონაწილეობს ორგანიზმის ყველა ორგანო და სისტემა კუნთების მუშაობის დროს ორგანიზმში მიმდინარე ყველა პროცესის საკოორდინაციო როლი ნერვიულ სისტემას მიეკუთვნება.

დადგენილია, რომ კუნთში მიმდინარე ენერგეტიკული პროცესების დონე დამოკიდებულია თავის ტვინის ქერქიდან მომდინარე იმპულსებზე. მაგალითად, დასვენების დღესთან შედარებით, სამუშაო დღის ძირითადი ცვლა 15-30 %-ით მეტია, რაც დაკავშირებულია სამუშაო დღისთვის ჩვეულ სიგნალებთან. გაზთა ცვლის მომატება დადგენილი იყო „წარმოდგენითი“ მუშაობის – შთაგონების დროს.

სხვადასხვა გამოკვლევებით დადგინდა ქრონაქსის ცვლილება კუნთური მუშაობის დროს; ინტენსიური კუნთური მოქმედება ახანგრძლივებს ქრონაქსიას. კუნთურ მუშაობაში ადამიანის ორგანიზმი მთლიანად ღებულობს მონაწილეობას, ე.ი. კუნთური მუშაობა ხორციელდება დროულად მთელი რიგი ორგანოებისა და სისტემების მოქმედებით, ყველა მოქმედებას არეგულირებს ცენტრალური ნერვიული სისტემა.

გულ-სისხლძარღვოვანი და სასუნთქი სისტემის მუშაობის დროს იზრდება გულის წუთმოცულობა. მოსვენების პირობებში იგი უდრის 3-4 ლიტრს წუთში. ინტენსიური კუნთური მუშაობის დროს წუთში 30-35 ლიტრს აღწევს. მუშაობის დაწყებიდან 15-30 სეკუნდის შემდეგ (ზოგჯერ რეფლექსურად მუშაობის დაწყებამდე, პულსი ხშირდება, მუშაობის სიძლიერის მიხედვით აღწევს გარკვეულ სიდიდეს და ინარჩუნებს ამ ოდენობას მთელი მუშაობის განმავლობაში. ფიზიკური მუშაობის დროს პულსის დათვლა არა ფიზიოლოგიური კონტროლის მარტივი და ხელმისაწვდომი მეთოდია.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის მსგავსად, სასუნთქი სისტემა კუნთური მუშაობის დასაწყისშივე აძლიერებს თავის მოქმედებას. მოსვენების პირობებში ერთი წუთის განმავლობაში ფილტვების ვენტილაცია შეადგენს 6-8 ლიტრ ჰაერს, კუნთური მუშაობის დასაწყისშივე მატულობს და შეიძლება მიაღწიოს წუთში 100 ლიტრ ჰაერს, ამასთან მატება ხდება შესრულებული სამუშაოს სიდიდის პარალელურად. ფილტვების ვენტილაცია მატულობს, როგორც სუნთქვის სიხშირის, ისე თითოეული ჩასუნთქვის სიღრმის ხარჯზე. მოსვენების პირობებში სუნთქვის სიხშირე წუთში 16-18-ს უდრის, მუშაობის დროს წუთში

შეიძლება 30-40-მდე მოიმატოს. ფილტვების ვენტილაციის ოდენობა და სუნთქვის ხასიათი დამოკიდებულია, როგორც ინდივიდუალურ თავისებურებებზე, ისე გაწვრთნილობის ხარისხზე.

ცნობილია, რომ სისტემატური ფიზიკური მუშაობა იწვევს კუნთოვანი სისტემის მორფოლოგიურ და ფიზიკურ განვითარებას. თუ ცხოველების ჩვეულებრივ პირობებში მყოფი სრულწლოვანი ადამიანის კუნთოვანი სისტემა სხეულის წონის 40 % არ აღემატა. სისტემატური ვარჯიშისა და საზოგადოდ მოძრაობითი აქტივობის გაზრდით, ანუ ჰიპერკინეზის შედეგად იგი შეიძლება გაიზარდოს 50 %-მდე. სისტემატური ვარჯიშის გავლენით კუნთოვანი ქსოვილის მასის გაზრდას კუნთების მუშაობით ჰიპერტროფია ეწოდება. აღსანიშნავია, რომ სისტემატური კუნთოვანი მუშაობა, რომელიც მცირე ძალვით ხდება ან ზომიერებას არ აღემატება, კუნთების ჰიპოტროფიას არ იწვევს.

სისტემატური ვარჯიშის გავლენით კუნთების შედარებით წვრილი ბოჭკოების სიმსხო მატულობს. კუნთოვანი ბოჭკოების ეს გამსხვილება ხდება, ერთი მხრივ სარკოპლაზმის გაზრდით, ხოლო მეორე მხრივ ახალი მიოფიბრილების წარმოქმნით.

არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ სისტემატური ვარჯიშის გავლენით შეიძლება წარმოიქმნას ახალი კუნთოვანი უჯრედები. პ. გუძის მონაცემებით, ეს ხდება ზოგიერთი კუნთოვანი ბოჭკოს გაახლეებით და თითოეული მათგანიდან ახალი უჯრედების განვითარებით.

სავსებით საწინააღმდეგოდ მოქმედებს მოძრაობითი აქტივობის შეზღუდვა, ანუ ჰიპოკინეზია. ასეთ შემთხვევაში სხეულის კუნთოვანი მასა მცირდება, რასაც თან სდევს მოძრაობითი, ანუ ფიზიკური თვისებების (ძალის, სისწრაფის, გამძლეობის, სიმარჯვის) მკვეთრი დაქვეითება. მოძრაობითი აქტივობის შეზღუდვის შედეგად კუნთოვანი მასის შემცირებას სხვანაირად უმოქმედობით გამოწვეულ კუნთების ატროფიას უწოდებენ.

ამრიგად, შრომისუნარიანობის გაზრდა დაკავშირებულია ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების ოპტიმიზაციასთან, ხოლო, მეორე მხრივ, მოძრაობითი აქტივობები განაპირობებს შრომისუნარიანობის ამადლებასა და ფიზიოლოგიური ცვლილებების ნორმალიზაციას.

ლიტერატურა

1. შ. გრიგორია. „ადამიანის ორგანიზმის საიდუმლოებანი“, თბილისი 1990 წ.
2. თ. იოსელიანი, ი. ბერიკაშვილი. „კუნთოვანი და ნერვიული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია“. თბილისი 1974 წ.
3. ჯ. ვახანია. „სპორტის ფიზიოლოგიის მოკლე კურსი“. თბილისი 2006 წ.
4. ი. ზაალიშვილი, „პათოლოგიური ფიზიოლოგია“. თბილისი 1981 წ.
5. დ. გაბუნია, თ. ნამორაძე. „ადამიანთა და ცხოველთა ფიზიოლოგია“. თბილისი 1980 წ.
6. გ. თვალაძე. „ადამიანის სხეულის მოძრაობათა ანატომიური ანალიზი“. თბილისი 1967 წ.

რეზიუმე

Звиад Микадзе

трудоспособности и физиологическнх процессов

Статия касается взаимоотношения трудоспособности и физиологических процессов! Чем больше организована трудовая деятельность всякаядеятельная активность тем больше нормализованы физиологические процессы и наоборот!

В процессе трудовой деятельности человека большое значение придается изучению Энергетически! Затрат! Такое знание позволяет правильно определять работу!избавится от чрезмерного мышечного напряжения! И увеличивать трудоспособность!

თამარ ჯავახიშვილი,
ფსიქოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

განათლების ფსიქოლოგიის მიმართება პედაგოგიურ ფსიქოლოგიასთან

დიდ მოაზროვნეთა ცალკეულ გამონათქვამებში უძველესი დროიდან მოცემულია პედაგოგიკისათვის ფსიქოლოგიური ცოდნის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება, გამოთქმულია მოსაზრებები ფსიქიკის ბუნების, მისი განვითარების კანონზომიერებების, ფსიქიკის განვითარებაში სწავლა-აღზრდის როლისა და სხვათა შესახებ. ეს მოსაზრებები გავლენას ახდენდნენ პედაგოგიკურ თეორიებზე და მათი საშუალებით სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაზე, მაგრამ ეს გავლენა იმდენად მცირე იყო, რომ ზოგი მეკვლევარი ამ პერიოდს “უბავშვო პედაგოგიკის” ხანას უწოდებს, ზოგი კი მიიჩნევს აღზრდის სპარტანული წესის გადმოტანად ფსიქიკურ სფეროში, რაც სრულიად არაადეკვატური და მიიმე შორეული შედეგების მომტანი აღმოჩნდა. 1657 წ. გამოქვეყნდა იან ამოს კომენსკის ნაშრომი დიდი დიდაქტიკა, რომელიც მიჩნეულია საფუძვლად, საიდანაც იწყება მეცნიერულ დონეზე პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ურთიერთკავშირის დადგენის რთული და ხანგრძლივი პროცესი, რომელიც თითქმის 250 წ. გაგრძელდა და ბოლოს, XX ს. დასაწყისში დაგვირგვინდა ფსიქოლოგიის გამოყენებითი დარგის – პედაგოგიური ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებით, თუმცა არც ამას მოჰყოლია ყველაგან ერთნაირად სწრაფად და ეფექტურად ფსიქოლოგიური ცოდნის ჩართვა სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში. დ. უზნაძემ “აღზრდის ძირითადი ტრაგედია” უწოდა პედაგოგის მიერ ბავშვის ფსიქოლოგიური ბუნების სრულ და ყოველმხრივ გაუთვალისწინებლობას. ცნობილი მეცნიერი ამ პერიოდის შესახებ წერს: “- - - მერე ჩვენ გვიკვირს, რომ არსებობენ ისეთნი, რომელნიც ასეთ განათლებას გაუბრძიან. ჩვენ უფრო ის უნდა გვიკვირდეს, რომ ისეთებიც გვხვდებიან, რომლებსაც მისი ატანა შეუძლიათ”(1,4).

სკოლაში პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ერთობლივი, თანამშრომლობითი საქმიანობის მიზანი პედაგოგიკის მხრიდან იყო ის, რომ რაც შეიძლება მეტად გაზრდილიყო სწავლაში წარჩინებული და სანიმუშო ყოფაცქევის მოსწავლეთა რიცხვი, ხოლო ფსიქოლოგიის მხრიდან მიზანი იყო ყოველივე ამის მიღწევა ისე, რომ ბავშვისთვის არ წაეყენებინათ ასაკისა და შინაგანი შესაძლებლობების შეუსატყვისი, გადაჭარბებული სასწავლო და დისციპლინარული მოთხოვნები, რომ ამით არაფერი ევნოთ მისი გონებრივ-პიროვნული განვითარებისათვის, ზიანი არ მიეყენებინათ მისი ფსიქიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთ-

ელობისათვის, რადგან ზოგჯერ, ბავშვის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე საშუალო სასკოლო ნიშანი ბევრად უფრო კეთილისმყოფელია ვიდრე უმაღლესი წარმატების მაჩვენებელი, თუ იგი მიიღწევა ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევისა და არაჯანსაღი პატივმოყვარეობის აღძვრის ხარჯზე.

სკოლისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ეფექტური ურთიერთმორგებისათვის ჩატარდა უამრავი კვლევა, გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები, ერთხანს პედაგოგების მხრიდან ფსიქოლოგიის მიმართ იმედგაცრუებისა და კრიტიკის ხმებიც გაისმა, რაზედაც მათ კონკრეტულ კვლევებსა და ფაქტებზე დაყრდნობით, დასაბუთებული პასუხი გაეცათ. როგორც დ. უზნაძე მიუთითებდა, აუცილებელია პედაგოგს ჰქონდეს საკმარისი ფსიქოლოგიური განათლება, რომ შეძლოს ფსიქოლოგიის მდიდარ მასალაში კარგად გარკვევა და სწორედ იმის დანახვა და გამოყენება, რაც, მართლა, სასარგებლოა მისთვის. თუ პედაგოგმა არ იცის საკმარისად ფსიქოლოგია, ვერც გამოიყენებს მას და თავისი საქმიანობისათვის უსარგებლო მეცნიერებად ჩათვლის. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პედაგოგიური ფსიქოლოგია ობიექტურად მართლაც უსარგებლო მეცნიერებაა სკოლისათვის. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მას ვერ იყენებენ.

დიდხანს მიმდინარეობდა მსჯელობა იმის შესახებ თუ კონკრეტულად რა სახით, რა ფორმით, რა გზებით უნდა ხორციელდებოდეს ფსიქოლოგიისა და ფსიქოლოგისაგან პედაგოგისათვის დახმარების გაწევა. ამის შესახებ კ. უშინსკი წერდა: ჩვენ არ ვეუბნებით პედაგოგს, რომ ის კონკრეტულად ასე ან ისე მოიქცეს, ჩვენ ვეუბნებით მას: შეისწავლე ბავშვის ფსიქიკის განვითარების კანონზომიერებანი და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოიქეცი ამ კანონზომიერებათა და მოცემული სიტუაციის სპეციფიკის გათვალისწინებით ცნობილი ინგლისელი ფსიქოლოგის ე. სტოუნის მოსაზრებით მასწავლებელი კლასში ექსპერიმენტატორი უნდა გახდეს ფსიქოლოგიის სიახლეთა გამოყენებაში. სწავლების ყოველდღიური პრაქტიკა ყველაზე რეალური საშუალებაა ფსიქოლოგიური თეორიის გამოყენებისათვის, რომლის საფუძველზეც შემდგომ შეიძლება სწავლების ზოგადი პრინციპების ფორმულირება. ამ პრინციპების გამოყენებამ უნდა გაზარდოს პედაგოგიური საქმიანობის ეფექტურობა. როცა მასწავლებელი ექსპერიმენტატორის როლში გამოდის და პრაქტიკას წარმართავს მეცნიერების მონაცემების შესატყვისად, ის სწავლობს ფსიქოლოგიურ სიახლეთა შემოწმებას და მათ გამოყენებას შემოქმედებითად.

მიუხედავად ახალ-ახალი პრობლემების მზარდი რაოდენობისა, პედაგოგიური ფსიქოლოგია XX ს. პირველი მეოთხედიდან საიმედოდ დამკვიდრდა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების განათლების სისტემაში და “სკოლის სახელმძღვანელო მეცნიერებად” იქნა მიჩნეული. ფსიქოლოგები ჩართული იქნენ სასწავლო პროგრამების და სახელმძ-

ღვანელობის შედგენაში, მასწავლებელთა კადრების მომზადებაში აუცილებლად იქნა მიხნეული სათანადო ფსიქოლოგიური ცოდნის ათვისება, სკოლებში გაიხსნა ფსიქოლოგიური კაბინეტები და დადგენილი იქნა სკოლის ფსიქოლოგის სტატუსი სასწავლო და დისციპლინარული პრობლემების და ე. წ. “სკოლის ნევროზის” პროფილაქტიკა-მოვლისათვის, გაიხსნა პროფორიენტაციისა და პროფკონსულტაციის კაბინეტები და ა.შ. სასკოლო სწავლა-აღზრდის პროცესში პედაგოგიური ფსიქოლოგიის ჩართულობის ეს სქემა სხვადასხვა ქვეყანაში ადგილობრივი პირობებისა და მოთხოვნების შესატყვისად განსხვავებულად იქნა გავრცობილი და განშტოებული.

XX ს. შუა წლებიდან პედაგოგიური ფსიქოლოგიის განვითარებაში მოხდა მთელი რიგი ცვლილებებისა, რომლებმაც გამოიწვიეს მის პრაქტიკულ სასკოლო საქმიანობაში ძირეული სიახლეები, განაპირობეს მისი ასვლა განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე და სახელის შეცვლა განათლების ფსიქოლოგიის სახელით. მათგან ძირითადია:

1. XX ს. 50-60-იან წლებში ტრადიციულ სკოლებში გაიხსნა ექსპერიმენტული კოგნიტივისტური და ჰუმანისტური კლასები, რომელთა წარმატებასაც მოჰყვა დამოუკიდებელი კოგნიტივისტური და ჰუმანისტური სკოლების დაფუძნება. ამ ახალი ტიპის სკოლების მომსახურების პროცესში სკოლის ფსიქოლოგიამ, ტრადიციული ზოგად-ფსიქოლოგიური, ბიპვეორალური საფუძვლებიდან გადაინაცვლა კოგნიტივისტურ-ჰუმანისტური საფუძვლებისაკენ.

2. გაფართოვდა განათლების სისტემაში ფსიქოლოგიის მოქმედების არეალი. მას დაეკისრა ვალდებულება ფსიქოლოგიური მომსახურება გაუწიოს არა მხოლოდ საშუალო ზოგად-საგანამანათლებლო სკოლებს, არამედ უმაღლეს სასწავლებლებს, სკოლამდელ აღმზრდელობით დაწესებულებებს და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ითვლება დღეს, დახმარება გაუწიოს ჩვილის მშობლებსა და მასთან უშუალო, სისტემატურ კონტაქტში მყოფ მომვლელებს იმაში, რომ დაბადებიდანვე სწორად წარიმართოს აღმზრდელებთან (პირველ რიგში დედასთან) იდენტიფიკაციური დამოკიდებულების, მიჯაჭვულობის ფორმირება. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიური თეორიები სხვადასხვაგვარ ახსნას ამდევნ ამ ფაქტს, ყველა აღიარებს, რომ ჩვილობის პერიოდში ჩამოყალიბებული მიჯაჭვულობის ტიპი დიდ გავლენას ახდენს ადამიანის განვითარებაზე, განსაზღვრვს მისი დამოკიდებულების ხასიათს სწავლისა და შრომისადმი, სხვა ადამიანებისადმი, სოციალური ნორმებისადმი, განსაზღვრავს მის აგრესიულობას თუ ტოლერანტობას და ა.შ. მიჯაჭვულობის თავისებურებათა შესატყვისად ჩვილობის ასაკიდანვე ხდება გარემოს ზემოქმედებაზე რეაგირების გარკვეული ტიპისა და მასთან დაკავშირებული ქცევის პატერნების ჩამოყალიბება, რომლებიც ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე ინარჩუნებენ

ქცევაში გამოვლენის იმდენად მყარ ტენდენციას, რომ ხშირად მათ შეცვლას ხანგრძლივი ფსიქოთერაპიული მუშაობა სჭირდება. თანამედროვე გამოკვლევებით დადასტურებულია მიჯაჭვულობის სხვადასხვა ტიპის კავშირი სასკოლო წარმატება-წარუმატებლობასთან, ყოფაქცევა-ასთან, პიროვნულ ზრდასა თუ მის შეფერხებასთან, ემოციურ მდგრალობასა თუ ნევროტულობასთან, ასოციალურ ქცევასთან და ა.შ. ამდენად, თავიდანვე სანდო მიჯაჭვულობის ფორმირება შემდგომი გართულებების პრევენციის საუკეთესო საშუალებაა. (2, 85-72)

3. განათლების საკითხებს, სწავლა-აღზრდის პროცესს, ბავშვს ბევრი მეცნიერება შეისწავლის. პრაქტიკულ საქმიანობაში წარმატებისათვის აუცილებელი იყო პედაგოგიურ ფსიქოლოგიას ყოველი სასკოლო პრობლემა შეესწავლა კომპლექსურად ანუ შეესწავლა პრობლემასთან მიმართებაში ყველა სხვა მეცნიერების უახლესი მონაცემების გათვალისწინებით. მაგრამ, როგორც აღნიშნავენ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის იმ კავშირში, რომელიც წარმოდგენილი იყო პედაგოგიური ფსიქოლოგიის სახით, პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომის მიდრეკილება ჰქონდა უფრო მეტად ფსიქოლოგიას და უფრო ნაკლებად პედაგოგიკას. წიგნში “პედაგოგიკის თეორიული საფუძვლები” ვ. გინეცინსკი აღნიშნავს, რომ ამ ორი მეცნიერების კავშირში არსებითად კომპლექსური არის ფსიქოლოგია, ხოლო პედაგოგიკა, თავის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებში, მასთან მჭიდროდ დაკავშირებული დამოუკიდებელი მეცნიერებაა” (3, 12).

XX ს. 80-იანი წლებიდან პედაგოგიური ფსიქოლოგიის ფსიქოლოგიური მხარის კომპლექსურობა კიდევ უფრო მეტად იზრდება, რის გამოც მან თავის კვლევის საგანში აქცენტები ახლებურად განსაზღვრა, შემოიტანა მასში შიდა და გარე სასაზღვრო მეცნიერებებიდან (პიროვნების, სოციალური, დიფერენციალური ფსიქოლოგიებიდან, ნეიროფსიქოლოგიიდან, ფილოსოფიიდან, მედიცინიდან, იურისპრუდენციიდან, ინკლუზიური პედაგოგიკიდან და ა.შ.) სწავლა-აღზრდის პროცესის სრულყოფისათვის საჭირო ასპექტები. საგნის ასეთი გაფართოებული გაგების შესატყვისად კონსტრუირებულ მეცნიერებას, განსხვავებით ტრადიციული პედაგოგიური ფსიქოლოგიისაგან უკვე უწოდეს განათლების ფსიქოლოგია. ზოგი მკვლევარი სახელწოდების ამგვარ ცვლილებაში იმის მინიშნებასაც ხედავს. რომ განათლების ფსიქოლოგია იღებს ვალდებულებას დაიცვას ბავშვის უფლებები, უზრუნველყოს მისი ბუნებრივი, ეკოლოგიური გონებრივ-პიროვნული განვითარება, “ რათა დაიცვას ბავშვი, როგორც პიროვნება დიდაქტოგენიისაგან (პედაგოგიური შეცდომების ნეგატიური შედეგებისაგან), რომლებიც თავს იჩენენ არა მხოლოდ ბავშვის აშკარა დამცირებებისა და სრულიად მიუღებელი, მანკიერი, ფარული მანიპულაციების შედეგად, არამედ ბავშვის ფსიქიკაზე სულ უფრო და უფრო მზარდი პედაგოგი-

ური ექსპანსიის ზეწოლითაც – ახალი ტექნოლოგიები, ინტენსიფიკაცია, კომპიუტერიზაცია, “რელიგიიზაცია” და ა. შ.”4,9)

4. აღზრდის დიდი მნიშვნელობა და მოზარდის პიროვნების ფორმირება, როგორც საგანმანათლებლო სისტემის ერთერთი ძირითადი ამოცანა, ყოველთვის იყო აღიარებული, მაგრამ როგორც ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, XX ს. სასკოლო პრაქტიკაში მის განხორციელებას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ჯერ კიდევ წინა საუკუნის დასაწყისში დ. უზნაძე აღზრდის მიზნების ჩამოყალიბებისას “პირველ რიგში გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ცალმხრივობის წინააღმდეგ, ინტელექტუალიზმის, ესთეტიზმის ან ზნეობრივი აღზრდის პრიმატის წინააღმდეგ. - - - უზნაძის აზრით, აუცილებელია, სკოლაში შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც მოითხოვენ ბავშვის არა მხოლოდ ინტელექტუალური ძალების, არამედ მთელი მისი ბუნების მოქმედებაში მოყვანას” (5, 65,66). იგივე მდგომარეობაზე მიუთითებენ XX ს. ბოლოსაც: “თანამედროვე სასკოლო პრაქტიკაში “განვითარება” ყოველთვის არ არის გაგებული, როგორც კომპლექსური ამოცანა: სახეზე გვაქვს მკვეთრად გამოხატული დისბალანსი ერთის მხრივ ინტელექტუალური და მეორეს მხრივ, პიროვნული განვითარების პრობლემებისადმი ყურადღების თანაფარდობაში, პირველი (ინტელექტუალური) ასპექტისადმი აშკარა უპირატესობით. უფრო მეტიც, აღზრდის პრობლემა, როგორც სკოლის მნიშვნელოვანი ამოცანა, მეტწილად გაცნობიერებულად არცაა დგება და ის ჩანაცვლებულია მოსწავლეთათვის ცოდნის გადაცემის საკითხებით. ყოველივე ეს ასახავს თანამედროვე სკოლაში დიდაქტიკური დომინანტის არსებობას, რომლის რეალიზებაც ხდება სასკოლო პრაქტიკაში. მაშინ, როცა სკოლა როგორც საწყისი სოციალური ინსტიტუტი, მოსწავლეებს უნდა ამზადებდეს ცხოვრებისთვის. ცხოვრებისთვის კი საკმარისი არ არის მხოლოდ აკადემიური ცოდნა. არც სოციალიზაცია არ დაიყვანება მხოლოდ მეცნიერებათა საფუძვლების გადაცემაზე. სასკოლო განათლება აუცილებლად უნდა გულისხმობდეს ადამიანის ჩამოყალიბებას პიროვნებად, ქცევის სუბიექტად” (6, 31).

არსებული ვითარების გათვალისწინებით, განათლების ფსიქოლოგია ეყრდნობა რა, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ძირითად პრინციპებს, თავისი საქმიანობის პრიორიტეტებად მიიჩნევს თავისუფალი, ნამდვილი, შინაგანი სწავლისა და ამასთანავე ბავშვის პიროვნული ზრდა-განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნას. მხოლოდ ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ადამიანის მთლიანობით, ჰარმონიულ გონებრივ-პიროვნულ განვითარებას და კ. როჯერსის ნათქვამის რეალიზაციას: „- - ჩვენ, ყველანი ოდესმე უეჭველად მივხვდებით, რომ დაეხმარო ადამიანს პიროვნებად ჩამოყალიბებაში, ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რომ დაეხმარო მას გახდეს კარგი მათემატიკოსი, გახდეს ფრანგული ენის კარგი მცოდნე ან კიდევ რაიმე სხვა სახის კარგი სპეციალისტი”.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 დ. უზნაძე, ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი, ქუთაისი, 1912
- 2 ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები, თბილისი, 2011
- 3 И А Зимняя Педагогическая психология 1997
- 4 Л С Братченко Введение в гуманитарную экспертизу образования 1999
- 5 განვითარების და სწავლის თეორიები, თბილისი, 2008
- 6 А А Реан Я Л Коломинский Социальная педагогическая психология 1999

Тамар Джавахишвили Резюме

.С80-ых годов XX века в развитии традиционной педагогической психологии соответственно требованиям новых исследований образовательных наук и требованиям современного общества в теории и практике школьной психологии происходит сдвиг от традиционных обще-психологических основ в сторону реализации основных принципов гуманистической психологии. Считается целесообразным отразить эти изменения и в новом названии — Психология образования.

იზო ბუხუელიშვილი
ფსიქოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

სტრესი მისი დაქვეყნის გზები და მეთოდები

XXI საუკუნის რეალობა ის არის, რომ ცხოვრება საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივია, რაც ფიზიკურ, ფსიქიკურ თუ მორალურ დატვირთვას იწვევს, ადამიანები კი მათი განსხვავებული ბუნების გამო, სხვადასხვაგვარად აღიქვამენ ამ პრობლემებს და ეს, მათ სტრესულ თუ დეპრესიულ მდგომარეობას განაპირობებს. არ მოიძებნება ხშირად ადამიანი, რომელმაც სიტყვების „სტრესისა და „დეპრესიის“ მნიშვნელობა არ იცოდეს. სამწუხაროდ, ცხოვრებაში საკმაოდ ბევრი განცდისა და ძლიერი ემოციის გადატანა გვიწევს, რომელთაც ხანგრძლივი არსებობისას პიროვნების მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლიათ. დღეს, დასავლეთის ქვეყნებსა და ამერიკაში თანამედროვე ცხოვრების სტილი მეტ სტრესულ გარემოებებთან არის დაკავშირებული. ბრიტანეთში დაფუძნდა სტრესზე ინფორმირებულობის ეროვნული დღე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სტრესი ჩვენი ცხოვრების ნაწილად იქცა. სტრესის ნიადაგზე აღმოცენებული გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიებით ყოველწლიურად ასობით ათასი ადამიანი იღუპება. ტერმინი პირველად კანადელმა ფიზიოლოგმა ჰანს სელემიმ განსაზღვრა. მისი განსაზღვრების თანახმად, სტრესი-ეს არის ყველაფერი, რასაც ორგანიზმი სწრაფ დაბერებად მიჰყავს და სხვადასხვა დაავადებებს იწვევს. თანამედროვე განმარტებით კი სტრესი იმ დამცავი ფიზიოლოგიური რეაქციების ერთობლიობაა, რომლებიც ორგანიზმში გარემოს მავნე ფაქტორების ზემოქმედების საპასუხოდ, მათგან დასაცავად წარმოიშობა. სტრესის დროს სისხლში დიდი რაოდენობით ადრენალინი გამოიყოფა, ცხადდება სარეზერვო ძალების მობილიზაცია, გარკვეული ხნის განმავლობაში მკვეთრად იზრდება ადამიანის შესაძლებლობები. თავდაპირველად ყოველივე ეს დადებითად მოქმედებს ორგანიზმზე, ეს ზემოქმედება ინდივიდუალურად განსაზღვრული დროის მონაკვეთს მოიცავს. ხანმოკლე სტრესი ადამიანისათვის უვნებელია, მეტიც -მოვალეობების უკეთ შესრულებასაც კი უწყობს ხელს, მაშინ როცა ხანგრძლივსა და მნიშვნელოვან სტრესს, რომელიც კვირაობით, თვეობით, ან წლებითაც გრძელდება, შეუძლია მძიმე დაავადებები გამოიწვიოს ადამიანში. დღეისთვის მეცნიერებები გამოყოფენ სტრესის სხვადასხვა ფორმებს. თავდაპირველად მიაჩნდათ, რომ სტრესს ყოველთვის დამანგრეველი, ნეგატიური გავლენა ჰქონდა ორგანიზმზე, მაგარამ მოგვიანებით ჰანს სელემიმ დადაგინა, რომ სტრესულ რეაქციას

შეიძლებოდა ჰქონოდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ხასიათი. დადებით სტრესს მან ეუსტრესი უწოდა, ხოლო უარყოფითს-დისტრესი. ეუსტრესი არის სტრესი, რომელიც დადებით ემოციებით არის გამოწვეული, ის არცთუ ისე ძლიერია და ორგანიზმის მობილიზებას იწვევს.

დისტრესი ანუ უარყოფითი, ნეგატიური სტრესი ის სტრესია, რომელთან გამკლავებაც ორგანიზმის ძალებს აღემატება. ის ანგრევს ადამიანის მორალურ ჯამრთელობას და მძიმე სომატური და ფსიქიკური დაავადებების გამოწვევაც კი შეუძლია. არსებობს სტრესის ხანმოკლე და ხანგრძლივი, სხვაგვარად-მწვავე და ქრონიკული, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური (ინფორმაციული და ემოციური) ფორმები. მწვავე სტრესისთვის დამახასიათებელია მოქმედების სისწრაფე და მოულოდნელობის ეფექტი. მისი რადიკალური გამოვლინებაა შოკი, რომლის შედეგადაც ადამიანი კარგავს წონასწორობას და გამოდის მდგომარეობიდან. მწვავე სტრესი თითქმის ყოველთვის გადადის ქრონიკულში, ხანგრძლივში. შოკური მდგომარეობის გადალახვის შემდეგ ადამიანი თითქოსდა გამოდის მძიმე მდგომარეობიდან, მაგრამ გადატანილთან დაკავშირებული მოვლენები განცილებლად ხელახლა აბრუნებს. ხანგრძლივი სტრესი ყოველთვის არ წარმოადგენს მწვავე შედეგს. იგი თავითავადაც აღმოცენდება ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტორთა გავლენით, რომლებიც ორგანიზმზე მუდმივად მოქმედებს. ასეთი ფაქტორებია სამსახურის ხანგრძლივი ძებნა, მუდმივი წარუმატებლობა, ახლობლებთან ხშირ უთანხმოება და სხვა. ფიზიოლოგიური სტრესი ვითარდება ორგანიზმზე ნეგატიური ფაქტორების პირდაპირი ზემოქმედებით. ასეთი ფაქტორებია ტკივილი, შიმშილი, სიცივე, ძლიერი არღამატები, არასაკმარისი განათება სამუშაო ადგილას ან საცხოვრებელში, ზედმეტი ხმაური.

ფსიქოლოგიურს იწვევს ორგანიზმზე მოქმედი სასიგნალო ფაქტორები: მოსალოდნელი საშიშროება, ინფორმაციული გადატვირთვა, შეურაცხყოფა, დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება, დიდი პასუხისმგებლობა. ფსიქოლოგიური სტრესის ერთ-ერთი სახეა ემოციური სტრესი, რომელიც ვითარდება მაშინ, როდესაც ადამიანის სოციალურ სტატუსს რამე ემუქრება, კერძოდ, საფრთხის, წყენისა და გულისტკენის, ომის, მძიმე დაავადების დროს. იგი ემოციებთან, ემოციურ რეაქციებთან არის დაკავშირებული. ინფორმაციული სტრესი ინფორმაციული გადატვირთვის (დიდი ინფორმაციული ნაკადის დამუშავებისას საკუთარი თავისადმი ჭარბი მომთხოვნელობის), ან ინფორმაციული ვაკუუმის შედეგია. შიდაპიროვნული სტრესი -მშვიდობიანი ცხოვრება საკუთარ თავთან-ყველაზე მეტად სჭირდება ადამიანს, არადა, ზოგჯერ ეს მიუღწეველია. შინაგანი განცდები, უსიამოვნება, უკმაყოფილება იწვევს გაღიზიანებასა და დაუკმაყოფილებლობას, რის შედეგადაც ვითარდება შიდაპიროვნული სტრესი. იგი ჩვეულებრივ ადამიანის არარეალიზებული

მოთხოვნების, დაუსრულებელი ნატვრების, სურვილებისა და გაცრუებული იმედების ბრალია. სამსახურებრივ სტრესს კარიერის აწეობის დაუოკებელი სურვილი და მისი აუსრულებლობა, სამსახურში მეტისმეტი ფიზიკური და გონებრივი დატვიტოვა, ქრონიკული დაღლილობა და ხშირი უარყოფით ემოციას იწვევს. ხშირად ის ადამიანის შრომის არასათანადო დაფასებას და ცუდ სამუშაო პირობებსაც უკავშირდება. ფინანსური სტრესი — ჩვენ იმ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც ფული დიდ როლს თამაშობს. როდესაც შემოსავალი გასავალზე ნაკლებია, ადამიანს უნვითარდება ფინანსური სტრესი, რასაც ხშირად მოულოდნელი ხარჯი და დაუგეგმავი ფინანსური დანაკარგები განაპირობებს. საზოგადოებრივი სტრესი უვითარდება საზოგადოების განსაზღვრულ ნაწილს, განსაზღვრულ ჯგუფს ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა სახის საზოგადოებრივი პრობლემების გამო. ეკოლოგიური სტრესი — არახელსაყრელი გარემო პირობები უშუალო გავლენას ახდენს ჩვენს ჯანმრთელობაზე. ეკოლოგიურ სტრესს იწვევს ქიმიური ნაერთები, ხმაური, დაბინძურებული წყალი, ჰაერი. უკანასკნელ ხანს გამოყოფენ მენეჯერთა სტრესს, რომელიც მუდმივად ცვლად გარემოში მომუშავე მენეჯერთა ხვედრია: მათ განუწყვეტლივ უწევთ უცხო ადამიანებთან ურთიერთობა და განუწყვეტლივ ცვლად და კონკრეტულ საბაზრო გარემოში საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებათა სწრაფი მიღება. სტრესის რისკჯგუფებს წარმოადგენენ:

- ქალები, რამდენადაც ისინი მამაკაცებზე გაცილებით ემოციურები არიან;
- მოხუცები და ბავშვები;
- დაქვეითებული თვითშეფასების მქონენი;
- ექსტრავერტები;
- ნევროტიკები;
- ადამიანები, რომლებიც ბოროტად იყენებენ ალკოჰოლს;
- პირები, რომლებიც სტრესისადმი გენეტიკურად არიან განწყობილნი.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისგან თავის დაღწევა შეუძლებელია, საჭიროა იმ გზების ძიება, რაც სწორედ სტრესის მართვასა და დაძლევაში დაგვეხმარება, იმისთვის, რომ ჩვენ შევძლოთ სტრესის მართვა, პირველ რიგში უნდა გავცნოთ მის თავისებურებებს. თუ ცხოვრებაში სტრესი გარდაუვალია და განსაკუთრებით ქრონიკულ სტრესს შეუძლია ცხოვრების დანგრევა და ადამიანის განადგურება, აუცილებელია ვისწავლოთ მისი მართვა. დაძლევა ეხება გარეგან და შინაგან მოთხოვნებთან გამკლავების პროცესს, როდესაც ეს მოთხოვნები ინდივიდის აღქმის თანახმად ეჭვქვეშ აყენებენ ან აღემატებიან მის რესურსებს.

21-ე საუკუნის ადამიანები უამრავი სტრესული სიტუაციის ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან, სამწუხაროდ, საქართველოში ბევრი ისეთი

რამ ხდება, რაც უარყოფითად აისახება ადამიანების ფსიქიკაზე. ბოლოდროინდელი მძიმე კრიზისებიდან გამოვეყოფით 2008 წლის აგვისტოს ომს. ამ ომმა საქართველოში საზოგადოების დიდ ნაწილში კრიზისული მდგომარეობამდე მიიყვანა ადამიანები.

ამ ფენომენით კარგა ხანია დაინტერესდნენ მკვლევარ-მეცნიერები, რომელთა რეკომენდაციებმა ინდივიდებს საშუალება მისცა გაიაზრონ რამდენად ხშირია მათ ცხოვრებაში სტრესის გამომწვევი მოვლენები და არიან თუ არა სტრესის საშიშროების ქვეშ. ზოგჯერ, მიუხედავად მრავალი ძალისხმევისა, ჩვენს უარყოფით დამოკიდებულებასა და გრძნობებს ვერაფერს ვუხერხებთ, ასეთ შემთხვევაში თუ რამეს არ ვიღონებთ, უარყოფითმა გრძნობებმა შეიძლება უფრო ღრმად გაიდგას ფესვები. ადევნებამ და ნერვიულობამ შეიძლება ძილის ნაკლებობა და სწავლის ხარისხის გაუარესება გამოიწვიოს, თუ ხელს არ შევუშლით, ნერვიულობამ შეიძლება უზარმაზარი მასშტაბები მიიღოს და საფრთხის წინაშე დააყენოს პირველ რიგში ჩვენი ჯანმრთელობა. უმეტეს შემთხვევაში სტრესი კომპლექსური მრავალფაქტორიანი წარმოშობისაა, ამიტომ მისი დაძლევა შესაბამისი სტრატეგიის გამოყენებას საჭიროებს. სტრატეგიის არსენალი საკმაოდ დიდია, რომლის გამოყენებაც შეიძლება სტრესი ვმართოთ, ავირიდოთ, ან გადავლახოთ მისი ნეგატიური შედეგები და მუდმივად მოვიპოვოთ ახალი რეზერვები საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისუნარიანობის გასაგრძელებლად. მოგვაქვს ფ. ზიმბარდოს მიხედვით, „ახალი ტიპის გამონათქვამების“ მაგალითები, რომლებიც სტრესულ სიტუაციებიდან გამოკლევაში გვეხმარება. სტრესის ინოვაციის ტრენინგი წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა სფეროში.

ომზადება:

მე შემიძლია შევიმუშაო მისი დაძლევის გეგმა; უბრალოდ მოსაფიქრებელია, რა შემიძლია გავაკეთო ამისათვის, ეს ნერვიულობაზე უკეთესი გამოსავალია; არ არის საჭირო უარყოფითი მიმართვა საკუთარი თავისადმი, იაზროვნე რაციონალურად.

კონფრონტაცია:

ერთბაშად ერთი ნაბიჯი; მე შემიძლია ამ სიტუაციის მართვა. ეს შფოთვა არის ის, რასაც ექიმი მიწინასწარმეტყველებდა, ეს არის შესენება ჩემს მიერ დაძლევის მექანიზმების გასავარჯიშებლად.

დაძლევა:

როდესაც შიში გეუფლება, შეისვენე. ყურადღება შეაჩერე აწმყოზე რა მაქვს გასაკეთებელი? ნუ ეცდები შიშის მთლიანად გაქრობას, შეინარჩუნე მართავად დონეზე. ამაზე უარესი შეიძლება მომხდარიყო; უბრალოდ სხვა რამეზე იფიქრე!

თვითგანმტკიცება

გამომივიდა, მე შევძელი ამის გაკეთება; ისე ცუდად არ ყოფილა საქმე, როგორც მოველოდი, მართლა, კმაყოფილი ვარ ჩემი მოღვაწეობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იმედაძე ნ. ქსოვრელაშვილი ლ. ქართველი მოზარდები და სტრესის დაძლევის უნარი, როგორც მათი კეთილდღეობის მაცვენებელი. თბ., 2004.
2. ინტერნეტი (სტრესი) თამის ბლოგი.
3. მითაგვარია მ. სტრესის მართვის სტრატეგიები. თბ., 2008.

იზო ბუხუელიშვილი
ფსიქოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

დეპრესია, მისი დაქვემდებარების კომპლექსური სტრატეგიები

დეპრესია ლათინური სიტყვაა. იგი „დეპრიმო“-დან წარმოდგება და დათრგუნვას ნიშნავს. ეს ფსიქიკური მოშლილობაა, რომელსაც ახასიათებს დეპრესიული ტრიადა:

1. გუნება-განწყობილების დაქვეითება, სიხარულისა და განცდის უნარის დაკარგვა (ანჰედონია);
2. აზროვნების მოშლილობა — უარყოფითი აზრები, ირგვლივ მიმდინარე მოვლენათა მიმართ პესიმისტური დამოკიდებულება;
3. მოძრაობითი დამუხრუჭება.

დეპრესიის დროს ადამიანი კარგავს ცხოვრებისა და ჩვეული საქმიანობისადმი ინტერესს, უქვეითდება თვითშეფასების მაჩვენებელი. დღეს ეს მდგომარეობა 40-50 წლის ადამიანების 10%-ს ტანჯავს. მათგან 2/3-ს ქალები შეადგენენ. 65 წლიდან დეპრესია დაახლოებით სამჯერ იშვიათია. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ადამიანის ფიზიოლოგიური ჯანმრთელობა და ფსიქოლოგიური მდგომარეობა მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებაშია. ადამიანს შესწევს უნარი, განკურნოს თავის სხეულის ნებისმიერი დაავადება, თუ იგი ღრმად გააცნობიერებს საკუთარ პრობლემებს. ნებისმიერი დაავადება ამა თუ იმ სახით ყოველთვის აისახება ადამიანის გარეგნობაზე. ყოველგვარი უქვეითება საკუთარი თავისაკენ მიმართული შინაგანი აგრესია, რადგან ავადმყოფობა, გარკვეული აზრით, არის თვითდასჯა. ხშირად მოჰკრავთ ყურს, როგორ შესწივის ერთი ადამიანი მეორეს, რომ მას დეპრესია ტანჯავს. სამწუხაროდ, ეს პრობლემა მართლაც საყოველთაოდ გავრცელდა. ჩვენს ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, და თუ დასავლეთის ქვეყნებში დეპრესიულია მოსახლეობის მხოლოდ-15-17% , ჩვენში ეს მაჩვენებელი საგრძნობლად მაღალია. დეპრესიის გამო, ბევრი ადამიანი ცხოვრების ნორმალური რიტმიდან ვარდება, სიცოცხლით ტკობის უნარს, უფრო მეტიც სიცოცხლის აზრს კარგავს. დეპრესია — ეს არის ავადმყოფური მდგომარეობა, როცა ადამიანი განიცდის სევდასა და ნაღველს, ყველაფერს მუქ ფერებში აღიქვამს, სასოწარკვეთილია. დეპრესია თითქმის ყველას განუცდია, მაგალითად, საყვარელი ადამიანის სიკვდილის ან სიყვარულში იმედგაცრუების შემდეგ. ასეთ დროს ადამიანს გუნება-განწყობილება უქვეითდება, ძილი ერღვევა, იპყრობს აზრი, რომ ცხოვრებას აზრი არ აქვს, უსაფუძველოდ შფოთავს, გულგრილი ხდება ყველასა და ყველაფრის მიმართ. დეპრესიის წყაროა სტრესი, სამსახურის და-

კარგვა, ზედმეტად მძიმე და დამღლელი სამუშაო, საყვარელი ადამიანის დაკარგვა, სასიყვარულო სამკუთხედი, ქრონიკული დაავადებები. — დეპრესიის სიმტომებია: უძილობა, მოუსვენარი ძილი, უმადობა, დაღლილობა, დაბნეულობა, ინტერესთა სფეროს შევიწროება, სექსუალური აქტივობის დაქვეითება, მიდრეკილება თვითმკვლელობისკენ (სუიციდია). დეპრესიის ამოცნობა ზოგჯერ ძნელია, ვინაიდან ადამიანებს ჩვევიათ, ავადმყოფური სიმპტომები ყოფით სირთულეებს მიაწერონ. ხშირად გაიგონებთ, რომ ამა და ამ კაცს აქვს უფლება დეპრესია ჰქონდეს, რადგან მან მძიმე განსაცდელი გადაიტანა. ასეთ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ბევრი დიდ უბედურებას დეპრესიის გარეშე უძლებს და ვინც ამას ვერ შეძლებს, მას სპეციალისტის დახმარება დასჭირდება. ადამიანის ფიზიოლოგიური ჯანმრთელობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, ორივე კი იმაზე, როგორია, რამდენად ჯანსაღია მათი ოჯახური ცხოვრების წესი. დეპრესიულ ადამიანს იერით ადვილად გამოარჩევთ: ის შებოჭილია, საუბრობს ხმადაბლა, თავი დახრილი აქვს, გამომეტყველება-მგლოვიარე, სევდის გამომხატველი, უმეტესად მხრებში მოხრილია, დაბნეული გამოხედვა აქვს და საკუთარი თავის რწმენას მოკლებული ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს. მისი ფიქრები ერთადერთ საგანს დასტრიალებს, რომ ვერსადროს მომჯობინდება, რომ მისი მდგომარეობა უიმედოა, რომ ის სხვას ტვირთად აწევს და რომ გამოსავალი მხოლოდ მის სიკვდილშია. ასეთი განწყობა, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ახლობლებსა და მეგობრებთან ურთიერთობაზე. ქალებში დეპრესია ორჯერ უფრო ხშირია, ვიდრე მამაკაცებში. მისგან არც ბავშვები არიან დაზღვეულნი. ასე, რომ დეპრესია ადამიანს ნებისმიერ ასაკში შეიძლება დაემართოს. ზოგს მთელი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ ერთი შეტევა აქვს, ზოგს რამდენჯერმე უმეორდება. დეპრესიის ეპიზოდებს შორის ადამიანი სავსებით ჯანმრთელად გრძნობს თავს და არც გარეგნულად ეტყობა რამე, თუმცა ავადმყოფთა დაახლოებით მეოთხედს დაავადება გაუხანგრძლივდება ხოლმე და ზოგჯერ ქრონიკულ მდგომარეობაში გადაეზრდება. მამაკაცები ხშირად საკუთარ თავსაც არ უმხელებენ, რომ დეპრესია მოერიათ. ამ ფსიქოლოგიური მდგომარეობის ცვლილებას კი აგრესიით, აზარტული თამაშებითა და ალკოჰოლით ებრძვიან. ასეთი მამაკაცების ამოცნობა მათთვის დამახასიათებელი გარაეგნული ნიშნებით არის შესაძლებელი: აღზნებული გამომეტყველებით, მოუსვენარი ქცევით, ზოგჯერ არაადეკვატური განცდებით. ბავშვებში დეპრესია ხშირად გამოიხატება ქცევის აშლილობით, გამომწვევი ქცევით, კონფლიქტურობით, ხეტიალისადმი მიდრეკილებით. ბავშვებზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მშობლების სულიერი მდგომარეობა. თუ რომელიმე მათგანი პესიმისტია და მელონქოლიისაკენ არის მიდრეკილი, მაშინ არც ბავშვისაგანაა გასაკვირი მსგავსი განწყობა. დეპრესიისაგან დამცავი ფსიქიკური იმუნიტეტი შეიძლება

დაქვეითებული აღმოჩნდეს. თუმცა ოპტიმიზმით აღსავსე მშობლებსაც შეიძლება ჰყავდეთ დეპრესიული შვილი. გენეტიკური მიდრეკილება კი დაავადებას არ ნიშნავს. მისი გამოსწორება შესაძლებელია. დეპრესიული ბავშვი იერთაც განსხვავდება თანატოლებისაგან. ის სევდიანი თვალებით, მოდუნებული სხეულით, პასიურობით, შენელებული მოძრაობით იპყრობს ყურადღებას. მის ამ მდგომარეობას ამჩნევენ მეგობრები, მასწავლებლები... ასეთ ბავშვს გარშემო მყოფებმა უნდა აგრძნობინონ, რომ ყოველი ახალი დღე სიხარულის მომტანია, რომ ცხოვრება ლამაზი სიურპრიზებით არის სავსე. ჯანმრთელობა, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური კომფორტია. ჯანმრთელობა რომ შევინარჩუნოთ, საჭიროა: არ მოვიქცეთ ცუდად, არ ჩავიდინოთ ისეთი რამ, რისთვისაც შემდგომ ჩვენივე ფსიქიკა ავადმყოფობით დაგვსჯის და არც სხვას მივცეთ საშუალება ცუდად მოქცევის, რათა მის მიმართ აგრესია არ გაგვიჩნდეს. გვიყვარდეს ადამიანები, რაც უფრო მეტი სითბოს გავცემთ, მით მეტ სითბოსა და ენერგიას მივიღებთ პასუხად.

დეპრესიული მდგომარეობა ყველა ასაკში აქტუალურია: მოზარდობისა და სტუდენტთა ასაკისა. დღეს, ტრადიციული, რელიგიური და ოჯახური ფასეულობების რღვევა კარგ ნიადაგს ქმნის ადამიანებისა და ზოგადად, საზოგადოებაში ახალი კონფლიქტებისა და შფოთვის აღმოცენებისათვის.

მეცნიერ-მკვლევართა აზრით, ბავშვებისა და საერთოდ მოზარდსაც ხასიათის ნეგატიურ მახასიათებლებს საფუძვლად უდევს ფსიქიკური ტრავმა. გარემოს უარყოფითი გავლენა, ოჯახური აღზრდის შეცდომები, გარდატეხის ასაკი და ა.შ. ამ პერიოდის სერიოზული პრობლემა არის საკუთარი თავის იდეალთან შედარება, ასევე ოჯახური კონფლიქტები. ამ პერიოდში თავს იჩენს თვითდამკვიდრების გაძლიერებული მოთხოვნილება, მათ სურთ ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყვნენ. დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გარეგნულ იერსახეს, მათთვის მცირედმა ცვლილებამ და სულ პატარა მიზეზმაც კი, შეიძლება მოზარდი საკუთარ თავში ჩაკეტოს, რაც მომავალში შეიძლება დეპრესიაში გადაიზარდოს. როდესაც მოზარდი დეპრესიაში ან წინარე პერიოდში, აუცილებელია მშობლებმა ეს შეამჩნიონ და საჭირო ზომები მიიღონ დროულად. აუცილებელია ამ დროს მშობლების გვერდზე დგომა და მოზარდის გამხნეება, მაგრამ ხშირია მხოლოდ ერთი მშობლის მონაწილეობა დეპრესიის გადალახვის გზების პოვნაში, რადგან მოზარდი უმეტეს შემთხვევაში თავისვე სქესის წარმომადგენელ მშობელს უფრო მეტად ენდობა, ასეთ დროს აუცილებელია მშობელი დაინტერესდეს იმ პრობლემით, რაც ბავშვს აწუხებს, შეეცადოს დაეხმაროს მას და დროულად მიმართოს ფსიქოლოგს კონსულტაციისათვის, რათა უკეთ გაერკვეს დეპრესიული სინდრომის ხასიათში, შემდეგ კი თავად მოზარდი დაარწმუნოს ფსიქოლოგთან კონსულტაციების საჭიროებაში და დახმარების ხელი გაუწოდოს მას. მოზარდებში დეპრესიის გამომ-

წვევ მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს. როგორც ბიოლოგიურ და გენდერული ფაქტორები ასევე, კულტურული და ისტორიული ასპექტები, ფიზიკური განვითარება, საკუთარი თავის იდენტურობის შეცნობა და სხვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დეპრესიის დროს არაფერს არ მოაქვს სიხარული და ხალისი, აწმყო და მომავალი შავ ფერებში ჩანს, წარსული აღიქმება, როგორც შეცდომებისა და ცოდვების ჯაჭვი, ქვეითდება მადა და ირღვევა ძილი. დეპრესია სხვადასხვა სახისაა, ერთი, როცა ადამიანების ნდობას კარგავ, მეორე, როცა მართლობა გინდა, მესამე, როცა მხიარულად ხარ, მაგრამ ამ დროს ფაქტიურად მაინც დეპრესიაში ხარ და ა.შ.

ჩვენ ჩავატარეთ კვლევა უნივერსიტეტის სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებთან. ამოკვლეული იქნა 70 გოგონა და 40 ბიჭი, მათი ასაკი 19–22 წლებს მოიცავდა. დეპრესიულ მდგომარეობათა კითხვარებს შორის ერთერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული შეკადრებითხვარი არის „ბეკ-ის დეპრესიის შკალა“, რომელიც ჩამოყალიბებული სახით გამოქვეყნდა 1961 წელს. „ბეკ-ის შკალის“ მონაცემების მიხედვით დეპრესიის სიღრმე ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: 1-9 ნორმა, 10-15 მსუბუქი დეპრესია, 16-19 საშუალო დეპრესია, 20-29 საშუალოზე მძიმე დეპრესია, 30-36 მძიმე დეპრესია.

ამრიგად, კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ოც სტუდენტს არ აღენიშნება დეპრესია, შვიდს აქვს მსუბუქი, ხოლო რვას აღენიშნება საშუალო სახის დეპრესია. 70 გოგონადან დეპრესია აღენიშნება 28 სტუდენტს, 40 ბიჭიდან 12 –ს.

დეპრესიის დაქვების გზები და საშუალებები:

არსებობს დეპრესიასთან ბრძოლის მედიკამენტური და არამედიკამენტური მეთოდები. მედიკამენტური თერაპია დეპრესიის მკურნალობის მეტად ეფექტური მეთოდია. მიუხედავად ამისა, არსებობს დეპრესიასთან ბრძოლის უამრავი სხვა საშუალება ანუ არამედიკამენტური მეთოდები. მაგალითად, ცხოვრების წესის შეცვლა, ფიზიკური ვარჯიში, დაბალანსებული კვება, ჰანგებითი თერაპია, ბუნებაში სეირნობა და სხვა. დეპრესიასთან ბრძოლა — ეს არის ყოველდღიური სტრატეგია და არა რამდენიმეკვირიანი ან რამდენიმეთვიანი ტაქტიკა. ეს არის მთელი კომპლექსი, რომლის თითოეული კომპონენტი თავისებურად მნიშვნელოვანი და აქტუალურია. დეპრესიის მკურნალობის საკვანძო მომენტს წარმოადგენს ცხოვრების წესის შეცვლა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, სხვადასხვა ნაწილისგან შემდგარ პროგრამას მოიცავს. ასე მაგალითად:

არაერთ გამოკვლევას დაუდასტურებია, რომ ფიზიკური დატვირთვა ამაღლებს განწყობას. ფიზიკური დატვირთვა, საზოგადოდ, არა მხოლოდ დეპრესიის, არამედ მრავალი ფსიქოპათოლოგიური მდგომარეობის დროს არის ნაჩვენები. დეპრესიის მკურნალობაში ფიზიკური ვარჯიშების დადებითი ეფექტი და განსაკუთრებული მნიშვნელობა, პირველად რუსმა ფსიქიატრმა ვ. პ. პროტოპოპოვმა აჩვენა. ვ. პ. პროტოპოპოვმა დაადგინა, რომ დეპრესიით და შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებში ნივთიერებათა ცვლის პროცესები რამდენადმე მსგავსია, ამიტომაც დიაბეტით დაავადებულებს სშირად იპყრობთ „დიაბეტური დეპრესია“. ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზებისა და დეპრესიიდან ადამიანის გამოყვანის ერთადერთი საუკეთესო მეთოდია ფიზიკური ვარჯიში. მთავარი პრობლემა ის არ არის, რომ დეპრესიით შეპყრობილ ადამიანებს საწოლიდან წამოდგომა უჭირთ, შესაბამისად, მათი დარწმუნება ფიზიკური აქტივობის სარგებლობაში არც ისე ადვილია და მაინც, როგორი ხანგრძლივობის ვარჯიშია საჭირო დეპრესიისაგან თავდასაღწევად? კარგი განწყობით, ცხადია, საკმარისია რეგულარულად 30-წუთიანი ვარჯიში კვირაში რამდენჯერმე მაინც (თუ ყოველდღიურად არა), ცურვა ან თუნდაც ველოსიპედით სეირნობა. ვარჯიშის სახეობა და ილეთები ადამიანმა თავად შეიძლება შეარჩიოს. თუ ნებისყოფა არ ჰყოფნის, შეიძლება, უბრალოდ ფეხით სეირნობა დაიწყო. არის შემთხვევები, როდესაც დეპრესიით დაავადებულები, რეგულარული ვარჯიშისა და საუკეთესო ფიზიკური მდგომარეობის მიღწევის მიუხედავად, სულიერად დათრგუნულები რჩებიან, ამ კატეგორიას სპეციალისტები ფიზიკურ გადატვირთვასაც კი ურჩევენ. ინტენსიური ვარჯიში და ფიზიკური დაძაბვა ყოველთვის ხსნის დეპრესიას. საბოლოო ჯამში ადამიანზე კარგ ეფექტს ახდენს გარდა სუფთა ჰაერზე სეირნობისა, ბუნებრივი სინათლის ნაკადი. მზის სხივები მაცოცხლებელ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე, ამაღლებს გუნება-განწყობას. საერთოდ, ზამთრის დეპრესია სეზონური დეპრესიის ყველაზე გავრცელებული ტიპია. დადგენილია, რომ ცუდი განათების პირობებში (მაგალითად, ზამთრის პერიოდში, მზის სხივების ნაკლებობის გამო) იზრდება ჰორმონ მელატონინის გამოყოფა, ეს უკანასკნელი კი ენერჯის შემცირებასა და უგუნებობას იწვევს. ზაფხულის პერიოდში, კაშკაშა მზის პირობებში, მელატონინის გამოყოფა მცირდება. შესაბამისად, სინათლით თერაპიას დეპრესიის მკურნალობისას დადებითი ეფექტი აქვს. დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ ფერები ადამიანზე დიდ ზეგავლენას ახდენს, მის ნერვიულ სისტემაზე, ემოციურ სფეროსა და ესთეტიკურ აღქმაზე. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში პროფესორი ს.ვ.კრაკოვი აღნიშნავდა, რომ მწვანე ფერს სასურველი ზემოქმედების უნარი აქვს, ამშვიდებს, ავითარებს შინაგანად გაწონასწორებულ მდგომარეობას, აძინებს ადამიანს. დეპრესიით შეპყრობ-

ილთათვის რეკომენდებულია მოლზე სეირნობა, ბუნებაში დასვენება. მწვანე ფერი ხელს უწყობს შინაგანი წონასწორობის აღდგენას, აბალანსებს ორგანიზმში ფიზიოლოგიური პროცესების მიმდინარეობას და დადებით გავლენას ახდენს ფსიქიკურ მდგომარეობაზე.

„მუსიკა კეთილმყოფელ გავლენას ახდენს განწყობასა და ხასიათზე, რომელთა დარღვევებიც საფუძველია სულიერი აშლილობისა, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა დაავადების მიზეზები ხდება“ — აღნიშნავდა ცნობილი რუსი ფსიქიატრი კორსაკოვი. ნევროზების მკურნალობაში მუსიკის დიდი მნიშვნელობას აღიარებდა ბესტერევიც. დღეს ყველამ იცის, რომ მუსიკას ადამიანის სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის შეცვლა შეუძლია, ამიტომ დეპრესიით დაავადებულებმა თვითონვე უნდა უმკურნალონ საკუთარ თავს. მოწყენილობის ჟამს მაჟორული მუსიკის მოსმენა კი არ უნდა დაიწყო, არამედ სიცოცხლით საგნე ხალისიანი მუსიკას უნდა მოუსმინონ. კარგი მუსიკა ფანტავს დარდსა და ნაღველს, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი მთლიანად დეპრესიას! რაც შეეხება ძილს გარდა იმისა, რომ ძილის დარღვევა დეპრესიის ერთ-ერთი სიმპტომია, მან თავადაც შეიძლება დაამძიმოს დაავადების მიმდინარეობა. დეპრესიით შეპყრობილთა ნაწილი მუდმივად ძილად არის მივარდნილი, ნაწილს კი, პირიქით, უძილობა აწუხებს. ორივე პრობლემა მეტად საყურადღებოა. უძილობით შეწუხებულთათვის რეკომენდირებულია ერთსა და იმავე დროს დაწოლა (დაძინება) და ადგომა (გადვილება). დღისით მაქსიმალურად თავშეკავება დაძინებისა და მკვდარი საათის მოწყობისაგან. საძინებელი ოთახიდან აუცილებელია გამაღიზიანებელი ნივთების: კომპიუტერისა და ტელევიზორის მოცილება, ძილის წინ კი ოთახის განთავსება. განსაკუთრებით სასარგებლოა სუთა ჰაერზე (სარკმელგაღებულ ოთახში) ძილი. ჟანგბადით მდიდარი ჰაერი, გარდა იმისა, რომ ხელს უწყობს ნორმალურ ძილს, მხნედ და კარგ განწყობაზე გაღვიძებასაც უზრუნველყოფს. დეპრესიის თანმხლები მუდმივი ძილიანობა და აპათია თავისთავად მკურნალობის სამიზნე ობიექტია, თუმცა პრაქტიკა ადასტურებს, რომ ჯანსაღი, თუნდაც გადაჭარბებული ძილი დეპრესიის დროს თავისებური მკურნალია და გაცილებით კარგ შედეგს იძლევა, ვიდრე ძილის აკრძალვა და ა.შ.

ღაჯრანის დაქვევის კომპიუტერი მეთოდები:

დეპრესიასთან ბრძოლაში დიდ როლს ასრულებს ტვინის მუშაობა ანუ აზროვნება. როდესაც ადამიანი დეპრესიით არის შეპყრობილი, საკუთარ თავს და ზოგადად სამყაროს ნეგატიურ ფერებში აღიქვამს. აზროვნების ასეთი ფორმა დროთა განმავლობაში მუდმივ ხასიათს იძენს. ნეგატიური აზრის ფორმირება კი ავტომატურად იქცევა ნეგატიურ პრობლემათა საფუძველად. ნეგატიური აზრები სპონტანურად აღმოცენდება, როგორც რეაქცია ამა თუ იმ სიტუაციაზე და ადამიანის

ორგანიზმზე უარყოფით გავლენას ახდენს. რაც მთავარია, უარყოფით აზრებს, ერთმანეთთან დაკავშირება და უწყვეტ (თამამად შეიძლება ითქვას, ადამიანისათვის მეტად მავნებელ) ჯაჭვად აკინძვა ახასიათებს. ამ ჯაჭვის გაწყვეტა კი საკმაოდ ძნელია. ამიტომაც: ისწავლეთ, როგორ გაექცეთ მავნე ფიქრებსა და ნეგატიურ აზრებს. დროებით მაინც დაისვენეთ მათგან. თუ ამას შეძლებთ, ეს დროებითობა შემდგომ მუდმივობას გაუღებს კარს. როგორც კი საკუთარ თავს ავტომატურად ნეგატიურ აზროვნებაში დაიჭერთ, აიღეთ პაუზა „ტვინის განსაწმენდად“ და მავნე ფიქრთა განსაღვენად. თუ ზიხართ ან წვეხართ, ადექით და ოთახში გაიარ-გამოიარეთ, ფანჯარას მიაშურეთ და ყურადღება სხვა საგანზე გადაიტანეთ. კარგი იქნება სუნთქვითი ვარჯიშების შესრულება, გახეთის ან ჟურნალის თუნდაც ერთი აბზაცის წაკითხვა. თუ საყვარელი პოეტის ერთ-ორ ლექსს მაინც წაიკითხავთ და თან თქვენს საყვარელ მელოდიას ჩართავთ, ე.ი. გაიმარჯვებთ.

იმისთვის, რომ საკუთარ თავს დეპრესიისგან თავის დაღწევაში დაეხმაროთ, აუცილებელია დაისახოთ გარკვეული მიზანი, ანუ თქვენი შესაძლებლობების ფარგლებში რეალურად განხორციელებადი რაიმე ამოცანა. მიზანდასახულობა აზრს შესძენს თქვენს ცხოვრებას, აქტიურობისა და მოძრაობისაკენ გიბიძგებთ. თავაპირველად დაისახეთ გარკვეული მიზანი (თუნდაც თქვენთვის ყველაზე საყვარელი ადამიანის საკეთილდღეოდ და სასარგებლოდ). შემდეგ ჩამოაყალიბეთ მარტივი გეგმა და მთელი ძალისხმევით შეუდექით მის შესრულება-რეალიზებას. დარდისა და შფოთვისათვის დრო აღარ დაგრჩებათ, რადგან თქვენი გონება, აზროვნება და მთლიანად პიროვნება გადასაწყვეტი ამოცანით იქნება დაკავებული. ერიდეთ დამთრგუნველ, თქვენთვის გამაღიზიანებელ გარემოებაში მოხვედრასა და ნეგატიურ მოვლენებში მონაწილეობას, ასევე-მარტოდმარტო დარჩენას. ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ საყვარელი ადამიანების გარემოცვაში. აქტიურად ჩაერთეთ მათთან საუბარში. მეგობრობისა და ახლობლების როლი ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანია. მათთვის გულის გადაშლა, თუნდაც გულამოსკენილი ტირილი დეპრესიას გაგიქარვებთ. ხელი მოჰკიდეთ საყვარელ საქმეს. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ჰობი დეპრესიისგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალებაა, ამიტომაც თავს ძალა დაატანეთ და ქსოვეთ, კერეთ, ქარგეთ, ძერწეთ, ხატეთ. ცნობილია, რომ მოვლენები თუ საგნები, რომლებიც წინათ ადამიანს ახარებდა, დეპრესიის დროს მასზე სრულიადაც აღარ ახდენს ანალოგიურ გავლენას. ადამიანი ერთგვარად ცივი, ინდიფერენტული ხდება. მისთვის ბევრი რამ „სულერთია“, ბევრი რამ აღარ ახარებს, აღარც მნიშვნელოვნად ეჩვენება და აღარც რეაქციას იწვევს მასში. ეს ყოველივე იმ ნეგატიურ აზრთა შედეგია, რომლებსაც ადამიანს დეპრესია შთააგონებს. მთავარია, დეპრესიაში მყოფმა ძალები მოიკრიბოს, თავს ძალა დაატანოს და თავისთვის სასიამოვნო რაღაცები აკეთოს. ამგვარი ნაბიჯი უკვე რეაბილიტაციაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეხელიშვილი .ფსიქოლოგიური ენციკლოპედია .თბ.,2007
2. გერიგი, ფ.ზიმბორდი. ფსიქოლოგია და ცხოვრება.თბ.2008
3. ინტერნეტი(სტრესი | თამის ბლოგი | თამის ბლოგ ტამუნატამი.წოდპრესს.ცომ/2012/05/23/სტრესი/ - ქეშირებული
5. „საკვანძო კომპენტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლებისათვის, ევროპული ჩარჩო“ (2006)
6. კ. სტივენსონი, რ. რაიტი, რ. კინი „მშობლები და ბავშვები“ .2007

Р е з ю м е Изо букулеишвили

Депрессия-----комплексные стратеги по ик преодолению

В труде обсуждается одна из актуальных проблем на сегодняшний день--депрессия среди людей-- проанализированно множество научной литературы- Изложены пути и следствия преодоления депрессии- приведены результаты проведенного со студентами исследования-

შორენა ჟვანია
განათლების მაგისტრი

გენდერული განსხვავება აგრესიის გამოვლინებაში და მისი დაქვემდებარების საშუალებები

სამწუხაროდ, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ტელე, თუ რადიო გადაცემები, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები, ალბათ უფრო მეტ ინფორმაციას გვაწვდიან აგრესიის გამოვლინების შესახებ; ადამიანების ისეთი ქცევების შესახებ, რომელთაც სხვა ადამიანებისათვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება სდევს თან.

ამ ბოლო ხანებში საქართველოში, მრავალ პრობლემათა შორის, მთელი სიმწვავეით დადგა ერთი პრობლემა: გახშირდა არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევები. ჩვენ გამუდმებით გვესმის თუ როგორ მიაყენა ერთმა მოზარდმა მეორეს სასიკვდილო ჭრილობა, როგორ იხმარა ძალა, როგორ შეურაცხყო და სხვა. აქამდე მსგავსი საქციელის განმახორციელებელ ფიგურად ბიჭები გვევლინებოდნენ, თუმცა სიტუაცია შეიცვალა ამ მხრივ და უკვე არც თუ ისე იშვიათად, სხვადასხვა აგრესიული ქცევის შემსრულებლად გოგონებიც მოგვევლინნენ. აქედან გამომდინარე ჩვენ საინტერესოდ ჩავთვალეთ უფროსკლასელებთან აგრესიის გამოვლენის ფორმების შესწავლა.

განათლების ფსიქოლოგიის წარმომადგენლები, პედაგოგები, მშობლები და ის ადამიანები, რომლებიც ხშირად ურთიერთობენ უფროსკლასელებთან, ხშირად საუბრობენ მათ მიერ განხორციელებულ სხვადასხვა სახის აგრესიულ ქმედებაზე. ხშირად საუბრობენ ამ ასოციალური და დელიკვენტური ქცევის ფორმათა ნაირსახეობებზე და მათ გავლენაზე სასწავლო პროცესზე.

მოზარდი ჯერ კიდევ არაა დიდი, მაგრამ ის არც ბავშვია. ის მოითხოვს მისადმი ახლებურ დამოკიდებულებას. ნდობა, პატივისცემა, დიდი, სოციალურად მნიშვნელოვანი საქმეების დავალება, საწარმოო საქმიანობაში ჩართვა, რომანტიკული სურვილების დაკმაყოფილება - ასეთია მოზარდთან ურთიერთქმედების ძირითადი საშუალებები. საჭიროა სათანადოდ იქნეს ორგანიზებული მოზარდის გარემო, გათვალისწინებულ უნდა იყოს მოზარდის წინასწარი განწყობა საკუთარი სუბკულტურის მიმართ¹.

როგორც ცნობილია, მოზარდობა ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდია, როცა ხდება არა მარტო ფსიქოლოგიური სტრუქტურების

¹ ს. (ბიჭი) თეხელიშვილი, ფსიქოლოგიური ენციკლოპედია, თბ. 2007, გვ. 369

ძირეული ცვლილებები, არამედ ყალიბდება მორალური ღირებულებები და სოციალური განწყობები. ამ რთული ეტაპისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ნეგატიური გამოვლინებები, შინაგანი დისჰარმონია, ნეგატივიზმი, პროტესტი უფროსების მიმართ. მეორე მხრივ, ამ ასაკისათვის ნიშნულია პოზიტიური ტენდენციებიც. კერძოდ, იზრდება დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, ურთიერთობა უფროსებსა და თანატოლებთან მრავალმხრივ ხასიათს იძენს.

ამასთანავე, მოზარდობის პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში გადამწყვეტია, როგორც გარდამავალი ეტაპი ბავშვობიდან მოწიფულობისაკენ. ამ სტადიაზე ხდება შექმნილი გამოცდილების ინტეგრირება ერთ მთლიანად. თუ მოზარდი ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი კრიზისის, ფსიქოლოგიური კონფლიქტის გა-დაწყვეტას ვერ ახერხებს, ვითარდება “არსებითი პათოლოგია”, “საბაზისო ან-ტიპატია” (ე. ერიკსონი)².

ვფიქრობთ, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს აგრესიის შესწავლის აქტუალობას. შესაბამისად, აუცილებელია აგრესიის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა მოზარდთა შორის, ვინაიდან არასრულ-წლოვანთა დანაშაულებრივ ქცევასთან წარმატებული ბრძოლა, რა თქმა უნდა, გულისხმობს არა სასჯელის გამკაცრებას, არამედ პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალური დახმარების გაწევას, ორიენტირებულს პიროვნების შინაგანი პოტენციალის აქტუალიზაციასა და თვითრეალიზაციაზე. პოზიტიური ქცევის უნარ-ჩვევების შემუშავებაზე.

უნდა ითქვას, რომ უფროსკლასელთა აგრესიული ქცევის სტრატეგიის არჩევის თავისებურებათა საკითხი საქართველოში ემპირიულად შესწავლილი ნაკლებად არის. არადა აგრესიული ქცევის ფორმების თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სოციალური ურთიერთობების რეგულირებისაკენ, აგრეთვე პოზიტიური სოციალური უნარ-ჩვევების შემუშავებისაკენ მიმართული მუშაობის ჩატარება.

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა შემდეგს: უფროსკლასელთა ჯგუფებში აგრესიის გამოვლენის ფორმების საშუალო მაჩვენებელთა დონის განსაზღვრას, აგრესიის გამოვლენის ფორმების შესწავლას და იმის გარკვევას, არსებობს თუ არა გენდერული განსხვავებები აგრესიული რეაქციის მაჩვენებელსა და აგრესიის გამოვლენების ფორმებში. ამ მიზნის განხორციელებისათვის დასახულ იქნა შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. აგრესიისა და მისი ფორმების შესახებ სხვადასხვა მეცნიერულ მიდგომათა თეორიული ანალიზი;

² რ. ბერიძე, კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიები განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებში, დისერტაცია, თბ. 2008, გვ. 59

2. აგრესიის საშუალო მაჩვენებლისა და აგრესიის გამოვლენის ფორმების ემპირიული კვლევა უფროსკლასელთა ჯგუფებში;

3. აგრესიული ქცევის გამოვლენის გენდერული თავისებურებების დადგენა უფროსკლასელებთან.

აღნიშნული პრობლემის შესასწავლად კვლევის მეთოდად ავირჩიეთ ბასს-დარკის აგრესიულობის საკვლევი მეთოდიკა. ბასს-დარკის კითხვარი საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ აგრესიულობის ინდექსი. მისი გამოთვლა ხდება ფიზიკური აგრესიის, არაპირდაპირი აგრესიის, გაღიზიანებადობის და ვერბალური აგრესიის მაჩვენებლების საფუძველზე, რაც შეადგენს 21+/-4-ს.

გამოკითხვის პროცედურა: თითოეულ მოზარდს ეძლეოდა 1 აკადემიური საათი აგრესიის საკვლევი კითხვარის შესავსებად. კითხვარი შედგებოდა 75 დახურული კითხვისაგან. უფროსკლასელებს ეძლეოდათ შემდეგი სახის ინსტრუქცია: „გთხოვთ მოცემული წინადადებები ყურადღებით წაიკითხოთ და თქვენი ქცევის სტილიდან გამომდინარე მოცემულ დებულებებს უპასუხოთ „დიახ“ ან „არა“-თი“. ამასთან ერთად მათ ვაფრთხილებდით, რომ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალური იქნებოდა. ამის შემდეგ ისინი იწყებდნენ ბასს-დარკის კითხვარის შევსებას.

ბასს-დარკის კითხვარი იკვლევს აგრესიული და მტრული რეაქციების შემდეგ ფორმებს:

ფიზიკური აგრესია - ფიზიკური ძალის გამოყენება სხვა ადამიანების წინააღმდეგ.

არაპირდაპირი (ირიბი) აგრესია – აქ იგულისხმება ქცევის ისეთი გამოვლინებები, როგორცაა დაცინვა, ბორბოტი ხუმრობები. ისინი შეიძლება არ იყოს მიმართული კონკრეტულად პიროვნებაზე და გამოვლინდეს ისეთი ქმედებებით, როგორცაა ყვირილი, ფეხების ბაკუნი, მუშტების ბრახუნი მაგიდაზე და სხვა.

გაღიზიანებადობა;

ნეგატივიზმი - ოპოზიციური ქცევის ფორმა, რომელიც, როგორც წესი მიმართულია ავტორიტეტის და ხელმძღვანელის წინააღმდეგ.

წყენა - გარშემომყოფების მიმართ შური და სიძულვილი, რომელიც განპირობებულია სიმწარით.

ეჭვიანობა - უნდობლობა და სიფრთხილე ადამიანებთან ურთიერთობის დროს.


ვერბალური აგრესია – ნეგატიური გრძნობების გამოხატვა ისეთი ფორმებით, როგორცაა : ჩხუბი, ყვირილი, ბუზღუნი, მუქარა, დაწყევლა და სხვა

დანაშაულის გრძნობა – ეს სკალა ზომავს დანაშაულის გრძნობას, რომელიც ადამიანს ეუფლება საზოგადოებისთვის მიუღებელი ქცევის გამოვლენის დროს. ეს არის საკუთარი თავის დადანაშაულება იმაში, რომ ცუდი ადამიანი ხარ.

აგრესიის გამოვლენის ფორმების საშუალო მარჩენებლები უფროსკლასელებთან

	საშუალო მარჩენებელი	სტანდარტული გადახრა
ფიზიკური აგრესია	6,15	1,6661
არაპირდაპირი	4,7643	1,49151
გალიზიანებადობა	5,1143	1,90072
ნეგატივიზმი	3,2643	1,21508
წყენა	4,3	1,53941
ეჭვიანობა	6,4	2,04553
ვერბალური აგრესია	7,8929	2,03458
აუტოაგრესია	6,6571	1,72068

აგრესიის გამოვლენის ფორმების საშუალო მარჩენებელთა გრაფიკული გამოხატულება



ნახ. 1

ეს მეთოდის საშუალებას გვაძლევს დავრწმუნდეთ, იმაში რომ უფროსკლასელების აგრესიის სხვადასხვა კატეგორიებს რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები გააჩნიათ.

შესაბამისად, ტესტი 8 შკალას შეიცავს. ცდისპირის მიერ თითოეული შკალის მიხედვით მიღებული ქულების რაოდენობით ხასიათდება, როგორც აგრესიული ქცევის ფორმის გამოვლენის ტენდენცია: რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო გამოხატულია სათანადო ტენდენცია.


კვლევაში მონაწილეობდა სულ 140 უფროსკლასელი, მათ შორის 60 ბიჭი და 80 გოგონა.

ტესტს ცდისპირები ინდივიდუალურად ავსებდნენ. კვლევის შედეგად მიღებული მასალა დამუშავდა მათემატიკური სტატისტიკის შესაბამისი მეთოდებით, კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის - სპსს - გა-მოყენებით. მასალის დამუშავებისას საშუალო მარჩენებლების წყვილ-წყვილად შესადარებლად, ანუ მათ შორის განსხვავების სანდოობის შესამოწმებლად, გამოყენებულ იქნა სტუდენტის ტ კრიტერიუმი. ამასთანავე, გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ საშუალო არითმეტიკულის (რომლის გამოთვლასაც გულისხმობს ბასს-დარკის ტესტი) მეშვეობით ვლინდება ჯგუფთა შორისი განსხვავება, მაგრამ “გასაშუალოების” შედეგად “იკარგება” ჯგუფის შიგნით არ-სებული ინდივიდუალური განსხვავება, რის გამოც შეიძლება არაკორექტული დასკვნები გაკეთდეს. ამიტომ შიდაჯგუფური განსხვავების გამოსავლენად აუცილებელია აგრეთვე კორელაციური ანალიზის ჩატარება.

როგორც უკვე ითქვა, კვლევაში მონაწილეობდა სულ 140 უფროსკლასელი, მათ შორის 60 ბიჭი და 80 გოგონა. პირველ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ასახავს უფროსკლასელთა მიერ, მათი სქესის მიუხედავად, აგრესიის გამოვლენის ფორმების განაწილებას. შედეგის თვალსაჩინოებისათვის იგივე მონაცემები წარმოდგენილია გრაფიკული სახითაც (იხ. ნახ. 1).

მეორე ნახატზე მოცემულია იგივე მონაცემები სტანდარტულ გადახრასთან ერთად.

აგრესიის საშუალო მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა




ნახ. 2

მოცემული ცხრილებიდან ნათლად ჩანს, რომ აგრესიის წამყვან ფორმას, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემების მიხედვით, უფროსკლასელებთან წარმოადგენს ვერბალური აგრესია, მეორე ადგილზეა აუტოაგრესია, მესამეზე - ეჭვიანობა, მეოთხეზე ფიზიკური აგრესია, მესხუთე ადგილზეა გაღიზიანებადობა, მეექვსე ადგილზეა არაპირდაპირი აგრესია, მეშვიდეზეა - წყენა, ხოლო უკანასკნელზე ნეგატივიზმი.

ცხრილი 2

	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა
ვერბალური აგრესია	7,8929	2,03458
აუტოაგრესია	6,6571	1,72068
ეჭვიანობა	6,4	2,04553
ფიზიკური აგრესია	6,15	1,6661
გაღიზიანებადობა	5,1143	1,90072
არაპირდაპირი	4,7643	1,49151
წყენა	4,3	1,49151
ნეგატივიზმი	3,2643	1,21508

ვაუებში აგრესიის გამოვლენის ფორმების საშუალო მაჩვენებელთა გრაფიკული გამოსატყლება



ნახ. 3

ამრიგად, მოცემული ცხრილებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგრესიის წამყვან ფორმას უფროსკლასელ ბიჭებში წარმოადგენს ვერბალური აგრესია. რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ვარაუდი არ დადასტურდა. მეორე ადგილზეა აუტოაგრესია, მესამეზე - ფიზიკური აგრესია, მეოთხეზეა ეჭვიანობა, მეხუთე ადგილზეა გაღიზიანებადობა, მეექვსე ადგილზეა არაპირდაპირი აგრესია, მეშვიდეზეა - წყენა და უკანასკნელზე ნეგატივიზმი.


ნეგატივიზმი	,264* p=0,042	,162 ,217	,338** p=0,008	1	-,307* p=0,017	-,102 ,439	,086 ,513	,295* p=0,022
წყენა	,052 ,693	,007 ,960	,361** p=0,005	-,307* p=0,017	1	,381** p=0,003	,075 ,572	,239 ,066
ეჭვიანობა	,151 ,249	,193 ,139	,351** p=0,006	-,102 ,439	,381** p=0,003	1	,344** p=0,007	,288* p=0,025
ვერბალური	,185 ,158	-,011 ,932	,227 ,081	,086 ,513	,075 ,572	,344** p=0,007	1	,341** p=0,008
აუტოაგრესია	,526** p=0,000	,293* p=0,023	,231 ,076	,295* p=0,022	,239 ,066	,288* p=0,025	,341** p=0,008	1

ჩვენ დავინახეთ უფროსკლასელ ვაჟებში აგრესიის სხვადასხვა ფორმათა გამოვლენის სახეები. განვიხილოთ იგივე სახის გამოვლინებანი გოგონებშიც. ამ დავალების ამსახველ სურათს განვიხილავთ მეშვიდე ცხრილსა და მეოთხე ნახატზე.

აგრესიის გამოვლენის ფორმების საშუალო მაჩვენებლები გოგონებში

	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა
ფიზიკური აგრესია	5,6750	1,52428
არაპირდაპირი	4,7750	1,39597
გაღიზიანებადობა	5,2375	1,88427
ნეგატივიზმი	3,0750	1,28058
წყენა	4,5250	1,47532
ეჭვიანობა	6,8375	2,15503
ვერბალური	8,0125	2,15532
აუტოაგრესია	6,5250	1,76445

გოგონებში აგრესიის გამოვლენის ფორმების საშუალო მაჩვენებელთა გრაფიკული გამოხატულება




ნახ. 4

ამრიგად, მოცემული ცხრილებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგრესიის წამყვან ფორმას უფროსკლასელებში წარმოადგენს ვერბალური აგრესია. რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ვარაუდი დადასტურდა. მეორე ადგილზეა ეჭვიანობა, მესამეზე - ავტოაგრესია, მას მოსდევს ფიზიკური აგრესია, მეხუთე ადგილზეა გალიზიანებადობა, მეექვსე ადგილზეა არაპირდაპირი აგრესია, მეშვიდეზეა - წყენა და უკანასკნელზე - ნეგატივიზმი.

მოცემულია მეათე ცხრილში. თვალსაჩინოებისათვის იგივე მონაცემები ავსახეთ გრაფიკულადაც (იხ. ნახ. 5)

ცხრილი 10
აგრესიის ფორმებს შორის სხვაობა გენდერული თვალსაზრისით

	ბიჭი	გოგო
ფიზიკური აგრესია	6,74	5,675
არაპირდაპირი აგრესია	4,8	4,8
გალიზიანებადობა	5	5,02
ნეგატივიზმი	3,5	3,075
წყენა	4	4,5
ეჭვიანობა	5,8	6,8
ვერბალური აგრესია	7,71	8
ავტოაგრესია	6,8	6,51



ნახ. 5

ამრიგად, მოცემული ცხრილებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგრესიის წამყვან ფორმას უფროსკლასელებთან წარმოადგენს ვერბალური აგრესია. მეორე ადგილზეა აუტოაგრესია, მესამეზე - ეჭვიანობა, მეოთხე ადგილზეა ფიზიკური აგრესია, მეხუთე ადგილზეა გალიზიანებადობა, მეექვსე ადგილზეა არაპირდაპირი აგრესია, მეშვიდეზეა - წყენა და უკანასკნელზე ნეგატივიზმი.

აგრესიის ფორმებს შორის სხვაობა გენდერული თვალსაზრისით

	ბიჭი	გოგო
ვერბალური აგრესია	7,71	8
აუტოაგრესია	6,8	6,51
ეჭვიანობა	5,8	6,8
ფიზიკური აგრესია	6,74	4,8
გალიზიანებადობა	5	5,02
არაპირდაპირი აგრესია	4,8	4,8
წყენა	4	4,5
ნეგატივიზმი	3,5	3,075

ზოგადი დასკვნები

ანკეტური გამოკითხვისა და სოციომეტრული მეთოდის გამოყენებით ჩატარებული ემპირიული კვლევების ანალიზი გვაძლევს შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას:

1. აგრესიის წამყვან ფორმას უფროსკლასელ ბიჭებში წარმოადგენს ვერბალური აგრესია. აგრესიის დანარჩენი ფორმების რანჟირება მოხდა კი შემდეგნაირად. მეორე ადგილზეა აუტოაგრესია, მესამეზე - ფიზიკური აგრესია, მეოთხეზე ეჭვიანობა, მესამე ადგილზეა გაღიზიანებადობა, მეექვსე ადგილზეა არაპირდაპირი აგრესია, მეშვიდეზეა - წყენა და უკანასკნელზე ნეგატივიზმი.

2. აგრესიის წამყვან ფორმას უფროსკლასელ გოგონებში წარმოადგენს ვერბალური აგრესია. მეორე ადგილზეა ეჭვიანობა, მესამეზე - აუტოაგრესია, მას მოსდევს ფიზიკური აგრესია, მესამე ადგილზეა გაღიზიანებადობა, მეექვსე ადგილზეა არაპირდაპირი აგრესია, მეშვიდეზეა - წყენა და უკანასკნელზე ნეგატივიზმი.

3. აგრესიულ ფორმათა შორის უფროსკლასელებთან წამყვანია ვერბალური აგრესია. მეორე ადგილზეა აუტოაგრესია, მესამეზე - ეჭვიანობა, მას მოსდევს ფიზიკური აგრესია, მესამე ადგილზეა გაღიზიანებადობა, მეექვსე ადგილზეა არაპირდაპირი აგრესია, მეშვიდეზეა - წყენა და უკანასკნელზე ნეგატივიზმი.

თანხვედრა აგრესიის ფორმებს შორის გენდერული თვალსაზრისით მოხდა ვერბალურ აგრესიას, წყენას, გაღიზიანებადობას, ნეგატივიზმსა და არაპირდაპირ აგრესიას შორის.

ჩვენ განვიხილეთ აგრესიის გამოვლენის ფორმები უფროსკლასელებთან, გავარკვეეთ მათი დამოკიდებულება ერთმანეთთან. რა უნდა ქნას მასწავლებლებმა? – მასწავლებლებმა აუცილებლად უნდა მიიღონ აქტიური ზომები, როცა ხედავენ, თუ როგორ ჩაგრავს მოსწავლე სხვას და ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი იმას, რომ მსგავსი ინციდენტები მომავალში აღარ განმეორდეს. მოსწავლეებს, რომლებიც ჩაგვრის ხშირი მსხვერპლნი არიან, მასწავლებლების და თანაკლასელების სოციალური და ემოციური მხარდაჭერა განსაკუთრებით სჭირდებათ.

აქტიური ზომების მიღება აუცილებელია აგრესიული მოსწავლეების მიმართაც. კონკრეტული სტრატეგიები, რა თქმა უნდა, იმაზე დამოკიდებული, თუ რა არის აგრესიული საქციელის მიზეზი. მოსწავლეებში აგრესიისა და ძალადობის შემცირებაში მასწავლებელს შემდეგი სტრატეგიები შეიძლება დაეხმაროს:

1. წახალისეთ მოსწავლეები, დაეხმარეთ სიტუაცია სხვა ადამიანის პოზიციიდან დაინახონ;
2. დაეხმარეთ მათ სოციალური სიტუაციის სწორად დანახვასა და

გაგებაში;

3. ასწავლეთ ეფექტური სოციალური უნარ-ჩვევების გამოყენება;
4. სთხოვეთ, რომ სხვებს დაეხმარონ (მაგალითად, უმცროსკლასელი მოსწავლეები რომ ამეცადინონ).
5. ჩართეთ მოსწავლეები მათთვის სასურველ კლასგარეშე და სკოლისგარეშე კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში, რომელიც მოემსახურება მათი სოციოგენური მოთხოვნების დაკმაყოფილებას.
6. ოჯახმა და სკოლამ ერთობლივად უნდა იზრუნოს, რომ ბავშვს საკუთარ თავში აპოვინოს პიროვნება, დაარწმუნოს საკუთარ სრულფასოვნებაში.
7. გამოიწვიოს შემეცნებითი ინტერესი და ინტელექტუალური მოტივი, რაც აღძრავს ასოციალურ მოსწავლეში სოციალურად ღირებული აქტივობის სურვილს.

ეს არის იმ ღონისძიებათა მოკლე ჩამონათვალი, რომელიც უნდა განახორციელოს პედაგოგმა.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. გოგინაიშვილი თ., მოსწავლეთა ასაკობრივი ფსიქოლოგია, თბ., 2001
2. გოგინაიშვილი თ., განვითარების ფსიქოლოგია, თბ., 2005
3. გერივი რ., ზიმბარდო ფ., ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბ., 2009
4. ნადირაშვილი შ., პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975
5. ნარგიზიშვილი მ., პრაქტიკული ფსიქოლოგია, თბ., 2010
6. ყოლბაია მ., სკოლის ფსიქოლოგია, თბ. 2008
7. ქურხული ლ., ბავშვთა აგრესია, თბ., 2006
8. ჩარკვიანი დ., ექსპერიმენტული სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები,)))
9. ჯანაშია ნ., იმედაძე ნ., გორგოძე ს., განვითარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008
10. ჯაფარიძე მ., განათლების ფსიქოლოგია, თბ., 2005
11. ბერიძე რ., კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიები განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებში, დისერტაცია, თბ., 2008
12. Берковец Л., Агрессия: причины, последствия и контроль, Санкт – Петербург “Олма Пресс”, М., 2002

რ უ ჯ ი მ ე

Шорена жвания

Гендерные различия в проявлении агрессии

Статья основана на эмпирическом исследовании агрессии старшеклассников! Целью Ставилась устфновление агрессивной реакции и форма ее праявления у подросткач с гендерной точки зрения! былоустфновленно что девушки не меньше мальчиков проявляют агруссию

Успешная борьба с преступным поведением учеников обусловлена не зфпретами и суровыми наказаниями а оказанием педапопической психолопической и социальной помощи которая бу дет ориентирована на актуализацию Развития личности и самопеализацию! На преобретение навыков позитивного поведения!

ზ ო გ ა ლ ი ღ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

ანკეტური გამოკითხვისა და სოციომეტრული მეთოდის გამოყენებით ჩატარებული ემპირიული კვლევების ანალიზი გვაძლევს შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას:

1. აგრესიის წამყვან ფორმას უფროსკლასელ ბიჭებში წარმოადგენს ვერბალური აგრესია. აგრესიის დანარჩენი ფორმების რაჩეირება მოხდა კი შემდეგნაირად. მეორე ადგილზეა აუტოაგრესია, მესამეზე - ფიზიკური აგრესია, მეოთხეზე ეჭვიანობა, მეხუთე ადგილზეა გაღიზიანებადობა, მეექვსე ადგილზეა არაპირდაპირი აგრესია, მეშვიდეზეა - წყენა და უკა ნას კნელზე ნეგატივიზმი.
 2. აგრესიის წამყვან ფორმას უფროსკლასელ გოგონებში წარმოადგენს ვერბალური აგრესია. მეორე ადგილზეა ეჭვიანობა, მესამეზე - აუტოაგრესია, მას მოსდევს ფიზიკური აგრესია, მეხუთე ადგილზეა გაღიზიანებადობა, მეექვსე ადგილზეა არაპირდაპირი აგრესია, მეშვიდეზეა - წყენა და უკანასკნელზე ნეგატივიზმი.
 3. აგრესიულ ფორმათა შორის უფროსკლასელებთან წამყვანია ვერბალური აგრესია. მეორე ადგილზეა აუტოაგრესია, მესამეზე - ეჭვიანობა, მას მოსდევს ფიზიკური აგრესია, მეხუთე ადგილზეა გაღიზიანებადობა, მეექვსე ადგილზეა არაპირდაპირი აგრესია, მეშვიდეზეა - წყენა და უკა ნას კნელზე ნეგატივიზმი.
- თანხვედრა აგრესიის ფორმებს შორის გენდერული თვალსაზრისით მოხდა ვერბალურ აგრესიას, წყენას, გაღიზიანებადობას, ნეგატივიზმსა და არაპირდაპირ აგრესიას შორის.

ჩვენ განვიხილეთ აგრესიის გამოვლენის ფორმები უფროსკლასელებთან, გავარკვეეთ მათი დამოკიდებულება ერთმანეთთან. რა უნდა ქნას მასწავლებლებმა? - მასწავლებლებმა აუცილებლად უნდა მიიღონ აქტიური ზომები, როცა ხედავენ, თუ როგორ ჩაგრავს მოსწავლე სხვას და ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი იმას, რომ მსგავსი ინციდენტები მომავალში აღარ განმეორდეს. მოსწავლეებს, რომლებიც ჩავკრის ხშირი მსხვერპლნი არიან, მასწავლებლების და თანაკლასელების სოციალური და ემოციური მხარდაჭერა განსაკუთრებით სჭირდებათ.

აქტიური ზომების მიღება აუცილებელია აგრესიული მოსწავლეების მიმართაც. კონკრეტული სტრატეგიები, რა თქმა უნდა, იმაზე დამოკიდებული, თუ რა არის აგრესიული საქციელის მიზეზი. მოსწავლეებში აგრესიისა და ძალადობის შემცირებაში მასწავლებლებს შემდეგი სტრატეგიები შეიძლება დაეხმაროს:

1. წაახალისეთ მოსწავლეები, დაეხმარეთ სიტუაცია სხვა ადამიანის პოზიციიდან დაინახონ;

2. დაეხმარეთ მათ სოციალური სიტუაციის სწორად დანახვასა და გაგებაში;
3. ასწავლეთ ეფექტური სოციალური უნარ-ჩვევების გამოყენება;
4. სთხოვეთ, რომ სხვებს დაეხმარონ (მაგალითად, უმცროსკლასელი მოსწავლეები რომ ამეცადინონ).
5. ჩართეთ მოსწავლეები მათთვის სასურველ კლასგარეშე და სკოლისგარეშე კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში, რომელიც მოემსახურება მათი სოციო-გენური მოთხოვნების დაკმაყოფილებას.
6. ოჯახმა და სკოლამ ერთობლივად უნდა იზრუნოს, რომ ბავშვს საკუთარ თავში აპოვინოს პიროვნება, დაარწმუნოს საკუთარ სრულფასოვნებაში.
7. გამოიწვიოს შემეცნებითი ინტერესი და ინტელექტუალური მოტივი, რაც აღძრავს ასოციალურ მოსწავლეში სოციალურად ღირებულ აქტივობის სურვილს.
ეს არის იმ ღონისძიებათა მოკლე ჩამონათვალი, რომელიც უნდა განახორციელოს პედაგოგმა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგიჩაიშვილი თ., მოსწავლეთა ასაკობრივი ფსიქოლოგია, თბ., 2001
2. გოგიჩაიშვილი თ., განვითარების ფსიქოლოგია, თბ., 2005
3. გერიგი რ., ზიმბარდო ფ., ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბ., 2009
4. ნადირაშვილი შ., პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975
5. ნარგიზიშვილი მ., პრაქტიკული ფსიქოლოგია, თბ., 2010
6. ყოლბაია მ., სკოლის ფსიქოლოგია, თბ. 2008
7. ქურხული ლ., ბავშვთა აგრესია, თბ., 2006
8. ჩარკვიანი დ., ექსპერიმენტული სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები,)))
9. ჯანაშია ნ., იმედაძე ნ., გორგოძე ს., განვითარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008
10. ჯაფარიძე მ., განათლების ფსიქოლოგია, თბ., 2005
11. ბერიძე რ., კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიები განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებში, დისერტაცია, თბ., 2008
12. Берковец Л., Агрессия: причины, последствия и контроль, Санкт – Петербург “Олма Пресс”, М., 2002

Р э з ю м е Шорена жвания Гендерные различия в проявлении агрессии

Статья основана на эмпирическом исследовании агрессии старшеклассников! Целью Ставилась устфновление агрессивной реакции и форма ее праявления у подросткач с гендерной точки зрения! былоустфновленно что девушки не меньше мальчиков проявляют агрессию

Успешная борьба с преступным поведением учеников обусловлена не зфпретами и суровыми наказаниями а оказанием педапопической психолопической и социальной помощи которая бу дет ориентирована на актуализацию Развития личности и самопеализацию! На приобретение навыков позитивного поведения!

სკოლა მასწავლებლიდან იწყება!

„მასწავლებელი იგივეა სკოლისათვის,
რაც მზე სამყაროსათვის“
(ადოლფ დისტერვეგი)



ხათუნა ბარამიძე



ლალი გურაშვილი

სკოლა, სკოლა დიდი საოცრებაა! – თაობათა სულიერი ბაღნარი. <<ყველაფერი სკოლიდან იწყება, ხოლო სკოლა მასწავლებლიდან იწყება>> (ვ. აფრიდონიძე, მასწავლებელი ცოდნის ჩაუქრობელი ლამპარი. თბ., 1990, გვ. 53).

განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაობის პრიორიტეტული ხაზი, მისი პედაგოგიური კვლევის ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი არის, სწორედ, სკოლა, სასკოლო პრაქტიკის პედაგოგიკის თეორიასთან ადეკვატურობის მიღწევა; სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მეცნიერული უზრუნველყოფის, თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთდაახლოების გზების, ობიექტური კანონზომიერების მოძიება.

სკოლა უდავოდ კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია. მაგრამ რაც არ უნდა ძვირფასი მასალისგან იყოს იგი ნაგები, ოქრო და ბრინჯიანტებით მოოჭვილი, წალკოტის ბაღში იდგეს და რძე და თაფლი მდინარესავით ჩამოუდიოდეს, სრულებით არაფერს ნიშნავს ჭეშმარიტი მასწავლებლის გარეშე. მასწავლებელი არის მისი სულის ჩამდგმელი, შინაარსის მიცემი, სასწავლო-აღმზრდელობითი, რომელსაც შვილს ანდობენ, ყველაზე უძვირფასესს და განუმეორებელ არსებას, ღვთის უნიკალურ ქმნილებას. ჩვენი კრებულის “მეცნიერება და სკოლა” ამიერიდან მუდმივი რუბრიკა იქნება “სკოლა მასწავლებლიდან იწყება”.

ამჯერად ყურადღება შევაჩერეთ ძალიან მოწესრიგებულ და კარგად ორგანიზებულ კერძო საშუალო სკოლის “აისი” დაწყებითი განათლების ორ მასწავლებელზე: ქალბატონ ხათუნა ბარამიძეზე და გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელ ქალბატონ ლალი გურაშ-

ვილზე, სკოლისა, რომლის დირექტორია ორგანიზატორული ნიჭითა და ურთიერთობის კულტურით გამორჩეული ქალბატონი, პედაგოგიკის დოქტორი იანა ტორჩინავა.

ერთწლიანი დაკვირვებისა და ანკეტური გამოკითხვის მეთოდით კვლევის შედეგად მიღებული მასალების პედაგოგიურმა ანალიზმა მოგვცა საშუალება ჩვენი რესპოდენტთა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადოებისა, უნიკალური ტრიადის: “მასწავლებელი-პედაგოგიკა-მოსწავლე” განუსაზღვრელი შესაძლებლობის გარკვევისა.

კითხვა-პასუხის რეჟიმში პარალელურად წარმოგიდგინებ ჩვენი კრებულის პირველ სტუმრებს ხათუნა ბარამიძეს და ლალი გურაშვილს.

1. რამდენად კმაყოფილი ხართ მასწავლებლის პროფესიით, აბიტურიენტი რომ იყოთ, ისევე მას აირჩევდით?

— ხ. ბარამიძე: ბავშვობიდან ვოცნებობდი პედაგოგობაზე, რადგან ყოველთვის მხიბლავდა ბავშვებთან მუშაობა, მათთან ურთიერთობა, განსაკუთრებით კი დაწყებითი საფეხურის ასაკის პატარებთან. დღეს რომ აბიტურიენტი ვიყო, უპირობოდ ისევე პედაგოგობას ავირჩევდი.

— ლ. გურაშვილი: მასწავლებლობა არის მეტად საამაყო და თან საპასუხისმგებლო პროფესია, ძირითადად მასწავლებელზეა დამოკიდებული თუ როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდება აღსაზრდელი. კმაყოფილი ვარ ჩემი პროფესიით, მიხარია ბავშვებთან ურთიერთობა და მათგანაც ვგრძნობ დიდ სიყვარულს. ეს კი მავსებს სტიმულით, დადებითი მუხტებით. აბიტურიენტი რომ ვიყო, აუცილებლად ისევე მასწავლებლის პროფესიას ავირჩევდი.

ორივე პასუხს ერთი სერთო პათოსი — პროფესიული სიამაყე და თავიანთი შრომის ობიექტის, პედაგოგიური პროცესის მეორე სუბიექტის — მოსწავლის სიყვარული აერთიანებთ. მასწავლებლის ფასდაუღებელი შრომის არაადეკვატურ ანაზღაურებაზე არ წუწუნებენ და მზად არიან თავიანთ საყვარელ საქმეს ბოლომდე ღირსეულად ემსახურონ. არც მათი პატარები არიან უმადურნი. თავიანთ მასწავლებლებს იმავე სიყვარულით, ნდობითა და პატივისცემით პაუხობენ. ეხვევიან, კოცნიან, თვალებში შესცივინებენ.

მეორე კითხვაზე — სწავლების რომელი სფერო გამოგდით უფრო ადვილად: საგანმანათლებლო თუ აღმზრდელობითი? გვიპასუხეს:

ხ. ბარამიძე – “მუშაობის პერიოდში ყოველთვის ვცდილობ, რომ საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობა ერთმანეთს შევუსაბამო, რადგან მათ გარეშე გაკვეთილი ვერ იქნება სრულყოფილი.”

ლ. გურაშვილი — “ვგრძნობ, რომ ბავშვებს ძალიან სჯერათ ჩემი. როდესაც კლასის საათს ვატარებ, ისინი გულმოდგინედ მისმენენ. შემდეგ ცდილობენ შეასრულონ ჩემი დარიგებები, თუმცა საგანმანათლებლო სფეროც პედაგოგიური სიტუაციის მიხედვით იქვე იკავებს თავის ადგილს. ქალბატონი ლალი, როგორც გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელი, მისივე სფეროდან გამომდინარე კლასის საათის მაგ-

ალითზე პასუხობს,” და სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობა ორგანულ კავშირში მყოფი ერთი პროცესის ორი განუყოფელი ნაწილია, უბრალოდ ადგილს იცვლიან პედაგოგიური მიზნის მიხედვით.

ბ. ბარამიძის პასუხიც იგივე აზრის შემცველია, ოღონდ განსხვავებულ პედაგოგიურ უბნებს ეხებიან.

მისასაღმებელია და დასაფასებელი, რომ მასწავლებელთა დიდი ნაწილისგან განსხვავებით, ისინი კარგად ერკვევიან სწავლებისა და აღზრდის ურთიერთგანპირებულობასა და ურთიერთდამოკიდებულებას, და, რომ, სწორედ, ეს კავშირები განაპირობებს პედაგოგიური მიზნის უდანაკარგოდ მიღწევას სწავლების განმავითარებელ და შრომით ფუნქციებთან ერთად.

მესამე კითხვა: რა ტიპურ პრობლემებს აწყდებით პედაგოგიურ ურთიერთობებში მოსწავლეებთან და მშობლებთან?,

ბ. ბარამიძე — I კლასელებთან სასწავლო წლის დასაწყისში არის ხოლმე პრობლემები. ბავშვებს უჭირთ უცხო გარემოსთან შეგუება, ჭირვეულობენ მშობლების გარეშე, მოწყვნილობა ეუფლებათ. ამ დროს მასწავლებელს დიდი მოთმინება და პროფესიონალიზმი სჭირდება, რომ გაარღვიოს გაუცხოების რკალი და უმოკლეს დროში მოახერხოს პატარების სასკოლო გარემოსთან ადაპტირება. საქმის სიყვარული და მაქსიმალური ძალისხმევა სასურველ შედეგს იძლევა. რაც შეეხება მშობლებთან ურთიერთობას, ჩემდა საბედნიეროდ, მათთან გარდა კეთილგანწყობილ თანამშრომლობისა, პრობლემები არასოდეს არ მქონია.

ლალი გურაშვილი ამ კითხვაზე უფრო მოკლედ გვპასუხობს, რომ მას არც მოსწავლეებთან და არც მათ მშობლებთან პრობლემა არასოდეს ჰქონია.

ორივე ქალბატონს პედაგოგიკურ ცოდნა-გამოცდილებასთან ერთად ახასიათებთ პედაგოგიური აღლო და ინტუიცია, რომ სწორად გაუგონ თავიანთ მოსწავლეებს და დაეხმარონ მათთვის ახალი გარემოს გათავისებაში. ცხადია, შედეგიც არ აყოვნებს.

შემდეგი კითხვა, რომელი პედაგოგიური პრინციპებითა და მეთოდებით აღწევთ უფრო ადვილად მიზანს?

ბ. ბარამიძემ უპირატესობა მიანიჭა მოსწავლის პიროვნებისადმი პატივისცემის, გულდასმით მოსმენის, თავისუფალი გრემოს შექმნის. ნდობისა და გულწრფელობის, მათი სურვილებისა და შესაძლებლობების გათვალისწინების პრინციპებს. ვიზუალურ და შესხებით კონტაქტებს, სიტყვის უნიკალურობას. „გველს ხვრელიდან გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ (შ. რუსთაველი).

ლ. გურაშვილმა ცოდნის საუკეთესო შედეგის მისაღწევად განსაკუთრებით გამოყო მოსწავლის გონებრივი შესაძლებლობების საფუძველზე მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მოთხოვნის პრინციპი, მისი

აზრით, „ მასწავლებელმა არ უნდა დათმოს პატარა ხარვეზიც კი. ცოდნის მოთხოვნაში უნდა იყოს მაქსიმალისტი“. მასწავლებლისა და მოსწავლის უშუალო გამოცდილება ყველაზე ბუნებრივი და სანდო გზამკვლევაა პედაგოგიური მიზნისაკენ. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანო ერთ უბრალო, მაგრამ პედაგოგიურად ღირებულ მაგალითს. სკოლაში ჩვეულებრივ მივედი 5 საათზე 9 საათზე მიყვანილი ბავშვის, II კლასელი მოსწავლის წამოსაყვანად. კლას-კაბინეტში შევესწარი მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის შემეცნებითი ურთიერთობის უღამაზეს პედაგოგიურ ეპიზოდს. ლალი გურაშვილი ზის მაგიდასთან და ირგვლივ შემოქრულუნებულნი არიან რაღაცით უზომოდ დაინტერესებული მოსწავლეები. ვხედავ, მაგიდაზე აწყვია ყველა სახის ხურდა ფული, თეთრები. პირველად ვიფიქრე ის, რასაც ყველა ადამიანი გაიფიქრებდა — რაღაცისთვის ფულს აგროვებენ-მეთქი. ნურას უკაცრავად! აღმოჩნდა, რომ დიდ მათემატიკასთან გეჭონდა საქმე. ქალბატონი ლალი თავის მოსწავლეებს, რომლებსაც თავიანთი ასაკის გამო ხურდებთან და ფასებთან მთლად კარგად ვერ არიან გაცნობიერებულნი, ახსნითი და კითხვა-პასუხების მეთოდებით, თვალსაჩინოდ ყველა და თითოეული ცალ-ცალკე ავაჯიშა მანამ, სანამ “კეთება” არ ასწავლა, ანგარიშის ცოდნა პრაქტიკულ უნარ-ჩვევამდე არ დაუყვანა.

მეხუთე კითხვაზე: როგორ ფიქრობთ, რა უყვართ თქვენში მოსწავლეებს?

ქალბატონ ხათუნას აზრით, ბავშვები მასში აფასებენ მათ მიმართ კეთილგანწყობას. “ცვდილობ ყოველთვის დაუწყევავო, მოვეფერო და ვიყო მათთან თანატოლივით. ზომიერად მკაცრიც”. დიას, ბავშვები თავიანთ მასწავლებელში ხედავენ ახლობელს, თავისიანს, მზრუნველ და სანდო მეგობარს. ის მათთვის უკვე ავტორიტეტია, რომლის სიტყვას კანონის ძალა აქვს მათთვის. ამიტომ უსმენენ, უსრულებენ, მის მოთხოვნებს ემორჩილებიან და საუკეთესო შედეგებს იძლევიან.

ქალბატონი ლალის მიმართ მოსწავლეთა სიყვარულს მისი პიროვნული და პედაგოგიური თვისებები განაპირობებს. ეს ჩანს თვითონ ბავშვების სიტყვებიდან: “თბილია,” “მოსიყვარულე,” “ყოჩაღი,” “კარგად გვასწავლის,” “გვარიგებს” და ა. შ.

დასასრულს, კითხვა ეხებოდა სახელმძღვანელოებს, მათ ადეკვატურობას მოსწავლეთა ასაკობრივ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებთან, მათ გამართულობას ზოგადად პედაგოგიურად, კერძოდ, მეთოდურად და ფსიქოლოგიურად. ქალბატონ ხათუნას მიანჩნია, რომ შეიძლებოდა უფრო მეტი ადეკვატურობაც. “მაგალითად, უკეთესი იქნებოდა — წერს ის — მათემატიკის სახელმძღვანელოში მეტი კოგნიტური სავარჯიშო იყოს. . . “

ქალბატონ ლალის აზრით, უკეთესი იქნებოდა სახელმძღვანელო ცხოვრებასთან, რეალურ სინამდვილესთან უფრო მეტ კავშირში იყოს, თანამედროვე მოთხოვნებს უფრო მეტად პასუხობდეს.

ამრიგად, მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის სრულებით არ არის საჭირო ზედმეტი შუამავლები, ბიუროკრატია და გადატვირთულობა. გარედან კარნახი. თვით პედაგოგიური სიტუაციით ნაკარნახევი ბუნებრივობა, სისადავე, სიმარტივე, თეორიითა და გამოცდილებით გაჯერებული პიროვნული ორთიერთობები — აი ეს არის პედაგოგიური წარმატების საწინდარი. მასწავლებლის პროფესიონალიზმი მისი შრომის შედეგით განისაზღვრება.

ქალბატონო ხათუნა, ქალბატონო ლალი, გმადლობთ პედაგოგიურ კვლევაში მონაწილეობისათვის. გისურვებთ კიდევ უფრო დიდი წარმატებებს პირად და პროფესიულ საქმიანობაში.

გულნაზ ხუხუა

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

Р е з ю м е

Гульнази кукуа

Школа начинается с учителя!

В статье освещается педагогическое знание и опыт двух преуспевающих учителей- анализируются принципы и методы обуславливающие их отношения с учениками- их личностные и професиональные качества- На эффективность их работы указывают достигнутые ими положительные результаты-

სარჩევი

გულნაზ ხუხუა

მასწავლებელი- პედაგოგიკა-მოსწავლე!.....5

ლილა რეხვიაშვილი

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ფაქტორები..... 15

მელიკო ანთია

ეკოლოგიური განათლება დევნილთა საჯარო სკოლებში 25

ოთარ ვახანია

ფიზიკური აღზრდის მიმართება აღზრდის სხვა

კომპონენტებთან30

ლილა შაროია

კლასგარეშე მუშაობის სპეციფიკა და მისი როლი

მოსწავლეთა სოციალიზაციაში.....36

ლევან ჯინჯინაძე

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების კომუნიკაციური

თეორიები 44

ნანა მაისურაძე

ფიზიკის სასწავლო ტექსტის სტრუქტურის ხარვეზების

აღმოფხვრის ხერხები სწავლების საბაძო საფეხურზე.....50

თიომურაზ ორმოცაძე

ამოცანები სიჩქარეზე.....56

გიორგი ჯინჯინაძე

დაწყებით სკოლაში მათემატიკისა და ინფორმატიკის სწავლების

ურთიერთკავშირის პრობლემა.....62

ზვიად მიქაძე

შრომის უნარიანობისა და ფიზიოლოგიური პროცესების

ურთიერთმიმართება.....66

თამარ ჯავახიშვილი

განათლების ფსიქოლოგიის მიმართება პედაგოგიურ

ფსიქოლოგიასთან.....72

იზო გუსულიშვილი

სტრესი და მისი დაძლევის გზები და მეთოდები.....78

იზო გუსულიშვილი

დებრესია და მისი დაძლევის სტრატეგიები.....83

შორენა ჟვანია

გენდერული განსხვავება აგრესიის გამოვლინებაში.....91

გულნაზ ხუხუა

სკოლა მასწავლებლიდან იწყება110

